პარტნიორი მედია
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
9 იანვარი **ორშაბათი** 2012
№005 (13611) ფასი 80 თეთრი



# თარგამაძე

## წლის საუკეთესო

ჟურნალისტებისა და მწვრთნელთა ვერსიით

2

# სიტყვა მივეცი, მე კი უპირო კაცი არ ვარ

## მერებაშვილი და დინამო: ისევ ერთად




2



## დღეს შვეიცარიაში პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი გაირკვევა

სამი ერთი ბურთისთვის: ლიონელ მესი, ჩავი ერნანდესი, კრიშტიანო რონალდო

8

# ფერგის შურისძიება

## ინგლისის ასოციაციის თასზე იუნაიტედს ახლა ლივერპული ელის



9

გუშინ მანჩესტერულ დერბიში იუნაიტედმა იმარჯვა

# ბარსამ დერბიში ქულები დაკარგა

7




# სერია A-ს ინტერესი შეემატა




5

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება

## გიორგი მერებაშვილი

# დინამოს სიტყვა მივეცი, მე კი უპირო კაცი არ ვარ

### რატომ სხვაგან არა? შეიძლებოდა, მერებიჩი რომ ვყოფილიყავი

**99 პროცენტით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი მერებაშვილი კვლავ თბილისის "დინამოში" ითამაშებს და, სავარაუდოდ, სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ინფორმაცია სერბული „ვოივოდინას“ 25 წლის შემტევმა ნახევარმცველმა გუშინ თავად დაგვიდასტურა. გიორგი სერბეთში „დინამოდან“ მოხვდა, სადაც 2006-10 წლებში ჩატარებულ 108 მატჩში 86 გოლი გაიტანა.**

**- გავრცელდა ხმები, რომ „დინამოში" შენი გადასვლა უკვე გადაწყდა.**

- "ვოივოდინას" დირექტორი დამიკავშირდა და მითხრა, ახლა მხოლოდ "დინამოსთან" გვაქვს მოლაპარაკება და თუ შენც ასე გსურს, საქართველოში დაგაბრუნებთო.

**- ლვოვის „კარპატი“ რატომ გამოირიცხა?**

- არ ვიცი, რეალურ მიზეზებზე ჩემთვის არაფერი უთქვამს.

**- "დინამოსთან" მოლაპარაკება რა სტადიაშია?**

- კონტრაქტი არ გამიფორმებია, ჯერ მხოლოდ სიტყვიერად შევთანხმდით, სიტყვას კი ყოველთვის ვასრულებ. ასე რომ, ჩემი დაბრუნება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ახლა ყველაფერი „ვოივოდინაზეა“ დამოკიდებული - თუ "დინამოს" შეუთანხმდა, ალბათ, ხვალ პრეზენტაცია გაიმართება და კვლავ დინამოელი გავხდები.

**- „ტრანსფერმარკტი“ 1,5 მილიონ ევროდ გაფასებს - "დინამო" ამდენის გადამხდელია?**

- სერბებთან კონტრაქტი ნახევარ წელიწადში მიმთავრდება, ასეთ დროს კი 1,5 მილიონ ევროს ვერავინ მოითხოვს. სერბულ გაზეთებში დაწერეს, 300 ან 400 ათას ევროდ გაყიდიანო, მაგრამ მე ამაზე ზუსტი ინფორმაცია არ მაქვს.

„ვოივოდინას“ ხელმძღვანელობას ჩემი დატოვების იმედი ჰქონდა და ერთწლიან კონტრაქტს მთავაზობდა გაუმჯობესებული პირობებით, თუმცა ამ წინადადებაზე უარი ვთქვი. ტრაბახში არ ჩამომართვათ, დეიან ვუკიჩევიჩი ჩემზე აწყობდა თამაშს და ერთადერთი მისი ფაქტორი მაბრკოლებდა. ბევრ მწვრთნელთან მიმუშავია, მაგრამ ასეთი მაღალი დონის სპეციალისტი და კარგი პიროვნება არ შემხვედრია. მართალია, სულ ექვსი თვე ვიმუშავეთ ერთად, მაგრამ ეს ჩემთვის ძალიან საინტერესო და სასიამოვნო იყო, დავმეგობრდით კიდეც. ცნობილი ფეხბურთელი იყო, "სევილიაში" უთამაშია, მისი ხელმძღვანელობით ევროპაში მოხვედრის იმედი მქონდა, მაგრამ მაინც აღარ მსურდა დარჩენა.

**- სერბეთში გამორჩეული ფეხბურთელები ევროპაში იოლად ხვდებიან და შენთვის რატომ ჩაიკეტა გზები?**

- ამის ახსნა მიჭირს. ალბათ, იმიტომ, რომ მერებაშვილი ვარ და არა მერებიჩი. ერთ მაგალითს მოვიყვან: ზაფხულში "ვოივოდინადან" "ვოლფსბურგში" გადავიდა საყრდენი ნახევარმცველი სლობოდან მედოევიჩი, რომელიც, გულწრფელად ვამბობ, არაფრით გამოირჩეოდა და "დინამოში" ჩემი ყოფნისას მის პოზიციაზე მოთამაშე არც ერთ ფეხბურთელს არ სჯობდა – ვგულისხმობ დილმელაშვილს, ხმალაძეს, ფირცხალავას.

სამწუხაროდ, ქართველს ევროპაში სახელი არ აქვს და ამის გამო ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვეჩაგრება. თავად სერბებსაც სხვა ქვეყნების მოთამაშეთა დაწინაურება დიდად არ ანაღვლებთ, თავისიანებს კი თავს აკლავენ და ყველა შესაძლო ხერხით აპიარებენ.

**- სერბეთიდან საქართველოში დაბრუნება უკან გადადგმული ნაბიჯი არ იქნება?**

- ასე სულაც არ ვფიქრობ, რადგან დავბრუნდი ჩემს ოჯახში და ჩემი ოცნების გუნდში, თანაც, ახლა სხვა გუნდი ყალიბდება, რომელსაც დიდი ამბიცია ექნება. ასეთ "დინამოში" თამაში ყოველთვის მსურდა. გუნდთან ერთად საქართველოში ყველა ტიტული მოვიპოვე, ახლა კი იმიტომ ვბრუნდები, რომ მივაღწიოთ იმას, რისთვისაც არ მიგვიღწევია – გავიდეთ ჩემპიონთა ლიგის ან ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, ქართული ფეხბურთი ავაღორძინოთ და ჩვენი ხალხი გავახაროთ.

აქვე ვიტყვი: ჩვენი ფეხბურთი თავად ქართველებმა თუ არ დავაფასეთ, სხვა ამაზე არც იფიქრებს. ამიტომ არის აუცილებელი რაც შეიძლება, მეტი ფეხბურთელის დაბრუნება სამშობლოში და კლუბების გაძლიერება. სერბეთში ცოტა ხანი არ მითამაშია და დავრწმუნდი, არც მათზე ნაკლები საფეხბურთო ერი ვართ და არანაკლები ჩემპიონატის ჩატარებაც შეგვიძლია.

**მერაბ მამულაშვილი**






მედიისა და მწვრთნელთა რჩეული




კინოთეატრ "საქართველოში" საქართველოს 2011 წლის საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც ქართული საფეხბურთო სამყაროს საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი დაესწრო. "ქომაგთა ლიგის" მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში, რომელშიც მონაწილეობა ქართველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა და უმაღლესი ლიგის კლუბების მთავარმა მწვრთნელებმა მიიღეს, დიდი უპირატესობით **დავით თარგამაძემ** გაიმარჯვა. მას ოქროსგან დამზადებული სპეციალური პრიზი გადასცეს, მეორეადგილოსან **კახა კალაძეს** ვერცხლის ჯილდო ერგო, მესამეადგილოსან **ლევან კობიაშვილს** კი – მოვერცხლილი.

თარგამაძე დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრო და პრიზი პირადად ჩაიბარა, კობიაშვილი და კალაძე კი უკვე კლუბების განკარგულებაში არიან. ლევანის პრიზი მისმა ძმა **არჩილმა** მიიღო, კახას კი ჯილდოს მისი პრესსამსახურის უფროსი **ოთარ ჩრდილელი** გადასცემს.

22 წლის თარგამაძისთვის სეზონი განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა. იგი უკრაინული "ოლექსანდრიას" ლიდერიც იყო და საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვისაც, რომლის რიგებში დებიუტი წლეულს ჰქონდა, შეუცვლელ ფიგურად ჩამოყალიბდა. შეგახსენებთ, დათომ რამდენიმე დღის წინ კონტრაქტი დონეცკის "შახტართან" გააფორმა, სეზონის დარჩენილ ნაწილს კი იჯარით "ილიჩივეცში" გაატარებს.

*"ძალიან გახარებული ვარ, დიდი მადლობა ყველას, ვინც მე მხარი დამიჭირა. ვეცდები ქართველი ქომაგების იმედები გავამართლო"*, - განაცხადა თარგამაძემ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# რატომ უნდა მეშინოდეს ილიჩივეცში განათხოვრების?

## დავით თარგამაძე იცის, რომ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული

**კინოთეატრ "საქართველოში" მოწყობილი საღამოს შემდეგ დავით თარგამაძეს გავესაუბრეთ.**

**- საუკეთესოდ აღიარება ყოველთვის სასიამოვნოა.**

- ეს აღიარება მოულოდნელიც იყო და სასიამოვნოც. მართალია, „ოლექსანდრიაში“ კარგი სეზონი ჩავატარე, ახლახან ძლიერმა კლუბმა მიმიწვია, ნაკრებშიც დებიუტი მქონდა, მოკლედ, წელი კარგად ჩამთავრდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, ამდენ ძლიერ ფეხბურთელში თუ გამომარჩევდნენ.

**- უკრაინაში გუნდებმა მომზადება დაიწყეს, შენ კი ამ დროს თბილისში ხარ...**

- "ილიჩივეცს" მომზადება ჯერ არ დაუწყია. უკრაინაში 10 იანვარს გავემგზავრები, ორი კვირა სიმფეროპოლში მოვემზადებით, შემდეგ კი ანთალიაში წავალთ

**- ახლა ისვენებ, თუ მაინც ვარჯიშობ?**

- ასე ვთქვათ, აქტიურად ვისვენებ, მინი-ფეხბურთს ვთამაშობ. სულ ვერც გავჩერდებოდი.

**- მინიფეხბურთს ბევრი ერიდება, ჩვენს მოედნებზე თამაში საშიშიაო.**

- ისე ვთამაშობ, რომ რისკი მაქსიმალურად გამოვრიცხო.

**- ახალი წლის შემდეგ ქართველი ფეხბურთელების მუდმივი პრობლემა მომატებული წონის დაკლებაა.**

- მე ეს პრობლემა არასოდეს მაწუხებდა, მომზადებას ისე ვიწყებ, ზედმეტი გრამი არ მაქვს.

**- "შახტარმა" შარშან, ზამთარში თორნიკე ოქრიაშვილიც წაიყვანა, ისიც იჯარით "ილიჩივეცში" გაუშვა და დააიმედა, მალე დაგაბრუნებთო, მაგრამ გავიდა ერთი წელი და ისევ "ილიჩივეცშია". ქართველ გულშემატკივრებს ეს აფიქრებთ, ვაითუ, შენს შემთხვევაშიც ასე მოხდეს...**

- ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. "ილიჩივეცში" სამი თვე უნდა ვითამაშო, თავს თუ გამოვიჩენ, "შახტარში" დამაბრუნებენ. იმედია, დონეცკელებმა ტყუილად არ ამიყვანეს.

**- კლუბის შერჩევას ფეხბურთელისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. შენი აზრით, "შახტარი" საშენო გუნდია?**

- დარწმუნებული ვარ, რომ საჩემოა, რადგან უკრაინაში ყველა ამბობს, "შახტარი" ყველაზე ტექნიკურ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობსო. ამ გუნდის თამაში მეც ძალიან მომწონს, ბოლო წლებში ჩემპიონთა ლიგაში მუდმივად ხვდება და ამბიციასთან ერთად ტიტულებითა და საკმაოდ მდიდარი ისტორიითაც იწონებს თავს. ეს კი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ზეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ასაკობრივი ნაკრებები

# სეკვესტრი მინუს ორი U?

დიდია ალბათობა იმისა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საკურატორო ნაკრებთა სქემა შეიცვალოს – შემცირდეს გუნდების რაოდენობა.

აქამდე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია რვა ნაკრებს პატრონობდა: ეროვნულს, U 21-ს, U 19-ს, U18-ს,U17-ს, U16-ს , U15-ს და U 14-ს. ამდენი ნაკრების ჩამოყალიბება ფედერაციის ამ ხელმძღვანელობის ნოვაცია იყო, რასაც ახალი სამწვრთნელო კადრებისა და ახალი ფეხბურთელების გარდა, ახალი ფინანსებიც სჭირდებოდა. აქამდე ყველა ეს ნაკრები უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი პერსონალით, ახლა კი სათუო გახდა ორი ნაკრების დაფინანსება – 15 და 14-წლამდელების.

რატომ მაინცდამაინც ეს ნაკრებები? თუ იმ ლოგიკას გავყვებით, რომ უეფას ოფიციალურ ტურნირებში ამ რვა ნაკრებიდან მხოლოდ ოთხი მონაწილეობს(ეროვნული, U21,U19 და U17), მაშინ მათ გარდა ყველას არსებობას უნდა დასმოდა კითხვის ნიშანი. შესაძლოა, ფეხბურთის ფედერაციაში მიაჩნიათ, რომ ყველაზე უმცროსთა ორი ნაკრები დანარჩენებთან შედარებით ნაკლებად აქტუალურია ან დაფინანსება, სახელმწიფოს დოტაცია უწინდელთან შედარებით მცირეა.

ერთი სიტყვით, ნაკრებთა რაოდენობის შემცირება სავსებით რეალურია. შევიტყვეთ, რომ საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, თუმცა საქმე უფრო სეკვესტრამდე მიდის.

14-წლამდელთა დამრიგებელმა **გოჩა ტყებუჩავამ** უკვე იშოვა სხვა საქმე, ზუგდიდის "ბაიას" თავკაცად დაინიშნა. არის იმის პრეცედენტი, რომ მწვრთნელი კლუბშიც მუშაობდეს და ასაკობრივ ნაკრებშიც, მაგრამ U14-ის შემთხვევაში ეს ნაკლებად მოსალოდნელია. მოკლედ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**დავით თავართქილაძე**

საპრანსფერო ამბები

# მოძრაობა რიონის აკვატორიაში

## ყოფილ ტორპედოელებს კოლხეთში იწვევენ. ისე, დავით ბოლქვაძეს უკვირს...

2011 წლის მიწურულს ქუთაისის „ტორპედომ" ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე კონტრაქტები შეუწყვიტა **დაჩი ფოფხაძეს, სევასტი თოდუას, თენგიზ ჩიკვილაძეს, დავით ბოლქვაძესა** და **გიორგი მეგრელაძეს**.

ბოლქვაძისა და თოდუას გადაყვანის სურვილი უმალვე გამოთქვა პირველი ლიგის ლიდერმა საჩხერის "ჩიხურამ". მაგრამ შევიტყვეთ, რომ გამოცდილი ფეხბურთელები კარიერას საჩხერეში არ გააგრძელებენ. ორივე მათგანის დამატება ფოთის "კოლხეთს" სურს. **დავით ბოლქვაძე** წინადადებას, ალბათ, დათანხმდება, ეს მან თავად გვითხრა და არც ის დამალა, რომ "ტორპედოდან" გაშვება მისთვის მოულოდნელი იყო.

*"ფოთში თამაში მართლაც შემომთავაზეს. ჯერ კონტრაქტი არ გაფორმებულა, მოლაპარაკება გრძელდება, თუმცა დიდი შანსია, მეორე ეტაპზე "კოლხეთში" ვითამაშო. ყველაფერი ორ დღეში მეცოდინება.*

*გია გეგუჩაძის მოსვლის შემდეგ 13-დან 10 შეხვედრა მოვიგეთ, მე სულ ვთამაშობდი და, სიმართლე გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, „ტორპედოს" ასე თუ დავშორდებოდი. ვის დაიტოვებს და ვის არა, ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია, მაგრამ ამას აშკარად არ ველოდი. თუმცა "ტორპედოს" წარმატებას ვუსურვებ. სხვათა შორის, ფოთში სერიოზული პირობები აქვთ, გუნდის გაძლიერებასა და საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრას აპირებენ, "კოლხეთს"კი დიდი ტრადიციაც აქვს და ასეთ კლუბში თამაში სასიამოვნო იქნება"* – ამბობს ბოლქვაძე.

შესაძლოა, "კოლხეთში" ვიხილოთ ქუთაისელთა ყოფილი კაპიტანი **სევასტი თოდუაც**, მაგრამ მისით რუსთავის „მეტალურგიც" დაინტერესდა.

გვითხრეს, რომ რუსთავში იწვევენ დაჩი ფოფხაძესაც, მაგრამ ფეხბურთელის თქმით, მას რუსთაველები არ დაკავშირებიან და გაურკვეველ მდგომარეობაშია.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით ბოლქვაძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მწვრთნელი



# გელა სანაია ლოკომოტივში დაბრუნდა

## დავა? ღირს კი?..

**გელა სანაია იმ მცირერიცხოვან ქართველ მწვრთნელთაგანია, PRO ლიცენზიას რომ ფლობენ. ახალგაზრდა ქართველმა სპეციალისტმა ლიცენზია არცთუ დიდი ხნის წინ უკრაინაში აიღო, თუმცა უმაღლესი ლიგის კლუბებიდან შეთავაზება არ მიუღია. სანაია პირველი ლიგის „ლოკომოტივში" დაბრუნდა, სადაც მთავარ მწვრთნელად ორი წლის წინაც მუშაობდა.**

- „ლოკომოტივში" სპორტული დირექტორი ვიქნები და ამ ეტაპზე ბავშვთა მიმართულებას ვუხელმძღვანელებ. ეს ძალიან საინტერესო სამუშაოა და მინდა, მადლობა გადავუხადო „ლოკომოტივის" პრეზიდენტ ლექსო თოფურიას ამ შემოთავაზებისთვის.

**- სპორტული დირექტორობა ითვალისწინებს პირველი გუნდის სამწვრთნელო საქმიანობაში ჩარევას?**

- სამუშაო ბევრი მექნება. უნდა დალაგდეს მწვრთნელთა საქმიანობის სისტემა, განისაზღვროს სკოლის მიმართულება... სპორტული დირექტორის მოვალეობაში მწვრთნელების მუშაობის კონტროლიც შედის, უნდა გავარკვიოთ, ვინ იმუშავებს ასაკობრივ ჯგუფებშიც.

**- როდესაც „ლოკომოტივიდან" წახვედით, გუნდი მძიმე ფინანსურ კრიზისში იყო. ახლა რა მდგომარეობაა?**

- ახლა ფინანსური კრიზისი არ არის და მომავალში რა იქნება, ვერ გეტყვით. უმთავრესი მიზანი „ლოკომოტივის „ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა, რაც წლეულს აღარ გამოვა, მაგრამ მომავალი სეზონიდან ვეცდებით. კლუბს ყოველთვის სჭირდება სიახლეები, მით უმეტეს, რომ ახლა გუნდში კარგი თაობაა. ერთი სიტყვით, „ლოკომოტივი" კარგ გზაზეა და ასე უნდა გავაგრძელოთ ახალგაზრდებზე დაყრდნობით.

**- ფოთის „კოლხეთთან" საქმე გაარკვიეთ თუ დავობთ?**

- სამწუხაროდ, ფოთიდან ჩემ მიერ ხელმოწერილი კონტრაქტი არ წამომიღია, ამიტომ დავის იურიდიული საფუძველი არ მაქვს. სიმართლე გითხრათ, აღარც მინდა, მათ რაიმეზე ვედავო, არც თანხაზე და არც სხვაზე. ფულს რა მნიშვნელობა აქვს, როცა მათი საქციელი არაეთიკური, არაადამიანური და არაპროფესიონალური იყო. იმედი მაქვს, „ლოკომოტივში" მსგავსი არ განმეორდება, ვიცი, აქ რა ხალხი მუშაობს და ლექსოსაც კარგად ვიცნობ.

**- ყველა ქართველ მწვრთნელს არ აქვს PRO ლიცენზია, გული ხომ არ გწყდებათ, რომ უმაღლესი ლიგის გუნდმა არ მიგიწვიათ?**

- წყენამ უკვე გადამიარა. ეტყობა, ბევრს არ აინტერესებს ის, რაც მე ვიცი. სამსახური, რომელიც „ლოკომოტივმა" შემომთავაზა, ჩემთვის საინტერესოა და ჩემს ცოდნას დაუზარებლად მოვახმარ „ლოკომოტივს".

**მაგდა კლდიაშვილი**

დილა

# ბექვაია პლუს ორი კოლხი და დინამოელი

საგაზაფხულო ეტაპისთვის გორის "დილაში" დიდი სიახლეებია მოსალოდნელი. აქვე განვმარტავთ: "ლელოში" გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომ გუნდიდან ყველა ფეხბურთელი დაითხოვეს, გაუგებრობა მოჰყვა: ბევრმა მიიჩნია, რომ ეს ყველა ფეხბურთელის გაშვებას ნიშნავდა, რაც ასე არ არის - ხშირად ახალი გუნდის დასაკომპლექტებლად ანალოგიურ ნაბიჯს დგამენ, რათა სასურველი მოთამაშეები დაიტოვონ, არასასურველები კი გაუშვან.

"დილადან" ყველას არც უშვებენ, მაგრამ ყველა რომ ვერ დარჩება, ესეც ცხადია. უკვე შევიტყვეთ რამდენიმე სიახლის შესახებაც, რაც კლუბში დაგვიდასტურეს: გორში გააგრძელებს კარიერას "ვიტ ჯორჯიას" ყოფილი კაპიტანი **გიგა ბექვაია**, ერთ-ერთი ფეხბურთის ფედერაციის მიერ დეკემბერში ამნისტირებულ მოთამაშეთაგან.

"დილაში" ითამაშებენ ფოთის "კოლხეთის" ფეხბურთელები, 30 წლის გამოცდილი ცენტრალური მცველი **ლექსო ინწკირველი** და 20 წლის **დავით მეგრელიშვილი**. ინწკირველს გულშემატკივარი იცნობს და წარდგენა არ სჭირდება, მეგრელიშვილი კი **სოსო ფილიას** მიერ დაწინაურებული პერსპექტიული ახალგაზრდაა, რომელიც მარცხენა ნახევარმცველისა და მცველის პოზიციებზე თამაშობს.

შევიტყვეთ ისიც, რომ გორელები თბილისის "დინამოსთან" მოლაპარაკებას აწარმოებენ **ირაკლი ლექვთაძისა** და **შოთა კაშიას** იჯარის თაობაზე. გავრცელდა ხმები, თითქოს "დილაში" **გიორგი კახელიშვილის** განათხოვრებასაც აპირებდნენ, მაგრამ ეს ამბავი სარწმუნოდ არ გვეჩვენება, რადგან "დინამოში" ყველა გასანათხოვრებელი მოთამაშე გააფრთხილეს, კახელიშვილისთვის კი ასეთი რამ არ უთქვამთ.

ამას გარდა, "დილას" თავკაცები ცხინვალის "სპარტაკიდან" გაშვებული თავდამსხმელების, **რევაზ ჯიქიასა** და **ზვიად მეტრეველის**, აგრეთვე ზუგდიდის "ბაიას" თავდამსხმელ **ირაკლი ეხვაიას** დამატებაზეც ფიქრობენ. თუმცა ჯერ უცნობია, აქედან რა გამოვა.

"დილა" კი დღეს იწყებს მომზადებას – მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** პირველი შეკრება თბილისში, "ამერის" სტადიონზე დაგეგმა.

**მერაბ მამულაშვილი**



გიგა ბექვაია (№27) უმაღლესში დაბრუნდა

ბაია

# გაუჩინარება დაბრუნებით

საშემოდგომო ეტაპის შემდეგ ზუგდიდის "ბაიაში" მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოხდა: გუნდი დატოვეს გამოცდილმა მეკარე **გიორგი სომხიშვილმა, ნიკა მგელაძემ**, პერსპექტიულმა ახალგაზრდებმა - **ლუკა გუგუჩიამ, ლევან წურწუმიამ, გურამ სამუშიამ, დათა რიგვავამ, ირაკლი ეხვაიამ.**

თუმცა გუნდში მატებაცაა: შევიტყვეთ, რომ "ბაიაში" დააბრუნეს ამნისტირებული **როინ ონიანი** და ცენტრალური მცველი **მაკარ აქუბარდია**, რომელიც ექვსი თვეა, არ ჩანდა.

აქუბარდიას გვარი დისკვალიფიცირებულ მოთამაშეთა ხუთეულში არ ფიგურირებდა, მაგრამ ამ სკანდალის შემდეგ "ბაიადან" ის და **დავით ქირიაც** გაუჩინარდნენ. ქირია პირველი ლიგის ჭიათურის "მაღაროელში" თამაშობდა, აქუბარდია კი უგუნდოდ იყო. რა იყო ამის მიზეზი, ჩვენთვის უცნობია.

**მერაბ მამულაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# ვეტერინარებმა გუშინ დაიწყეს

"ვიტ ჯორჯიას" სრულმა შემადგენლობამ 5 და 6 იანვარს სამედიცინო შემოწმება გაიარა, გუშინ კი **ზურაბ ბერიძის** გუნდი სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას შეუდგა.

პირველ მოსამზადებელ ეტაპს "ვიტ ჯორჯია" 24 იანვრამდე მცხეთაში გაივლის და ამ დროის განმავლობაში სამ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. ვიტელთა რიგებში მომხდარ ცვლილებებზე მკითხველი უკვე ინფორმირებულია, მოსალოდნელია სხვა სიახლეებიც, რომელთაც უახლოეს დღეებში გაცნობებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონი



ლევან მქედლიძე (შუაში)

# კალაძის ტრავმა სამკვირიანია

გუშინ ტყუილად ველოდით „ჯენოას“ მატჩს „კალიარისთან“, **კახა კალაძე** დაშავებულა და გენუელებმა სეზონი მის გარეშე განაახლეს. მტკივანი კუნთი ჩვენებურს, სულ მცირე, 3 კვირით დაასვენებს.

იტალიურ სერია B-ში ქართველთა „ემპოლიმ“, რომელიც გასავარდნ ზონასთან სახიფათო სიახლოვესაა, კვლავ წააგო - სტუმრად „ჩიტადელასთან“ - 1:2. 21 წლის **ლევან მქედლიძემ** შეუცვლელად ითამაშა, თუმცა ყვითელი ბარათის მიღების გარდა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. ლევანს სეზონის 11 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი აქვს გატანილი. აღსანიშნავი უფრო ისაა, რომ სერია B-ს მატჩის განაცხადში კარიერაში პირველად მოხვდა 19 წლის **ირაკლი შეყილაძე**, თუმცა მას „ჩიტადელასთან“ თამაშმა არ მოუწია.

ბერძნულ სუპერლიგაში ქართულ დაპირისპირებას ველოდით, რომელიც არ შედგა - **გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისმა“ 1:0 მოუგო **დავით კვირკველიას** „პანიონიოსს“, მაგრამ ათენელებს კრეტაზე კვირკველია არ წაჰყოლია, შაშიაშვილმა კი დაცვის ცენტრში შეუცვლელად ითამაშა. „ერგოტელისი“ (21 ქულა) უკვე 5 ქულით უსწრებს „პანიონიოსს“.

თურქეთში სენსაციასთან ახლოს იყო **აკაკი ხუბუტიას** „სამსუნი“, რომელიც „გალათასარაის“ პირველი ტაიმის შემდეგ 2:0-ს უგებდა. მაგრამ მეორეში სტამბოლელებმა 4 უპასუხო გოლი გაუტანეს შავიზღვისპირელებს. ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა. „სამსუნი“ 13 ქულით ბოლოსწინაა თურქულ სუპერლიგაში. **შოთა არველაძის** „ქაისერი“ „ანთალიას“ ტრავმირებული **ზურაბ ხიზანიშვილის** გარეშე ეწვია და 0:1 წააგო.

განახლდა კვიპროსის ჩემპიონატი, სადაც მხოლოდ ერთი „ქართული“ გუნდია - ახნასის „ეთნიკოსი“. **ლევან მაღრაძემ** თავიდან ბოლომდე ითამაშა, ხოლო **ლევან ქებაძე** სათადარიგო იყო „ერმისთან“ 2:1 მოგებულ მატჩში. „ეთნიკოსის“ მიზანი რვა საუკეთესოს შორის მოხვედრაა, რათა პირველ დივიზიონში დარჩენისთვის ბრძოლის ბატალიები აირიდოს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● სავარაუდო ტრანსფერი

# პოლონელების ცნობით, ლადო დვალიშვილი თითქმის პოლონიელია

პოლონური მედიის ინფორმაციით, 26 წლის ქართველი თავდამსხმელი **ვლადიმერ დვალიშვილი** ვარშავის „პოლონიაში“ ითამაშებს, მის შემცვლელს უკვე ეძებენ ჰაიფას „მაქაბიში“.

*„დვალიშვილს, რომელსაც კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება, ებრაული მხარე ნახევარ მილიონ დოლარად აფასებს, მაგრამ, თუ პოლონელები „მაქაბის“ მისაღებ წინადადებას შესთავაზებენ, სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე ქართველი პოლონეთში გადმოვა“,* - იუწყებიან ჩვენი პოლონელი კოლეგები.

ლადო დვალიშვილი ჰაიფას „მაქაბიში“ 2009 წელს გადავიდა, ამ გუნდის მაისურით დღემდე 64 მატჩი გამართა და 35 გოლი გაიტანა.

**მაგდა კლდიაშვილი**



ლადო დვალიშვილი

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება, საკონტროლო მატჩები |
|---|---|---|---|
| **ზესტაფონი** გიორგი ჭიაბრიშვილი | დაუშვილი (კარპატი), ძარია (?), ნ. გელაშვილი (?), ჭანკოტაძე, კიკნაველიძე, სარდალიშვილი (სამივე - გაგრა, იჯარით), ს. ლომია (სიონი) | გუგუჩია, სამუშია (ორივე - ბაია), შარიქაძე, ოვონიკოკო (ორივე - გაგრა), რაჟამაშვილი (დილა), დ. მუჯირი (ჰიროშიმა, იაპონია) | 8 იანვრიდან - ზესტაფონში |
| **ტორპედო** გია გეგუჩაძე | მეგრელაძე (?), დ. ბოლქვაძე (?), ს. თოდუა (?), ფოფხაძე (?), ჩიკვილაძე (?) | **რიგვავა (ბაია), ლემონჯავა (კოლხეთი), ფირცხალავა (დინამო), ქუცურუა, რეხვიაშვილი, ვ. ბოლქვაძე (სამივე - სიონი), კემუხტაშვილი (სიონი - იჯარა დაუმთავრდა)** | 4 იანვრიდან - თბილისში 9 იანვრიდან - ქუთაისში |
| **დინამო** ალექს გარსია | **ნადირაძე (სპარტაკი)** | მერებაშვილი (ვოივოდინა, სერბეთი), გოგუა (ვოლგა, რუსეთი), პარუნაშვილი, პაპავა, ხოჭოლავა (სამივე დუბლშემადგენლობიდან) | 9 იანვრიდან - თბილისში |
| **მეტალურგი** კობა ჟორჟიკაშვილი | კვახაძე (?), წენგუაშვილი (?), ჩადუნელი (?), პავლიაშვილი (?) | სიხარულიძე, ოთარიშვილი (ორივე ვიტ ჯორჯია) | 5 იანვრიდან - რუსთავში |
| **მერანი** მალხაზ ჟვანია | სამადაშვილი (?), თ. შალიკაშვილი (?), ჭაფოძე (?), მემარნიშვილი (?), იატრო (?) | ეხვაია (ბაია), კვერენჩხილაძე (გურია), ბოხუა (ჩხერიმელა) | 8 იანვრიდან - მარტვილში |
| **ბაია** გოჩა ტყებუჩავა | **ე. ქომეთიანი (მთ. მწვრთნელი) სამუშია, გუგუჩია (ორივე - ზესტაფონი), რიგვავა (ტორპედო)**, ეხვაია (მერანი), სომხიშვილი (?), წურწუმია (?), აფაქიძე (?), მგელაძე (?) | **გ. ტყებუჩავა (მთ. მწვრთნელი),** კუტალია (ზრინსკი, ბოსნია), აქუბარდია (?), რ. ონიანი | 10 იანვრიდან - ზუგდიდში |
| **ვიტ ჯორჯია** ზურაბ ბერიძე | სიხარულიძე, ოთარიშვილი (ორივე მეტალურგი), ხუმარაშვილი (?) | | 8 იანვრიდან - თბილისში |
| **გაგრა** ზვიად ჯელაძე | **შარიქაძე, ოვონიკოკო (ორივე ზესტაფონი)**, გაბედავა (?), სიჭინავა (?), ზ. ჩხეტიანი (?), გაბუნია (?), ნაკონეჩნი (?), კ. სეფიაშვილი (?), ქართველიშვილი (?) | ჭანკოტაძე, კიკნაველიძე, სარდალიშვილი (სამივე - ზესტაფონი - იჯარით), | 8 იანვრიდან - თბილისში |
| **სპარტაკი** ვლადიმერ ხაჩიძე | ჯიქია (?), შალამბერიძე (?), ბოიომო (?), ციმაკურიძე (?), ნ. დაუშვილი (?), გ. სეფიაშვილი (?), გ. ალავიძე (?), თიბილაშვილი (?), მეტრეველი (?), ქანთარია (?), დეკანოიძე (?) | **ნადირაძე, ჩაფიძე, გაბაშვილი, მ. ჯიშკარიანი** (ოთხივე დინამოს დუბლები) | 4 იანვრიდან - თბილისში |
| **დილა** თემურ მახარაძე | **რაჟამაშვილი (ზესტაფონი)** | ინწკირველი, მეგრელიშვილი (ორივე - კოლხეთი), ბეჟვაია | 9 იანვრიდან - გორში |
| **კოლხეთი** დავით მახარაძე | **ლემონჯავა (ტორპედო),** ინწკირველი, მეგრელიშვილი (ორივე - დილა), | | |
| **სიონი** ლევან ბაჭელიძე | **ქუცურუა, რეხვიაშვილი, ვ. ბოლქვაძე (სამივე - ტორპედო), კემუხტაშვილი (ტორპედო - იჯარა დაუმთავრდა)** | **ს. ლომია (ზესტაფონი - იჯარით)** | |

შენიშვნა: *მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

## სიენა-ლაციო 4:0

**სიენა (4-4-2):** პეგოლო – ანჯელო, როსეტინი, ტერცი, დელ გროსო – ბრიენცა, ბოლცონი, გაცი (67. კოდრეა), გროსი (50. მანინი) – კალაიო, დესტრო (84. რეჯინალდო).

**ლაციო (4-4-2):** ბიძარი – სკალონი (45. კარიცო), სტანკევიჩუსი, ბიავა, რადუ – ლულიჩი, ლედესმა, ცანა (46. გონსალესი), სკული (80. დიაკიტე) – სისე, კლოზე.

**გოლები:** 1:0 დესტრო (11), 2:0 კალაიო (35-პენ.), 3:0 კალაიო (49-პენ.), 4:0 დესტრო (81).

**გაფრთხილება:** როსეტინი, დელ გროსო, დესტრო - სკული.

**გაძევება:** ბიძარი (45. ლაციო)

**კუთხური:** 1-7; **ჯარიმა:** 12-15; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 14(7)-11(3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 15 000

## ინტერი-პარმა 5:0

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი – მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ნაგატომო – მოტა, კამბიასო (58. პოლი), ძანეტი, ალვარესი (72. კოუტინიო) – მილიტო (76. ფარაონი), პაცინი.

**პარმა (4-4-1-1):** მირანტე – ძაკარდო, პალეტა, ბრანდაო, გობი – მოდესტო, მორონე (60. პერეირა), გალოპა (68. მუსაჩი), მოდესტო (56. პელე) – ჯოვინკო – ფლოკარი.

**გოლები:** 1:0 მილიტო (13), 2:0 მოტა (18), 3:0 მილიტო (41), 4:0 პაცინი (56), 5:0 ფარაონი (79).

**გაფრთხილება:** სამუელი - გალოპა.

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 10(6)-10(1); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 37 000

## უდინეზე-ჩეზენა 4:1

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, დანილო (86. პასკუალე), დომიცი – ბასტა, პინცი, ისლა, ასამოა, არმერო – ფლორო ფლორესი, დი ნატალე (84. ფაბრინი).

**ჩეზენა (4-3-2-1):** ანტონიოლი – კომოტო, ფონ ბერგენი, როდრიგესი, ლაურო – გუანა, ჩეკარელი (69. როსი), პაროლო – კანდრევა (68. კოლუჩი), ედერი – მუტუ.

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (1), 1:1 ედერი (39), 2:1 ასამოა (54), 3:1 ბასტა (75), 4:1 დი ნატალე (83).

**გაფრთხილება:** ბენეტია – ლაურო, პაროლო.

**გაძევება:** ლაურო (61. ჩეზენა)

**კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 12-11; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 16(6)-8(3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 18 000

## რომა-კიევო 2:0

**რომა (4-3-1-2):** სტეკელენბურგი – ტადეი, ჟუანი, ჰაინცე, ანხელი – სიმპლისიო (68. გაგო), დე როსი (80. გრეკო), პიანიჩი – ტოტი (87. კაპრარი) – ლამელა, ბოიანი.

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – ფრეი, ცეზარი, ანდრეოლი, იოკიჩი – ბრედლი, ჰეტემაი (83. რიგონი), ლუჩანო – თერეუ – პელისიერი, პალოსკი (59. მოსკარდელი).

**გოლები:** 1:0 ტოტი (34-პენ.), 2:0 ტოტი (78-პენ.).

**გაფრთხილება:** ჰაინცე, ტოტი, ბოიანი - ჰეტემაი.

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 12(8)-7(2); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 40 000

## ატალანტა-მილანი 0:2

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – მაზიელო, ფერი, მანფრედინი, პელუზო – კარმონა (71. ბონავენტურა), ჩიგარინი, სკელოტო, პადოინი – მარილუნგო (56. ტირიბოკი) – დენისი.

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – ბონერა, მექსე, ტიაგო სილვა, ძამბროტა – ბოატენგი, ვან ბომელი, ნოჩერინო – ემანუელსონი – პატო (68. რობინიო), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 იბრაჰიმოვიჩი (22-პენ.), 0:2 ბოატენგი (82).

**გაფრთხილება:** მანფრედინი, ჩიგარინი, კარმონა – ბონერა, ბოატენგი.

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 19-16; **თამაშგარე:** 0-3; **კარში დარტყმა:** 5(3)-7(3); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 21 000

## ბოლონია-კატანია 2:0

**ბოლონია (3-4-1-2):** ჟილე – რაჯი, ლორია (37. კერუბინი), ანტონსონი – პერესი, მორლეო, მუდინგაი, პულცეტი – დიამანტი (64. რამირესი) – აკვაფრესკა (82. ხიმენესი), დი ვაიო.

**კატანია (4-3-3):** კამპანიოლო – ალვარესი, ბელუში, ლეგროტალიე, ისკო – მარკეზე (64. ლიაშა), ლოდი, ალმირონი – გომესი (46. ბიაჯანტი), ბარიენტოსი (74. ბერგესიო), მაქსი ლოპესი.

**გოლები:** 1:0 კერუბინი (50), 2:0 დი ვაიო (90).

**გაფრთხილება:** მუდინგაი, დი ვაიო, კერუბინი – ისკო, ალვარესი, ლეგროტალიე, მარკეზე.

**გაძევება:** ბიაჯანტი (78. კატანია)

**კუთხური:** 2-1; **ჯარიმა:** 29-12; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 11(5)-6(2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 22 000

## კალიარი-ჯენოა 3:0

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, კანინი, ასტორი, აგოსტინი – ეკდალი (80. ბიონდინი), დესენა, ნაინგოლანი (86. არიაუდო) – კოსუ – იბარბო (83. ელ ქაბირი), ლარივეი.

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – გრანკვისტი, მესტო, დაინელი, მორეტი – სეიმური, კონსტანტი (70. ანტონელი), კუჩკა (35. ხორკერა), როსი – იანკოვიჩი (83. მერკელი), ჯილარდინო.

**გოლები:** 1:0 ლარივეი (13-პენ.), 2:0 იბარბო (56), 3:0 გრანკვისტი (72-ს.კ.).

**გაფრთხილება:** აგოსტინი, დესენა – გრანკვისტი, დაინელი, კონსტანტი.

**გაძევება:** მორეტი (66. ჯენოა).

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 13-18; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 17(8)-7(2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 14 000

## ლეჩე-იუვენტუსი 0:1

**ლეჩე (3-5-2):** ბენასი – ოდო, ტომოვიჩი, კუადრადო, ესპოზიტო – შტრასერი (5. ოლივერა), ობოდო (83. კორვია), ჯაკომაცი, მესბა – მურიელი, დი მიკელე (73. პასკუატო).

**იუვენტუსი (4-3-3):** ბუფონი - ლიხტშტაინერი, ბარცალი, ბონუჩი, კიელინი - მარკიზიო, პირლო (88. მარონე), ვიდალი – პეპე (85. დე ჩელიე), კვალიარელა (23. მატრი), ვუჩინიჩი.

**გოლი:** 0:1 მატრი (27).

**გაფრთხილება:** ოდო, კუადრადო, ოლივერა – კიელინი, ვიდალი.

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 10(3)-14(8); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 30 000

## ნოვარა-ფიორენტინა 0:3

**ნოვარა (4-3-1-2):** უიკანი – მორგანელა, ჩენტურიონი, პაჩი, ჯემიტი – პორკარი, მაძარანი (79. პინარდი), რიგონი – მარიანინი – მეჯორინი (50. რუბინო), კარაჩოლო (79. გრანოჩე).

**ფიორენტინა (3-5-2):** ბორუცი – ნატალი, გამბერინი, ნასტასიჩი – კასანი (80. დე სილვესტრი), ბეჰრამი, მონტოლივო, ვარგასი, სალიფუ (80. ხარჯა) – იოვეტიჩი, ლიაიჩი (67. ლაძარი).

**გოლები:** 0:1 იოვეტიჩი (20-პენ.), 0:2 მონტოლივო (42), 0:2 იოვეტიჩი (49).

**გაფრთხილება:** ჩენტურიონი – ნასტასიჩი, სალიფუ.

**კუთხური:** 12-1; **ჯარიმა:** 13-20; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 5(0)-12(4); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 11 000

## პალერმო-ნაპოლი 1:3

**პალერმო (4-3-1-2):** ბენუსი - მუნოზი, სილვესტრი, ჩეტო, ბალცარეტი – მილიაჩო, ბარეტო, დელა როკა (46. ასკუა) – ვასკესი (46. ალვარესი) - მიკოლი, ბუდანი (79. მეჰმეთი).

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – არონიკა, კანავარო, კამპანიარო – მაჯო, ინლერი, გარგანო (72. ჯემაილი), დოსენა – პანდევი (83. ჩავესი), ჰამშიკი (77. ცუნიგა) – კავანი.

**გოლები:** 0:1 პანდევი (35), 0:2 კავანი (54), 0:3 ჰამშიკი (60), 1:3 მიკოლი (89).

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 9-5; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8(3)-11(6); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 32 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 17 | 11 | 4 | 2 | 37-16 | 37 |
| 2. იუვენტუსი | 17 | 10 | 7 | 0 | 27-10 | 37 |
| 3. უდინეზე | 17 | 10 | 5 | 2 | 24-10 | 35 |
| 4. ლაციო | 17 | 8 | 6 | 3 | 24-17 | 30 |
| 5. ინტერი | 17 | 9 | 2 | 6 | 27-19 | 29 |
| 6. ნაპოლი | 17 | 7 | 6 | 4 | 32-19 | 27 |
| 7. რომა | 17 | 8 | 3 | 6 | 23-19 | 27 |
| 8. კატანია | 17 | 5 | 7 | 5 | 20-25 | 22 |
| 9. ფიორენტინა | 17 | 5 | 6 | 6 | 18-15 | 21 |
| 10. კალიარი | 17 | 5 | 6 | 6 | 15-17 | 21 |
| 11. პალერმო | 17 | 6 | 3 | 8 | 19-23 | 21 |
| 12. ჯენოა | 17 | 6 | 3 | 8 | 19-27 | 21 |
| 13. ატალანტა | 17 | 6 | 8 | 3 | 23-21 | 20 |
| 14. კიევო | 17 | 5 | 5 | 7 | 13-20 | 20 |
| 15. პარმა | 17 | 5 | 4 | 8 | 21-31 | 19 |
| 16. სიენა | 17 | 4 | 6 | 7 | 18-16 | 18 |
| 17. ბოლონია | 17 | 5 | 3 | 9 | 16-24 | 18 |
| 18. ნოვარა | 17 | 2 | 6 | 9 | 17-32 | 12 |
| 19. ჩეზენა | 17 | 3 | 3 | 11 | 9-24 | 12 |
| 20. ლეჩე | 17 | 2 | 3 | 12 | 17-34 | 9 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 2 - დენისი (ატალანტა), დი ნატალე (უდინეზე), იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 10 – კავანი (ნაპოლი).

## სერია B

XXI ტური

**ტორინო-ალბინოლეფე** 0:0

**ასკოლი-პადოვა** 0:2

**გოლები:** ლაზარევიჩი (78), 0:2 კუტოლო (90).

**ბრეშა-კროტონე** 3:0

**გოლები:** 1:0 ქადური (14), 2:0 ვასი (65), 3:0 ფეშეზინი (75).

**ჩიტადელა-ემპოლი** 2:1

**გოლები:** 1:0 ვიტოფრანჩესკო (45), 1:1 მორი (54), 2:1 კარმინე (73).

**გუბიო-ბარი** 2:2

**გოლები:** 0:1 კაპუტო (53), 0:2 კაპუტო (71), 1:2 გრაფიედი (73-პენ.), 2:2 ბუჩელი (75).

**ნოჩერინა-პესკარა** 2:4

**გოლები:** 1:0 გერარდი (7), 1:1 კაშონე (8), 1:2 იმობილე (10), 1:3 იმობილე (28), 2:3 ფარიასი (52), 2:4 მანიერო (89).

**სამპდორია-ვარეზე** 0:1

**გოლი:** 0:1 დამონტე (90).

**სასუოლო-იუვე სტაბია** 2:1

**გოლები:** 1:0 სანსონე (52), 1:1 საუ (74), 2:1 სანსონე (90-პენ.).

**ვიჩენცა-რეჯინა** 0:0

**ვერონა-მოდენა** 2:1

**გოლები:** 0:1 გრეკო (35), 1:1 ლეპილერი (87), 2:1 ტალები (89).

**გროსეტო-ლივორნო** 1:1

**გოლები:** 1:0 კარიდი (57), 1:1 ბელინგერი (73).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორინო | 21 | 12 | 6 | 3 | 25-13 | 42 |
| 2. ვერონა | 21 | 12 | 5 | 4 | 29-20 | 41 |
| 3. სასუოლო | 21 | 11 | 7 | 3 | 27-15 | 40 |
| 4. პესკარა | 21 | 12 | 3 | 6 | 45-33 | 39 |
| 5. პადოვა | 21 | 11 | 5 | 5 | 31-22 | 38 |
| 6. რეჯინა | 21 | 8 | 7 | 6 | 34-24 | 31 |
| 7. ვარეზე | 21 | 8 | 7 | 6 | 26-20 | 31 |
| 8. გროსეტო | 21 | 7 | 8 | 6 | 25-27 | 29 |
| 9. იუვე სტაბია | 21 | 9 | 5 | 7 | 30-27 | 28 |
| 10. ჩიტადელა | 21 | 8 | 4 | 9 | 26-30 | 28 |
| 11. სამპდორია | 21 | 5 | 11 | 5 | 26-19 | 26 |
| 12. ვიჩენცა | 21 | 6 | 8 | 7 | 25-26 | 26 |
| 13. ბარი | 21 | 7 | 7 | 7 | 23-25 | 26 |
| 14. ბრეშია | 21 | 6 | 7 | 8 | 22-26 | 25 |
| 15. კროტონე | 21 | 6 | 7 | 8 | 20-25 | 24 |
| 16. ემპოლი | 21 | 6 | 4 | 11 | 27-33 | 22 |
| 17. ალბინოლეფე | 21 | 5 | 7 | 9 | 25-34 | 22 |
| 18. ლივორნო | 21 | 5 | 6 | 10 | 20-22 | 21 |
| 19. მოდენა | 21 | 4 | 8 | 9 | 20-34 | 20 |
| 20. გუბიო | 21 | 4 | 7 | 10 | 18-32 | 19 |
| 21. ნოჩერინა | 21 | 3 | 7 | 11 | 30-40 | 16 |
| 22. ასკოლი | 21 | 6 | 4 | 11 | 23-30 | 15 |

*შენიშვნა: ასკოლი – 7 ქულა, იუვე სტაბია - 4, ბარი – 2, კროტონე - 1 ქულა.*

**ბომბარდირები:** 13 – ტავანო (ემპოლი), იმობილე (პესკარა); 11 - აბრუსკატო (ვიჩენცა), სფორცინი (გროსეტო), სანსოვინი (პესკარა), სანსონე (სასუოლო).

## ლეგა პრო 1/A

ბენევენტო-ფოჯა 0:1, ფოლინო-აველინო 1:0, პიზა-სპალ 1:2, პრო ვერჩელი-კომო 2:0, რეჯანა-პავია 2:1, სორენტო-მონცა 2:0, ტარანტო-ლუმეცანე 1:0, ტრიტიუმი-კარპი 0:1, ვიარეჯო-ტერნანა 0:3.

## ლეგა პრო 1/B

ანდრია-სპეცია 1:2, კარარეზე-კრემონეზე 2:1, ფერალპიზალო-ტრიესტინა 2:0, პერგოკრემა-პორტოგრუარო 1:4, პიაჩენცა-სუდტიროლი 0:0, პრატო-ტრაპანი 1:2, სირაკუზა-ლატინა 0:0, ლანჩანო-ბასანო 1:0, ფროზინონე-ბარლეტა დღეს.

**● იტალია. სერია A. XVII ტური**

# ლიდერთა ტრიო გამოიკვეთა

## თუმცა ინტერმა აიწყვიტა და...

როგორც ჩანს, საშობაო შესვენებამ ფეხბურთელებზე, განსაკუთრებით კი შემტევებზე კარგად იმოქმედა, რადგან სერია A-ს მე-17 ტური უხვგოლიანი გამოდგა და შესაბამისად, თამაშები ერთობ სანახაობრივი გამოვიდა. ბევრისთვის მოულოდნელი შედეგებით დასრულდა შაბათის შეხვედრები და ჩვენც სწორედ პირველი სათამაშო დღით დავიწყოთ...

უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ინტერმა“ კრიზისი დაძლია და აღმავლობის გზას დაადგა. მილანურმა გრანდმა საკუთარ მოედანზე „პარმა“ მიიღო და მეტოქე მიწასთან გაასწორა. მასპინძლებმა ხუთი უპასუხო ბურთი მიართვეს მოწინააღმდეგეს და გულშემატკივრები აღფრთოვანებაში მოიყვანეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შედეგიან იერიშებზე ორიოდე სიტყვა აუცილებლად უნდა ვთქვათ, რადგან გოლები მართლაც ერთი-მეორეზე უკეთესი გამოვიდა.

ანგარიში შეხვედრის სტარტზევე **დიეგო მილიტომ** გახსნა, ვინც მარცხენა ფრთიდან **რიკი ალვარესის** პასს გამოეხმაურა და ერთი შეხებით, ტერფის გარე ნაწილით გადაგზავნა ბურთი ემილიელთა კარის ჩარჩოში - 1:0. ძალიან მალე, მილანელებმა მეორე გოლი გაიტანეს და ამჯერად თავი **ტიაგო მოტამ** გამოიჩინა - ბრაზილიური წარმოშობის იტალიელმა დაახლოებით 30 მეტრიდან დაუბათქუნა და „პარმას“ კიპერი უშანსოდ დატოვა - 2:0. მესამე გოლი ისევ დიეგო მილიტოს ანგარიშზეა, ვინც აშკარად საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე სეზონში და გაგვახსენა, თუ როგორ თამაშობდა ორი-სამი წლის წინ. არგენტინელი საჯარიმოში დაუხვდა დაკიდებულ ბურთს, თავი დაჰკრა და საწყალ **მირანტეს** კიდევ ერთხელ გამოაღებინა ბურთი საკუთარი კარიდან - 3:0. ისე არ გამოდიოდა, რომ ერთი გოლი **ჯამპაოლო პაცინის** არ გაეტანა. მოსახდენი 56-ე წუთზე მოხდა - ჯამპაოლო ერთი-ერთზე შეატოვეს კიპერს და მანაც მეოთხეჯერ გაახვია ბურთი ემილიელთა კარის ბადეში. მეხუთე, ანუ ბოლო გოლი **ფარაონის** ანგარიშზეა: ახალგაზრდა შემტევმა საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო ბურთი, უძლიერესად დაარტყა და ხარიხის გავლით კარში მოათავსა.

ნამატჩევს **კლაუდიო რანიერი** უაღრესად კმაყოფილი გახლდათ: *„რომელ ადგილზე დავასრულებთ ჩემპიონატს? - ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი კი ვიცი, დღევანდელი „ინტერი“ ახლოს არის იმ იდეალთან, რომლისკენაც მივისწრაფვით. მაშინაც კი, როდესაც მკაცრად გვაკრიტიკებდნენ, დარწმუნებული ვიყავი, რომ კრიზისს დავძლევდით და ავთამაშდებოდით. რაც შეეხება მომდევნო ტურში დაგეგმილ მილანურ დერბის, დარწმუნებული ვარ, რომ გულშემატკივრები საოცარ სანახაობას იხილავენ. „მილანთან“ ჯახს შესანიშნავ ფორმაში ვხვდებით და მჯერა, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“.*

დიახ, მომდევნო ტურში მილანური დერბია და იტალიაში ამ მატჩის შესახებ აქედანვე ძალიან ბევრს საუბრობენ. თუმცა, დერბისთვის კიდევ არაერთხელ მოვიცლით და უმჯობესია, გასული ტურის კიდევ ერთ საინტერესო შეხვედრას შევეხოთ, რომელშიც „სიენამ“ „ლაციო“ გაანადგურა.

ტოსკანელებმა პირველივე წუთებიდან იგდეს ხელთ უპირატესობა და ძალიან მალე, ეს პირველ გატანილ გოლში ასახეს - მარჯვენა ფლანგიდან რომაელთა საჯარიმოში **დესტრომ** შეირბინა და ძლიერი დარტყმით ბურთი მეკარისაგან შორეულ კუთხეში მოათავსა - 1:0. რომაელებმა სცადეს ინიციატივის დაუფლება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და ტაიმის შუაწელს თერთმეტმეტრიანი აიკიდეს - უმაღლესი საფეხბურთო სასჯელი **კალაიომ** შეასრულა და მასპინძლები ორი ბურთის სხვაობით დააწინაურა. პირველ ტაიმის მიწურულს ტოსკანელებმა კიდევ ერთხელ შეარხიეს რომაელთა კარის ბადე და ამით, საბოლოოდ გადაწყვიტეს მატჩის ბედი. მესამე გოლი ისევ კალაიომ გაიტანა და ისევ თერთმეტმეტრიანით, ამასთან, ბოლო იმედის ჯარიმისთვის მოედნიდან სტუმართა კიპერი **ბიძარი** გააძევეს. მეორე ნახევარში დესტრომ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა - 4:0.

მატჩის შემდეგ **ედუარდო რეია** სასოწარკვეთილი იყო: *„ეს იყო ყველაზე ცუდი შეხვედრა, რაც „ლაციომ“ ჩემი თავკაცობით ჩაატარა. პირველად ჩემს სამწვრთნელო კარიერაში, ერთი სული მქონდა როდის დაასრულებდა არბიტრი შეხვედრას. ამ საქმეს ასე არ დავტოვებ და აუცილებლად გავერკვევი რა დაგვემართა და რატომ დავიჩაგრეთ ასე ძალიან. ყველანი უნდა დავფიქრდეთ მომხდარზე და მსგავსი რამ აღარასოდეს გავიმეოროთ. გულშემატკივრებს ბოდიში მინდა მოვუხადო და დავპირდე, რომ მომდევნო ტურში სრულიად სხვა „ლაციოს“ იხილავენ“.*

ლიდერებმა კვირას გამართეს შეხვედრები და სამ-სამი ქულაც ჩაიწერეს აქტივში. პირველად „უდინეზემ“ იძალა მეტოქეზე და ორ საათზე ცოტა მეტი ხნით სათავეშიც კი ედგა სატურნირო ცხრილს. ფრიულელებმა „ჩეზენას“ უმასპინძლეს და მეორე ტაიმში გატეხეს მეტოქე. ანგარიში პირველივე წუთზე **ანტონიო დი ნატალემ** გახსნა და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მასპინძლები მალევე მოკლავდნენ ინტრიგას. მთლად ასე არ მოხდა, რადგან პირველი ტაიმის დასრულებამდე 6-7 წუთით ადრე სტუმრებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს - **ჩეკარელის** მიერ თავით გაკეთებული გადაცემის შემდეგ, უდინელთა კარის ბადე **ედერმა** შეარხია - 1:1.

მეორე ნახევარი თანაბარ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა, როდესაც სტუმართა კიპერმა უხეში შეცდომა დაუშვა და **ასამოას** მიერ არც თუ ძლიერად დარტყმული ბურთი კარში შევარდა - 2:1. აი აქ კი გატყდა „ჩეზენა“ და დარჩენილი დრო მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა. 75-ე წუთზე შორეული დარტყმით თავი **დუშან ბასტამ** გამოიჩინა, თამაშის დასრულებამდე რვა წუთით ადრე კი ტოტო დი ნატალემ დუბლი შეასრულა და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა, 4:1.

ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართა ბერგამოში, სადაც „ატალანტამ“ „მილანს“ უმასპინძლა და უშანსოდ წააგო, 0:2. პირველი გოლი **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** თერთმეტმეტრიანით გაიტანა - ასისტენტად **ალეშანდრე პატო** შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან პენალტი სწორედ ბრაზილიელმა ფორვარდმა აიკიდა. მეორე გოლი ანტრაქტის შემდეგ გავიდა და ამ შემთხვევაშიც ზლატანი გახლდათ მთავარ როლში: ბოსნიური წარმოშობის შვედმა ფორვარდმა მარჯვენა ფრთაზე შეიგდო ბურთი, იქიდან **კევინ პრინს ბოატენგს** გაუკეთა უზუსტესი გადაცემა და მანაც ერთი შეხებით დალაშქრა მასპინძელთა კარი, 0:2. დარჩა შთაბეჭდილება, რომ „როსონერიმ“ ძალების დაზოგვით შეძლო კერკეტი მეტოქის დამარცხება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი მილანურ დერბის შესანიშნავ ფორმაში ხვდება.

„უდინეზეს“ და „მილანს“ „იუვენტუსი“ მხოლოდ გოლებით ჩამორჩა, თორემ სამი ქულა ტურინელებმაც აიღეს. **ანტონიო კონტეს** გუნდმა „ლეჩეს“ მინიმალურად სძლია გასვლაზე და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ მიმდინარე სეზონში არაფრის დათმობას არ აპირებს. ერთადერთი გოლი **ალესანდრო მატრის** ანგარიშზეა, არადა, მას მხოლოდ იმიტომ მიეცა თამაშის საშუალება, რომ 23-ე წუთზე დაშავებული **ფაბიო კვალიარელა** შესაცვლელი შეიქნა. მოკლედ, კვალის არ უმართლებს, ის კვლავ ლაზარეთშია, მატრის კი გოლი გოლზე გააქვს. მთლიანობაში, თამაში სანახაობრივი გამოვიდა და მომენტები ორივე კართან საკმაოდ შეიქმნა. ნამატჩევს, კონტე კმაყოფილი იყო და შეგირდები თავდადებული თამაშისთვის შეაქო.

მე-17 ტურის მთავარი სათქმელი კი ის გახლავთ, რომ სატურნირო ცხრილში ზედა და ქვედა სამეულები გამოიკვეთა. მართალია, ჯერ ძალიან ადრეა რაიმე დასკვნების გამოტანა, მაგრამ 5-ქულიანი სხვაობები თავისთავად ყურადღებას იქცევს.




ინტერი აღარ ხუმრობს

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

## მომდევნო ტური

**14 იანვარი:** კატანია-რომა

**15 იანვარი:** ლაციო-ატალანტა, ჩეზენა-ნოვარა, კიევო-პალერმო, ფიორენტინა-ლეჩე, ჯენოა-უდინეზე, იუვენტუსი-კალიარი, პარმა-სიენა, მილანი-ინტერი.

**16 იანვარი:** ნაპოლი-ბოლონია.

## უცხოური ფეხბურთი

ბაიერნი



ბაიერნმა კაიროს „ალ აჰლის" ივიცა ოლიჩის დუბლით მოუგო

# ოლიჩმა ჰაინკესს დაუმტკიცა

## ნერლინგერი ხაზს უსვამს: არანაირი ტრანსფერი იანვარში

„ბაიერნმა" 2012 წლის პირველი სერიოზული ტესტმატჩი ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოიგო. როგორც იცით, მიუნხენელები ბუნდესლიგის მეორე წრისთვის ყატარში ემზადებიან. გერმანიის ჩემპიონატის განახლებამდე ორი კვირით ადრე, რეკორდმაისტერმა პირველი სერიოზული ამხანაგური მატჩი ეგვიპტურ გრანდთან, კაიროს „ალ აჰლისთან" გამართა და 2:1 გაიმარჯვა. შეხვედრა დოჰაში, სტადიონ „ალ რაიანზე" გაიმართა და მას 8 000 მაყურებელი დაესწრო. საინტერესო ის არის, რომ მიუნხენელთაგან ორივე გოლი **ივიცა ოლიჩმა** გაიტანა, რომელმაც ბავარიული გრანდის ძირითადი გოლეადორი **მარიო გომესი** მე-8 წუთზე შეცვალა. გომესის ნაადრევი შეცვლის მიზეზი მისი ტრავმა გახლდათ, თუმცა „ბაიერნის" ფანებს აქვე დავამშვიდებთ და ვეტყვით, რომ მარიო სერიოზულად არ დაშავებულა.

ოლიჩმა, რომელსაც სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო მიუნხენიდან წასვლაზე ეჭირა თვალი, მაგრამ ხელმძღვანელებმა იანვარში კლუბის გამოცვლა აუკრძალეს, ანგარიში 31-ე წუთზე გახსნა. მეორე ტაიმის დასაწყისში ეგვიპტელებმა წონასწორობა აღადგინეს, გამარჯვების გოლი კი ხორვატმა თავდამსხმელმა მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაიტანა.

„ბაიერნის" თავკაცმა **იუპ ჰაინკესმა** ძირითადი შემადგენლობა 66 წუთის მანძილზე ათამაშა – „დონ იუპმა" სასტარტო თერთმეტეულიდან მხოლოდ **ფრანკ რიბერი** დაასვენა, რომელიც მეორე წრის პირველ მატჩში (მიონხენგლადბახის ბორუსიასთან) დისკვალიფიკაციის გამო ვერ იასპარეზებს. ფრანგთან ერთად, მოედანზე არც ბრაზილიელი მცველი **ბრენო** გამოჩენილა, საერთო ჯამში კი, ჰაინკესმა 24-დან 17 ფეხბურთელი გამოიყენა.

### ნერლინგერი: გაძლიერება არ გვჭირდება

მატჩის შემდეგ „ბაიერნის" მენეჯერმა **კრისტიან ნერლინგერმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მიუნხენური გრანდი იანვარში სატრანსფერო ბაზარზე არ გააქტიურდება, რადგან ამის აუცილებლობა არ არსებობს. მას მერე, რაც რეკორდმაისტერის პრეზიდენტმა **ული ჰიონესმა** ბრძანა, ერთადერთი რგოლი, რომლის გაძლიერებაზე შეიძლება ვიფიქროთ, დაცვის ხაზიაო, გერმანიაში დაიწყო საუბრები იმის შესახებ, რომ ბავარიელები ახალი მცველის ყიდვას აპირებდნენ, მაგრამ ნერლინგერმა ეს ინფორმაციაც უარყო.

*„პრეზიდენტს არ უთქვამს, რომ იანვარში ახალი უკანახაზელის ყიდვას ვაპირებთ. მან თქვა, შეიძლება ამაზე ვიფიქროთო. მე კი დავძენ, რომ შესაძლოა, ჩვენ ახალი მცველი ოდესმე ვიყიდოთ, იმის ალბათობა კი, რომ ეს ახლავე მოხდება, ძალიან მცირეა,"* - აღნიშნა ნერლინგერმა დოჰაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მიუნხენური გრანდის მენეჯერის აზრით, გუნდი ძალიან კარგადაა დაკომპლექტებული და სეზონის მეორე ნახევრისთვის გაძლიერებას არ საჭიროებს. აღსანიშნავია, რომ მცველებს, **დანიელ ვან ბუიტენს** და ბრენოს კონტრაქტები ზაფხულში უმთავრდებათ, მაგრამ 34 წლის ბელგიელი პირველ წრეშიც კარგად გამოიყურებოდა და მას ზაფხულამდე სავარაუდოდ ახალ ხელშეკრულებას გაუფორმებენ. რაც შეეხება ბრაზილიელს: მიუნხენში ყველას იმედი აქვს, რომ ბრენო ზაფხულამდე ბოლოს და ბოლოს მოახერხებს თავისი შესაძლებლობების დამტკიცებას. ასეთ შემთხვევაში, კონტრაქტს მასაც გაუგრძელებენ - „ზებენერშტრასეზე" ძალიან არ უნდათ, რომ წლების წინ ბრენოში გადახდილი 10 მილიონი ევრო წყალში გადაყრილი ფული გამოდგეს.

### სასწრაფოდ: ახალი კონტრაქტი რობენს

ამავდროულად, ნერლინგერმა ოფიციალურად დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ მიონხენგლადბახის ვარსკვლავ **მარკო როისს** მიუნხენელებიც ეპატიჟებოდნენ. მისი თქმით, 22 წლის გარემარბს „ბაიერნმაც" მიმართა კონკრეტული წინადადებით. როგორც იცით, როისმა რეკორდმაისტერს ზურგი აქცია და უპირატესობა დორტმუნდის „ბორუსიას" მიანიჭა, სადაც კარიერას ზაფხულიდან გააგრძელებს. ნერლინგერის თქმით, როისის უარი „ბაიერნისთვის" მიულებელი არ არის.

*„ბაიერნში" მართლა გულახდილად გვიხარია, რომ „დორტმუნდი" ნელ-ნელა ძლიერ გერმანულ კლუბად ყალიბდება და უკვე სერიოზულ კონკურენციას გვიწევს. როისის ტრანსფერით დორტმუნდელებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს იქითკენ, რომ ჩვენი მუდმივი კონკურენტები გახდნენ. მარკოს გადაწყვეტილება ჩვენთვის მიულებელი არ არის, რადგან ფაქტია, რომ „ბაიერნში" მას ამ ეტაპზე სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდებოდა,"* - განაცხადა ნერლინგერმა.

სამაგიეროდ, როისის გადაწყვეტილება სიგნალია იმისა, რომ რეკორდმაისტერმა **არიენ რობენს** სასწრაფოდ ახალი ხელშეკრულება უნდა გაუფორმოს. ნერლინგერი: *„ჩვენ გვყავს რობენი, რომელსაც მალე უნდა გავუფორმოთ ახალი კონტრაქტი, გვყავს ფრანკ რიბერი, თომას მიულერი, ტონი კროოსი და ბასტიან შვაინშტაიგერი, რაც იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნის" ნახევარდაცვა საუკეთესოა გერმანიაში და ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში."*

დაბოლოს: ნერლინგერი დარწმუნებულია, რომ წელს „ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონობას დაიბრუნებს – უბრალოდ წარმოუდგენელია, რომ მიუნხენის „ბაიერნი" ზედიზედ ორჯერ ვერ გახდეს ჩემპიონი...

შალკე

# რაული მილიონებზე უარს ამბობს!

## ფაქტობრივად გადაწყვეტილია: ესპანელი გოლეადორი გელზენკირხენში დარჩება

„ლელოს" მკითხველი ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ **რაულს** „შალკესთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. ცნობილია ისიც, რომ გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელებს 34 წლის ესპანელი თავდამსხმელის შენარჩუნება სურთ, მაგრამ არ შეუძლიათ იმხელა ხელფასის გადახდა, რასაც გონსალეს ბლანკო აქამდე იღებდა. „შალკე" გერმანიის ჩემპიონატის მეორე წრისთვის ყატარში ემზადება, სადაც ვეტერანმა ესპანელმა გულახდილად ისაუბრა და გელზენკირხენელი ფანები დაამედა – მან თქვა, რომ „შალკესთან" ერთად სერიოზული მიზნები აქვს.

*„შალკეში" ბედნიერი ვარ და აქედან წასვლა არ მინდა,* - განაცხადა რაულმა დოჰაში გამართულ პრესკონფერენციაზე, - *ახალი კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებით ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მჯერა, რომ „შალკეს" ხელმძღვანელებთან შეთანხმებას მივაღწევ. აქ მთავარი ის კი არ არის, რამდენხნიან კონტრაქტს გავაფორმებ, არამედ ის, რომ ფეხბურთის თამაში მინდა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს, ამ მომენტში, არ არსებობს მიზეზი, რის გამოც „შალკედან" წასვლაზე უნდა ვიფიქრო."*

ეს ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ რაული „შალკეში" დარჩება. ცნობილია, რომ გელზენკირხენული კლუბის ბოსებთან უკვე შეთანხმებულია მოლაპარაკებების დრო და თარიღი. ამასთან, გაირკვა ისიც, რომ რაულის მეუღლე და შვილები გერმანიაში თავს კარგად გრძნობენ და თანახმა არიან, გონსალეს ბლანკო „შალკეში" დარჩეს. თავად ესპანელს, რომელიც ოჯახთან ერთად არა გელზენკირხენში, არამედ დიუსელდორფში ცხოვრობს, არაერთხელ უთქვამს, რომ მისი მეუღლე და შვილები იქ თავს ჰარმონიულად გრძნობენ.

„შალკესთვის" ერთგულების შეფიცვა რაულისთვის იმასაც ნიშნავს, რომ მან რამდენიმე მილიონზე უარი უნდა თქვას. ესპანელის ხელფასი ამ სეზონის ჩათვლით წელიწადში 7 მილიონი ევროა. ამ თანხიდან 2 მილიონს ჯერ კიდევ „რეალი" უხდის, ხუთს კი „შალკე". ზაფხულიდან „რეალი" 2 მილიონის გადახდას შეწყვეტს და აღარც „ხუმარებს" შეუძლიათ 34 წლის ფეხბურთელისთვის 5 მილიონის მიცემა. როგორც ჩანს, რაულისთვის ფული მართლაც არ არის მთავარი...

რაც შეეხება მიმდინარე სეზონის გეგმებს: *„პირველი წრე ძალიან კარგად ჩავატარეთ, რაც იმის უფლებას გვაძლევს, რომ სეზონის მეორე ნახევარს ოპტიმისტურად შევხვდეთ. ჩვენთვის შესაძლოა დიდი პლუსი იყოს ის, რომ „შალკეს" გერმანიის ჩემპიონობის სერიოზულ კანდიდატად არავინ მიიჩნევს. მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ სეზონის დასრულებამდე 5 ტურით ადრე ლიდერთან ჩამორჩენა 3 ქულაზე მეტი არ იქნება, ვითომ რატომ არ უნდა ვიფიქროთ ჩემპიონობაზე სერიოზულად? ცხადია, „შალკესთან" ერთად ჩემპიონობა ადვილი არ არის, მაგრამ პირველი წრის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, არც არარეალურია. პირადად მე ძალიან მინდა, რომ „ვერცხლის სინს" ხელით შევეხო."*


რაული თითქმის დარწმუნებულია, რომ შალკესთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს

### რაც შეეხება ესპანეთის ნაკრებს...

ესპანეთის ნაკრებში, სადაც 1996-დან 2006 წლამდე 102 მატჩში 44 გოლი გაიტანა, რაული დიდი ხანია აღარ გამოჩენილა და მას მერე, რაც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონთა მთავარმა გოლეადორმა **დავიდ ვილიამ** უმძიმესი ტრავმა მიიღო, ესპანეთში არ წყდება საუბრები იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, **ვისენტე დელ ბოსკემ** რაული ეროვნულ გუნდში დააბრუნოს და გამოცდილი გოლეადორი ევროპის ჩემპიონატზეც იახლოს. რაულის ნაკრებში დაბრუნება არა მარტო ვილიას ტრავმის, არამედ იმის გამოც გახდა რეალური, რომ **ფერნანდო ტორესი** ძალიან ცუდ ფორმაშია.

ცხადია, ამ ამბებმა რაულის ყურამდეც მიაღწია და ესპანეთის ნაკრების ყოფილი ლიდერი ხსენებულ პრესკონფერენციაზე ნაკრების თემასაც შეეხო: *„ესპანეთის ნაკრები დღეს იდეალურად დაკომპლექტებული გუნდია. შესაბამისად, იქ დაბრუნებაზე ერთი წამითაც არ მიფიქრია. თუმცა, თუ ვისენტე დელ ბოსკე ამაზე მართლაც დაფიქრდება და ჩემთან გასაუბრებას მოისურვებს, სიამოვნებით დავთანხმდები,"* - თქვა რაულმა.

ჰერტა


ფელიქს ბასტიანსი

# კობიაშვილს კონკურენტი გამოუჩნდ(ებ)ა!

## ბასტიანსი ბერლინისკენ: ზაფხულში უფასოდ, ან ახლავე იაფად...

როგორც მოსალოდნელი იყო, ბერლინის „ჰერტამ" ფრაიბურგის ახალგაზრდა მარცხენა მცველის, **ფელიქს ბასტიანსის** ტრანსფერი სრულყო. გადაწყვეტილია, რომ 23 წლის ფეხბურთელი „ფრაიდან" „ჰერტაში" ზაფხულში, სეზონის დასრულებისთანავე უფასოდ გადავა, რადგან ბრაისგაუელებთან კონტრაქტი უმთავრდება. თუმცა გამორიცხული არც ისაა, რომ ბასტიანსმა, რომელსაც დაცვის ცენტრშიც შეუძლია თამაში, ბერლინში ახლავე გადავიდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფრაიბურგელები ბასტიანსის ტრანსფერიდან მცირე ფინანსური ხეირის ნახვას დათანხმდებიან და მას „ჰერტას" ახლავე და იაფად დაუთმობენ. დიდი შანსია, რომ ასეც მოხდეს, რადგან „ფრაიბურგში" ბასტიანსი მეორე გუნდშია გადაყვანილი.

ახლა მოხდება ეს, თუ ზაფხულში, ფაქტია, რომ „ჰერტას" ქართველ მარცხენა მცველ **ლევან კობიაშვილს** ახალი კონკურენტი გამოუჩნდება. აი, რას ამბობს ბერლინელთა ახალი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** ამასთან დაკავშირებით: *„ფელიქს ბასტიანსი ლევან კობიაშვილის ძალიან კარგი ალტერნატივაა. გამოცდილმა ქართველმა ფეხბურთელმა პირველ წრეში აბსოლუტურად ყველა შეხვედრაში იასპარეზა და მას მეც ასპროცენტიან ნდობას ვუცხადებ, თუმცა კობი ახალგაზრდა აღარ არის და მის შემცვლელზე ფიქრის დაწყების დრო იყო."*

ვოლფსბურგი. ტრანსფერები


იბრაჰიმ სისოკო

# მეექვსე, მეშვიდე: ლოპესი, სისოკო...

## მაგათი ყიდულობს და ყიდულობს, ვოლფსბურგში მალე სათვალავი აერევათ

**ფელიქს მაგათის** სატრანსფერო საგიჟეთი გრძელდება: გასული კვირა „ვოლფსბურგის" მწვრთნელმა და მენეჯერმა კიდევ ორი, რიგით მეექვსე და მეშვიდე ახალწვეულების წარდგენით დაასრულა. ესენი არიან: 24 წლის ცენტრალური მცველი **ფელიპე ლოპესი** და 20 წლის გარემარბი **იბრაჰიმ სისოკო**. გერმანიის 2009 წლის ჩემპიონთან კონტრაქტები ორივემ 2015 წლის ზაფხულამდე გააფორმეს.

*„ფელიპე მაღალი, მეორე სართულზე იდეალურად მებრძოლი მცველია,"* - განაცხადა მაგათმა ლოპესის შესახებ, რომელიც მან პორტუგალიური „ნასიონალიდან" გადაიბირა. რაც შეეხება სისოკოს: ფელიქსმა ეს უკანასკნელიც პორტუგალიიდან, კერძოდ „აკადემიკადან" შეიძინა და მასში 1.5 მილიონი ევრო გადაიხადა. მაგათის თქმით, ეს უკანასკნელი ძალიან სწრაფი და ტექნიკური გარემარბია – სწორედ ისეთი, როგორიც „ვოლფსბურგს" სჭირდებოდა.

შეგახსენებთ, რომ იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის შემდეგ „ვოლფსბურგმა" უკვე სამი ფეხბურთელი გაუშვა და შვიდი შეიძინა. გუნდიდან წავიდნენ **ალიაკსანდრ ჰლები** („მგლებში" იჯარის წესით თამაშობდა), **თოლგა ჩიგერჩი** (გლადბახში გადავიდა) და **თომას კალენბერგი**. მოვიდნენ: **პეტრ ირჟაჩეკი** (პლზენის „ვიქტორია"), **სლობოდან მედოიევიჩი** (ვოივოდინა ნოვი სადი), **ფერჰად ჰასანი** (ტეტოვო), **ვიერინია** (პაოკ), **ჯოვანი სიო** (სიონი), ფელიპე ლოპესი (ნასიონალი) და იბრაჰიმ სისოკო (აკადემიკა).

ამბები

### ფრაიმ დაცვა გააძლიერა

გერმანული კლუბებიდან სატრანსფერო ბაზარზე „ფრაიბურგიც" გააქტიურდა: ბრაისგაუელებმა ფრანგული „მეციდან" სენეგალელი ცენტრალური მცველი **ფალუ დიანიე** გადაიბირეს. ეს უკანასკნელი 22 წლისაა და საფრანგეთის მეორე ლიგაში ამ სეზონში 14 მატჩი ჩაატარა.

შეგახსენებთ, რომ „ფრაიბურგის" ხელმძღვანელობამ ახალ წლამდე გუნდიდან ექვსი ფეხბურთელი მოკვეთა – **იასინ აბდესადკის, მანუელ ზალცს, კიშო იანოს, მაქსიმილიან ნიკუს, ფელიქს ბასტიანსსა** და კაპიტან **ჰაიკო ბუტშერს** „ფრაიში" მომავალი აღარ აქვთ. გუნდიდან გაუშვეს მწვრთნელი **მარკუს ზორგიც** და ახლა „ფრაიბურგს" **კრისტიან შტრაიხი** ავარჯიშებს. მისი მომდევნო სამიზნე „ზენიტის" დანიელი მარცხენა მცველი **მიხაელ ლუმბია**, რომელიც „ფრაიბურგში" სინჯებს გადის.

### 2011 წლის საუკეთესო კვისტია

დანიის ნაკრებისა და „შტუტგარტის" საყრდენი ნახევარმცველი **ვილიამ კვისტი** დანიაში ზედიზედ მეორედ წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. კვისტი შვაბენლანდურ კლუბში სეზონის წინ „კოპენჰაგენიდან" გადავიდა და გერმანულ გუნდთან კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული.

### ბალიტში ნიურნბერგმა აიყვანა

„ნიურნბერგმა" უკლუბოდ დარჩენილ 31 წლის ნახევარმცველ **ჰანო ბალიტშს** ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ბალიტში „ნიურნბერგში" უფასოდ გადადის, რადგან „ლევერკუზენმა" კონტრაქტი გაუწყვიტა.

გვერდი მოამზადა **გოტფრიდ ლენცმა**

## რასინგი–სარაგოსა 1:0

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ალვარო, ტორეხონი, ბერნარდო სუნიგა, სისმა - დიოპი (74. ციოლისი), კოლსა - არანა, ადრიან გონსალესი (66. სამპერიო), აკოსტა (82. მუნიტისი) - სტუანი.

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - ხუარესი, პინტერი, დ. სილვა, პარედესი - ა. ტომასი (57. ბარერა), მეირა - ლაფიტა (83. ორიოლი), ლუის გარსია, ხუან კარლოსი (46. რუბენ მიკაელი) - პოშტიგა.

**გოლი:** 1:0 ბერნარდო სუნიგა (45)

**გაფრთხილება:** დიოპი, არანა - პარედესი, ტომასი, მეირა

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 14-8 (4-1); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 11 000

## რეალ სოსიედადი–ოსასუნა 0:0

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - ესტრადა, დემიდოვი, მ. გონსალესი, კადამურო - ელუსტონდო, არანბურუ - ველა (78. იფრანი), ზურუტუზა, გრიზმანი - აგირეჩე (65. ჩაბი პრიეტო).

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - დამია, სერხიო, ფლანიო, სატრუსტეგი (72. ბერტრანი) - პუნიალი, ნეკუნამი - იბრაჰიმა (60. ანუნსიატა), ტიმორი (87. ლოლო), ლამა - ნინო.

**გაფრთხილება:** პუნიალი, სატრუსტეგი

**კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 10-18; **თამაშგარე:** 0-1; **კარში დარტყმა:** 20-9 (6-1); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 28 000

## ლევანტე–მალიორკა 0:0

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - პ. ლოპესი, ბალესტეროსი, დელ ორნო, ხუანფრანი - ხ. ტორესი (84. იბორა), ფარინოსი - ელ ყარი (77. იგონი), რ. სუარესი (62. არანდა), ბარკერო - კონე.

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ჩიკო, რამისი, ბიგასი - პინა (58. მარტი), ტისონე - პერეირა, გ. კასტრო (46. ალფარო), ნსუე - ვიქტორი (89. ნუნიეში).

**გაფრთხილება:** ლოპესი, ფარინოსი - პინა, სენდროსი

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 16-23; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 8-11 (2-4); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 15 000

## რეალი–გრანადა 5:1

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - დიარა, ვარანი, სერხიო რამოსი, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - ბენზემა (52. კალეხონი), იოზილი (66. კაკა), რონალდო - იგუაინი (82. ალთინთოპი).

**გრანადა (4-2-3-1):** რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, დიახატე, სიკეირა - იებდა (61. ფ. რიკო), მ. რიკო - უჩე, მარტინში (76. აბელი), ბენიტესი - იგჰალო (65. ხეიხო).

**გოლები:** 1:0 ბენზემა (19), 1:1 მ. რიკო (22), 2:1 სერხიო რამოსი (34), 3:1 იგუაინი (47), 4:1 ბენზემა (50), 5:1 რონალდო (89)

**გაფრთხილება:** იგუაინი - რობერტო

**კუთხური:** 11-8; **ჯარიმა:** 13-8; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 35-12 (12-4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 72 000

## მალაგა–ატლეტიკო 0:0

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი - ტულალანი, კასორლა (85. აპონიო) - ხუანმი (67. ვან ნისტელროი), ბუონანოტე (73. დუდა), ისკო - რონდონი.

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - პერეა, გოდინი, დომინგესი, ფილიპე ლუიში - ტიაგო, გაბი - ხუანფრანი, დიეგო, სალვიო (67. არდა თურანი) - ფალკაო (88. ადრიან ლოპესი).

**გაფრთხილება:** დემიკელისი - დომინგესი, პერეა, ტიაგო, ფალკაო, დიეგო

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 15-24; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-10 (2-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 25 000

## რაიო ვალეკანო–სევილია 2:1

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** დანი - ტიტო, არიბასი, ხორდი, კასადო - ფუეგო, მოვილია (57. დიამანკა) - პიტი (69. რაიკო), მიჩუ, ტრაშორასი - ტამუდო (55. ლ. ბანგურა).

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი - კოკე, სპაჰიჩი, ესკუდე, ნავარო - ფასიო (53. მედელი), რაკიტიჩი - პეროტი, რეიესი (76. ტროხოვსკი), ლუნა (54. კანუტე) - ნეგრედო.

**გოლები:** 1:0 მიჩუ (46), 2:0 ტამუდო (51), 2:1 ესკუდე (62)

**გაფრთხილება:** არიბასი, კასადო, დიამანკა, პიტი - ესკუდე, ნავარო, ფასიო

**კუთხური:** 4-10; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 11-17 (4-4); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 13 000

## ხეტაფე–ბილბაო 0:0

**ხეტაფე (4-4-2):** მოია - ვალერა, კატა დიასი, რაფა, მასილელა - რიოსი (71. გავილანი), მიჩელი, კასკერო (76. ლასენი), აბდელი - მიკუ, გუისა (82. დ. კასტრო).

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ხ. მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე - იტურასპე, დე მარკოსი (54. სან ხოსე) - სუსაეტა, ანდერი, მუნიაინი (82. ი. გომესი) - ტოკერო (64. ფ. ლორენტე).

**გაფრთხილება:** რაფა, მიჩელი, გუისა - აურტენეჩე

**კუთხური:** 9-3; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 16-11 (2-2); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 11 500

## ვილიარეალი–ვალენსია 2:2

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გონსალო (76. ლეჟონი), საპატა, ხ. ორიოლი - კანი (69. კასტელანი), სენა, ბრუნო, ბ. ვალერო - ნილმარი (85. კამუნიასი), მ. რუბენი.

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - მიგელი, რამი, რუისი, მატიო (65. პ. ერნანდესი) - მ. თოპალი, ბანეგა (71. ტინო კოსტა) - ფეგული (75. ადურისი), ჟონასი, ალბა - სოლდადო.

**გოლები:** 1:0 მ. რუბენი (14), 2:0 გონსალო (18), 2:1 ფეგული (41), 2:2 ადურისი (87)

**გაფრთხილება:** საპატა, ორიოლი, ბრუნო, კანი, რუბენი - მიგელი, ბანეგა, ჟონასი

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 13-13 (7-3); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 18 000

## ბეტისი–სპორტინგი 2:0

**ბეტისი (4-4-2):** კასტრო - ისიდორო, მარიო, დორადო, ნაჩო - ხუანმა (69. პერეირა), ბენატი, ირინეი, მონტერო (75. კანიასი) - რ. კასტრო, სანტა კრუსი (60. მოლინა).

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - ლორა, ბოტია, ი. ერნანდესი, კანელია - რივერა (71. მორანი), ანდრე კაშტრო (59. კარმელო) - ტრეხო, ნაჩო ნოვო (46. გრეგორი), დე ლას კუევასი - ბარალი.

**გოლები:** 1:0 სანტა კრუსი (23), 2:0 მოლინა (92)

**გაფრთხილება:** ბენატი - ბოტია, ლორა, კარმელო, მორანი

**გაძევება:** ლორა (43), კარმელო (94)

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 19-11 (8-5); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 35 000

## ესპანიოლი–ბარსელონა 1:1

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კ. ალვარესი (80. კასილია) - ამატი, რ. როდრიგესი, მორენო, დიდაკ ვილა - ფორლინი, რომარიკი (64. ა. ვასკესი) - ტიევი, ვერდიუ, ვეისი (46. ხ. ლოპესი) - ს. გარსია.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პუიოლი, პიკე, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - სანჩესი (71. პედრო), მესი, ფაბრეგასი (84. კეიტა).

**გოლები:** 0:1 ფაბრეგასი (15), 1:1 ა. ვასკესი (86)

**გაფრთხილება:** კასილია, ამატი, როდრიგესი, რომარიკი, ვასკესი, ფორლინი - მესი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 17-7; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 14-10 (4-3); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 34 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 17 | 14 | 1 | 2 | 61-16 | 43 |
| 2. ბარსელონა | 17 | 11 | 5 | 1 | 51-9 | 38 |
| 3. ვალენსია | 17 | 10 | 4 | 3 | 28-18 | 34 |
| 4. ლევანტე | 17 | 9 | 3 | 5 | 25-19 | 30 |
| 5. ოსასუნა | 17 | 6 | 8 | 3 | 21-28 | 26 |
| 6. მალაგა | 17 | 7 | 4 | 6 | 20-22 | 25 |
| 7. სევილია | 17 | 6 | 6 | 5 | 19-19 | 24 |
| 8. ესპანიოლი | 17 | 7 | 3 | 7 | 18-21 | 24 |
| 9. ბილბაო | 17 | 5 | 8 | 4 | 23-19 | 23 |
| 10. ბეტისი | 17 | 7 | 1 | 9 | 19-22 | 22 |
| 11. ატლეტიკო | 17 | 5 | 5 | 7 | 23-27 | 20 |
| 12. ხეტაფე | 17 | 5 | 5 | 7 | 17-23 | 20 |
| 13. ვალეკანო | 17 | 5 | 4 | 8 | 19-26 | 19 |
| 14. მალიორკა | 17 | 4 | 7 | 6 | 15-22 | 19 |
| 15. გრანადა | 17 | 5 | 4 | 8 | 11-21 | 19 |
| 16. სოსიედადი | 17 | 4 | 6 | 7 | 16-23 | 18 |
| 17. რასინგი | 17 | 3 | 8 | 6 | 12-21 | 17 |
| 18. ვილიარეალი | 17 | 3 | 7 | 7 | 15-25 | 16 |
| 19. სპორტინგი | 17 | 4 | 3 | 10 | 16-29 | 15 |
| 20. სარაგოსა | 17 | 2 | 4 | 11 | 13-32 | 10 |

**ბომბარდირები:** 21 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 17 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 13 - გონსალო იგუაინი (რეალი); 11 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 10 - ქარიმ ბენზემა (რეალი).

## სეგუნდა დივიზიონი. XIX ტური

**ალკოიანო-სელტა 0:3**
**გოლები:** 0:1 მიკი (4 ს.კ.), 0:2 დ. როდრიგესი (45), 0:3 ორელანა (55)
**გაძევება:** მიკი (35. ალკოიანო)

**ბარსელონა II-ნუმანსია 1:1**
**გოლები:** 1:0 სორიანო (57), 1:1 დელ პინო (73)

**კარტახენა-უესკა 2:0**
**გოლები:** 1:0 დიმასი (24), 2:0 სალვა (31)

**დეპორტივო-ხერესი 2:1**
**გოლები:** 1:0 ლომბანი (6 ს.კ.), 2:0 გუარდადო (22), 2:1 კამპანიო (45)
**გაძევება:** კაპდევილა (59. ხერესი)

**ხიმნასტიკი-მურსია 0:2**
**გოლები:** 0:1 კ. გარსია (9), 0:2 კ. გარსია (90)

**გვადალახარა-ელჩე 2:4**
**გოლები:** 1:0 ბარალი (2), 1:1 ბილ ნილსენი (33), 2:1 მორენო (40), 2:2 ხუმეტრა (43), 2:3 ლინარესი (52), 2:4 ალბაკარი (76)

**ერკულესი-ლას პალმასი 2:1**
**გოლები:** 0:1 კიროგა (46), 1:1 კალვო (51), 2:1 მიჩელი (88)
**გაძევება:** ს. სუარესი (90. ლას პალმასი)

**უელვა-ვილიარეალი II 3:1**
**გოლები:** 0:1 გულონი (13), 1:1 მატამალა (16), 2:1 სერხი (29), 3:1 ვილიარი (89)
**გაძევება:** გულონი (57. ვილიარეალი II)

**საბადელი-ვალიადოლიდი 1:4**
**გოლები:** 0:1 გუერა (14), 0:2 გუერა (24), 0:3 გუერა (36), 1:3 ლანსაროტე (68), 1:4 მარკიტოსი (75)

**ალკორკონი-ალმერია 1:1**
**გოლები:** 0:1 ულოა (38), 1:1 ქუინი (58-პენ)

**კორდობა-ხირონა 1:0**
**გოლი:** 1:0 კაბალიერო (27)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 19 | 11 | 4 | 4 | 36-18 | 37 |
| 2. დეპორტივო | 19 | 11 | 3 | 5 | 31-23 | 36 |
| 3. ერკულესი | 19 | 11 | 3 | 5 | 21-14 | 36 |
| 4. ვალიადოლიდი | 19 | 9 | 8 | 2 | 29-17 | 35 |
| 5. სელტა | 19 | 10 | 3 | 6 | 34-19 | 33 |
| 6. კორდობა | 19 | 9 | 6 | 4 | 20-13 | 33 |
| 7. ალმერია | 19 | 8 | 8 | 3 | 28-19 | 32 |
| 8. მურსია | 19 | 8 | 5 | 6 | 25-23 | 29 |
| 9. ნუმანსია | 19 | 6 | 8 | 5 | 22-20 | 26 |
| 10. ალკორკონი | 19 | 7 | 5 | 7 | 20-20 | 26 |
| 11. გვადალახარა | 19 | 7 | 5 | 7 | 22-28 | 26 |
| 12. ბარსელონა II | 19 | 6 | 6 | 7 | 29-27 | 24 |
| 13. ლას პალმასი | 19 | 6 | 6 | 7 | 23-24 | 24 |
| 14. საბადელი | 19 | 6 | 6 | 7 | 23-36 | 24 |
| 15. უელვა | 19 | 6 | 5 | 8 | 22-22 | 23 |
| 16. ხერესი | 19 | 5 | 5 | 9 | 20-25 | 20 |
| 17. ალკოიანო | 19 | 4 | 7 | 8 | 19-29 | 19 |
| 18. ვილიარეალი II | 19 | 4 | 6 | 9 | 27-35 | 18 |
| 19. უესკა | 19 | 4 | 6 | 9 | 22-30 | 18 |
| 20. ხირონა | 19 | 3 | 7 | 9 | 22-31 | 16 |
| 21. კარტახენა | 19 | 3 | 7 | 9 | 11-23 | 16 |
| 22. ხიმნასტიკი | 19 | 2 | 7 | 10 | 16-26 | 13 |

**ბომბარდირები:** 13 - ულოა (ალმერია); 10 - ხოსელუ (ვილიარეალი II), კამაჩო (უესკა); 9 - ანხელი (ელჩე).

● ესპანეთი. ლა ლიგა. XVII ტური



ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიშტიანო რონალდოს (მარჯვნივ) გოლი არ გაუხარდა

# რა ეწყინა რონალდოს?

## ესპანიოლი, მსაჯი, ხელი... ბარსას წინააღმდეგ

რომ არა **რაულ როდრიგესის** მიერ ხელით თამაში 92-ე წუთზე, ვიტყოდით, რომ „ესპანიოლმა" დაიმსახურა ეს დიდი სენსაცია, მაგრამ ახლა იგივეს თქმა გაგვიჭირდება, რადგან ბარსელონური დერბის ბოლო წუთებზე მსაჯთა სიბრმავემ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, ჯერ მეკარესთან პირისპირ გასვლა ლაინსმენის დროშით გააჩერეს (არადა, არ იყო თამაშგარე), შემდეგ კი **პედროს** დარტყმული „ესპანიოლის" მცველმა კარის ხაზიდან ხელით გამოიტანა. თავიდან „ბარსა" **სესკ ფაბრეგასის** გოლით იგებდა, მაგრამ მატჩის მიწურულს შეცვლაზე შესულმა **ალვარო ვასკესმა** პუიოლის პოზიციური შეცდომით ისარგებლა და თავურით გაათანაბრა - 1:1 და „რეალი" წინ გაიჭრა...

პრიმერას შაბათის ხუთი მატჩიდან „სანტიაგო ბერნაბეუზე" 6 გოლი გავიდა, დანარჩენ სტადიონებზე კი - ერთი. აბა, რატომ უნდა შეგაწყინოთ უინტერესო მატჩების აღწერით? მით უფრო „რეალი"-"გრანადაზე" სათქმელი ბევრია. თუმცა თავიდან „იმ" ერთი გოლით დავიწყოთ, რადგან სანტანდერში ლა ლიგაში 2012 წლის პირველი გოლი გავიდა.

„ელ სარდინიეროზე" გავარდნის ორი აშკარა კანდიდატი ხვდებოდა ერთმანეთს. „რასინგს" „სარაგოსასთან" 22 წლის კოლუმბიელი **ბერნარდო ესპინოსა სუნიგას** გოლმა მოაგებინა - 1:0. ცენტრალურმა მცველმა 45-ე წუთზე თავურით გაიტანა „რასინგისთვის" 3 ქულის მომტანი გოლი, რომელიც, სხვათა შორის, მისთვის პირველია ლა ლიგაში. ამ მატჩის შესახებ თხრობას იმით დავასრულებთ, რომ „სარაგოსას" ახალ თავკაცს, გასულ ზაფხულს თბილისის „დინამოსთან" დუელის მომგებ **მანოლო ხიმენესს**, მარცხიანი დებიუტი ჰქონდა. ხიმენესი ახლოს იყო ქულის მოპოვებასთან, მაგრამ 91-ე წუთზე **ედუარდო ორიოლის** დარტყმული ხარიხას მოხვდა.

ამ ტურში კიდევ ერთი მწვრთნელის დებიუტი შედგა, არგენტინელი **დიეგო სიმეონეს** გაწვრთნილი „ატლეტიკოს" საქმეში ნახვა ყველას აინტერესებდა, გამომცდელიც ძლიერი იყო, „მალაგა" საკუთარ მოედანზე. რისი თქმა შეიძლება? ესპანეთში სიმეონე ამ თამაშის მერე უფრო აკრიტიკეს, ვიდრე შეაქეს - გუნდი მხოლოდ ქულის მოპოვებაზე ფიქრობდა, **რადამელ ფალკაო** კი წინ ყველასგან იზოლირებული იყოო. მაგრამ ფაქტია, „ატლეტიკომ" არ წააგო (0:0) და მთელი გუნდით ხისტად იცავდა თავს. სტილი დაახლოებით ისეთია, როგორი ფეხბურთელიც თავად დიეგო სიმეონე იყო.

მეოთხეადგილოსანმა „ლევანტემ" შინ დაკარგა ქულები „მალიორკასთან" დაპირისპირებაში, ხოლო მე-5 ადგილზე მყოფმა „ოსასუნამ" პირიქით, მოიპოვა სტუმრად „რეალ სოსიედადთან". ორივე შეხვედრა 0:0 დასრულდა. „ლევანტე" სამივე ქულას გამოემშვიდობებოდა, რომ არა გუნდის ურუგვაელი გოლკიპერი **გუსტავო მუნუა**, რომელიც სტუმართა იერიშებს მხნედ დაუდგა. მსაჯმა მასპინძელი **არუნა კონეს** გოლი გაუუქმა. „ანოეტაზე" კი „ოსასუნა" იდგა და მხოლოდ თავს იცავდა, თავად კი არ უტევდა. ნავარელებმა გაუძლეს, მით უფრო, რომ კარში ბრწყინვალე გოლკიპერი **ანდრეს ფერნანდესი** იდგა.

შაბათის მთავარ მატჩსაც მივალწიეთ - ანგარიშის (5:1) მიხედვით, „რეალმა" საბრალო „გრანადას" გადაურბინა. ნაწილობრივ ასეც არის, მაგრამ... იყო ეპიზოდები, როცა „სამეფო კლუბის" ფანები შეშინდნენ და როცა მასპინძლებს მსაჯი წაეხმარა - პირველ ტაიმში **სერხიო რამოსმა** აშკარად ჩაარტყა მოწინააღმდეგეს ორთაბრძოლის შემდეგ, მაგრამ დაუსჯელი დარჩა, როცა ასეთ სიტუაციებში ხშირად აძევებენ ხოლმე. გოლებიდან „რეალის" პირველს, ანდალუსიელთა საპასუხოს და მატჩის ბოლოს გამოვყოფთ. პირველი მართლა შესანიშნავი გამოდგა, **კრიშტიანო რონალდომ** ოსტატური პასი მიაწოდა **მესუთ იოზილს**, გერმანელმაც ქუსლით **ქარიმ ბენზემა** მოძებნა, ფრანგმა კი ანგარიში გახსნა. ეს მე-19 წუთზე მოხდა, ზუსტად სამ წუთში კი „გრანადას" შესანიშნავი კომბინაცია, „რეალის" დაცვის მარცხენა ფლანგის გარღვევით, **უჩეს** ჩაწოდებით და **მიკელ რიკოს** გოლით დასრულდა. „გრანადას" დაწინაურებაც შეეძლ - რომ არა **იკერ კასილიასი** რიკო დუბლს შეასრულებდა. ყველაფერი თავის ადგილზე სერხიო რამოსის თავურით დალაგდა. მეორე ტაიმის დასაწყისში **გონსალო იგუაინმა** გაიტანა, შემდეგ კი ბენზემამ დუბლი შეასრულა.

„რეალისთვის" ყველაფერი კარგად არ დასრულებულა - ფრანგმა ფორვარდმა ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა. ბოლოს კრიშტიანო რონალდომ სეზონში 21-ე გოლი გაიტანა. არაფერი გამორჩეული, გარდა აღნიშვნისა - უფრო სწორად, ჩემპიონატის პორტუგალიელმა ბომბარდირმა გოლი საერთოდ არ აღნიშნა და არც სხვებისგან მიიღო მილოცვები. მეორე დღეს „მარკას" მთავარი თემა სწორედ ეგ იყო - რა ეწყინა რონალდოს?

კვირა დღის პირველ მატჩში მარსელინოს „სევილია" მადრიდში „რაიო ვალეკანოსთან" დამარცხდა. ამ შეხვედრაში 7-წლიანი განშორების შემდეგ პირველად მოირგო „სევილიას" მაისური **ხოსე რეიესმა**. ანდალუსიიდან აბარგების შემდეგ მან „არსენალი", „რეალი", „ბენფიკა" და „ატლეტიკო" მოიარა, მაგრამ უკან დაბრუნებულმა ვარსკვლავმა „ელჩებთან" უხეიროდ ითამაშა და შესაცვლელი გახდა.

ვალენსიური დერბი 4-გოლიანი თრილერით დასრულდა - 2:2. ქულა მოიპოვა დებიუტში „ვილიარეალის" თავკაცმა **ხოსე მოლინამ**. არადა, მეტიც შეეძლო „წყალქვეშა ნავი" „ღამურებს" ხომ 2:0-ს უგებდა. მესამეადგილოსანი მარცხისგან **არიც ადურისმა** 87-ე წუთზე იხსნა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### მომდევნო ტური

14 იანვარი: სარაგოსა-ხეტაფე, გრანადა-რაიო ვალეკანო, სევილია-ესპანიოლი, მალიორკა-რეალი, ვალენსია-რეალ სოსიედადი.

15 იანვარი: ატლეტიკო-ვილიარეალი, ოსასუნა-რასინგი, ბილბაო-ლევანტე, სპორტინგი-მალაგა, ბარსელონა-ბეტისი.

### პორტუგალია. ლიგა საგრეში. XIV ტური

## სეტუბალი–აკადემიკა 1:1

**გოლები:** 0:1 მარინიო (49), 1:1 გონსალვეში (59)

## სპორტინგი–პორტუ 0:0

**სპორტინგი:** რუი პატრისიო - ჟოაო პერეირა, ონიევუ, ანდერსონ პოლგა, ინსუა - სხაარსი, ელიასი, რენატო ნეტო (53. მ. ფერნანდესი), კაპელი (69. ევალდო) - ვან ვოლფსვინკელი, კარილიო (62. იზმაილოვი).

**პორტუ:** ელტონი - ა. პერეირა, როლანდო, ოტამენდი, მაიკონი - კ. როდრიგესი (77. კლებერი), ბელუში (68. დეფური), ჟოაო მოუტინიო, ფერნანდო - ჯალმა (59. ჯ. როდრიგესი), ჰალკი.

მაყურებელი: 48 855

## რიუ ავე–ფერეირა 1:0

**გოლი:** 1:0 ტომაში (32-პენ)

**გაძევება:** ტონი (80. ფერეირა), ტარანტინი (90. რიუ ავე)

## მარიტიმუ–ოლანენშე 2:1

**გოლები:** 1:0 ბენაშური (18), 2:0 დანილო (33), 2:1 დუარტე (45-პენ)

## ჟილ ვისენტე–ნასიონალი 0:3

**გოლები:** 0:1 დანიელსონი (1), 0:2 რონდონი (6), 0:3 სკოლნიკი (83)

**გაძევება:** გალო (62. ჟილ ვისენტე)

## ლეირია–ბენფიკა 0:4

**გოლები:** 0:1 სეზარი (10), 0:2 კარდოსო (48), 0:3 როდრიგო (73), 0:4 როდრიგო (76)

## გიმარაეში–ფეირენშე 1:0

**გოლი:** 1:0 ტოსკანო (54)

**ბეირა მარი-ბრაგა დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 14 | 11 | 3 | 0 | 34-11 | 36 |
| 2. პორტუ | 14 | 10 | 4 | 0 | 32-8 | 34 |
| 3. სპორტინგი | 14 | 8 | 4 | 2 | 26-12 | 28 |
| 4. ბრაგა | 13 | 7 | 4 | 2 | 24-12 | 25 |
| 5. მარიტიმუ | 14 | 7 | 4 | 3 | 20-17 | 25 |
| 6. აკადემიკა | 14 | 5 | 3 | 6 | 18-18 | 18 |
| 7. გიმარაეში | 14 | 5 | 2 | 7 | 19-16 | 17 |
| 8. ბეირა მარი | 13 | 4 | 4 | 5 | 11-8 | 16 |
| 9. ჟილ ვისენტე | 14 | 3 | 6 | 5 | 13-23 | 15 |
| 10. ნასიონალი | 14 | 4 | 3 | 7 | 12-24 | 15 |
| 11. ოლანენშე | 14 | 3 | 5 | 6 | 15-19 | 14 |
| 12. რიუ ავე | 14 | 4 | 2 | 8 | 13-19 | 14 |
| 13. ფეირენშე | 14 | 3 | 5 | 6 | 11-20 | 14 |
| 14. სეტუბალი | 14 | 3 | 5 | 6 | 10-20 | 14 |
| 15. ლეირია | 14 | 4 | 0 | 10 | 14-27 | 12 |
| 16. ფერეირა | 14 | 2 | 2 | 10 | 13-31 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 - დიავარა (მარიტიმუ), კარდოსო (ბენფიკა); 8 - ედგარ სილვა (გიმარაეში); 7 - ნოლიტო (ბენფიკა), ლიმა (ბრაგა), ვან ვოლფსვინკელი (სპორტინგი), ჰალკი (პორტუ); 6 - კლებერი (პორტუ).

### მომდევნო ტური

13 იანვარი: ფერეირა-მარიტიმუ

14 იანვარი: ფეირენშე-ჟილ ვისენტე, ბენფიკა-სეტუბალი, პორტუ-რიუ ავე.

15 იანვარი: ნასიონალი-ლეირია, ოლანენშე-ბეირა მარი, აკადემიკა-გიმარაეში, ბრაგა-სპორტინგი.

# უცხოური ფეხბურთი

ზამთრის სარკმელი

## ბაზარი ნელა ხურდება

თქვენ წინაშეა ზამთრის სატრანსფერო სეზონის პირველი კვირის ცხრილი, შესწორებულ-ჩამატებული. რა თქმა უნდა, უკვე განხორციელდა რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი, თუმცა ყურადსაღები მხოლოდ ერთია და ისიც ახლა კი გადაწყდა, მაგრამ ზაფხულში განხორციელდება - ბუნებრივია, **მარკო როისის** დორტმუნდის „ბორუსიაში" 17,5 მილიონ ევროდ გადასვლას ვგულისხმობთ. ჯერჯერობით ბრაზილიელი **დანილოს** ტრანსფერი ლიდერობს „სანტოსიდან" „პორტუში" (13 მილიონი ევრო), თუმცა ეს ცვლილება კარგა ხნის წინათ გადაწყდა და იანვარში მხოლოდ ოფიციალურად დაესვა წერტილი.

თქმა არ უნდა - ბაზარზე ჯერჯერობით ყველაზე მოწადინებული მყიდველი „ვოლფსბურგის" თავკაცი **ფელიქს მაგათია**. მან უკვე 7 ახალი ფეხბურთელი შეიძინა და უახლოეს დღეებში კიდევ სამს შეიძენს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| თარ. | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 01.01 | ნიკოლა ანელკა (საფრ) | ჩელსი | შანხაი | უცნობია |
| 01.01 | იან მორავეკი (ჩეხ) | შალკე | აუგსბურგი | იჯარა |
| 01.01 | ჰარი კეინი (ინგ) | ტოტენჰემი | მილუოლი | იჯარა |
| 01.01 | რაიენ მეისონი (არუ) | ტოტენჰემი | მილუოლი | იჯარა |
| 01.01 | დენი უილსონი (შოტლ) | ლივერპული | ბლექპული | იჯარა |
| 01.01 | ემანუელ ფრიმპონგი (გან) | არსენალი | ვულვზი | იჯარა |
| 01.01 | ანდროს თაუნსენდი (ინგ) | ტოტენჰემი | ლიდსი | იჯარა |
| 01.01 | ლენდონ დონოვანი (აშშ) | ლოს ანჯელ. | ევერტონი | იჯარა |
| 01.01 | დანილო (ბრა) | სანტოსი | პორტუ | 13 მლნ. |
| 01.01 | ედუარდო ვარგასი (ჩილე) | უნივ. ჩილე | ნაპოლი | 11,5 მლნ. |
| 01.01 | სანდრო ვიზერი (ლიხტ) | ბაზელი | ჰოფენჰ. | 1 მლნ. |
| 01.01 | აგონ მეჰმეთი (შვედ) | მალმიო | პალერმო | თავ. აგენტი |
| 01.01 | პეტრ ჟირაჩეკი (ჩეხ) | პლზენი | ვოლფსბურგი | 5 მლნ |
| 01.01 | მარვინ ოგუნჯიმი (ბელგ) | გენკი | მალიორკა | 2,4 მლნ. |
| 01.01 | პიერ აუბამეიანგი (გაბ) | მილანი | სენტ ეტიენი | 1,8 მლნ. |
| 01.01 | ედსონ რამოსი (ბრა) | სან პაულუ | მალიორკა | უცნობია |
| 01.01 | ჩინედუ ობასი (ნიგერია) | ჰოფენჰ. | შალკე | იჯარა |
| 01.01 | იაკუბ სვიერჩოკი (პოლ) | პოლონია | კაიზერსლ. | 420 ათ. |
| 01.01 | ჩადლი ამრი (ალჟ) | კაიზერსლ. | ფრანკფურტი | იჯარა |
| 01.01 | მარიანო რუდი (იტა) | ჯენოა | ლეკო | იჯარა |
| 01.01 | მიკაელ იშაკი (შვედ) | ასირიისკა | კიოლნი | უცნობია |
| 01.01 | ნურეთინ კაიაოგლუ (თურქ) | შალკე | ქაისერი | უცნობია |
| 01.01 | ეგერტ იონსონი (ისლ) | ჰართსი | ვულვზი | 300 ათ. |
| 01.01 | გოტოკუ საკაი (იაპ) | ნიიგიტა | შტუტგარტი | იჯარა |
| 01.01 | ბლერ ადამსი (ინგ) | სანდერლ. | ნორზჰემპ. | იჯარა |
| 01.01 | რორი დონელი (ინგ) | კლიფტონ. | სუონსი | უცნობია |
| 01.01 | დანიელე დესენა (იტა) | კალიარი | სამპდორია | უცნობია |
| 01.01 | დევიდ ბატონი (ინგ) | ტოტენჰ. | დონკასტერი | იჯარა |
| 01.01 | ნიკოლაი იორგენსენი (დან) | ლევერკ. | კაიზერსლ. | იჯარა |
| 01.01 | დავიდ ლიოფკვისტი (შვედ) | მიალბი | პარმა | თავ. აგენტი |
| 01.01 | ჯენარო ტროიანელო (იტა) | სიენა | სასუოლო | იჯარა |
| 01.01 | გაბრიელ სილვა (ბრა) | პალმეირასი | უდინეზე | 4 მლნ. |
| 01.01 | მარიანო (ბრა) | ფლუმინენ. | ბორდო | 3 მლნ. |
| 01.01 | აბელ ხალედი (საფრ) | ეპინალი | ბრესტი | უცნობია |
| 01.01 | დანიელ იებოა (კოტ) | ასეკ | დიჟონი | უცნობია |
| 01.01 | აკიმ აშური (საფრ) | ივრი | დიჟონი | თავ. აგენტი |
| 01.01 | ბენარდ კამორძი (გან) | პანიონიო. | დიჟონი | 300 ათ. |
| 01.01 | სებასტიენ პიუგრენიე (საფრ) | ზენიტი | ნანსი | თავ. აგენტი |
| 02.01 | ფედერიკო მაკედა (იტა) | მანჩ. იუნ. | ქპრ | იჯარა |
| 02.01 | იოან მოლო (საფრ) | გრანადა | ნანსი | იჯარა |
| 02.01 | გილფი სიგურდსონი (ისლ) | ჰოფენჰ. | სუონსი | იჯარა |
| 02.01 | სლობოდან მედოიევიჩი (სერბ) | ვოივოდინა | ვოლფსბურგი | 2,5 მლნ. |
| 02.01 | თოლგა ჯიგერჯი (გერმ) | ვოლფსბ. | გლადბახი | იჯარა |
| 02.01 | მიხაელ თურკი (გერმ) | აუგსბურგი | ჰაიდენჰ. | თავ. აგენტი |
| 02.01 | შტეფან ტესკერი (გერმ) | ტვენტე | ჰოფენჰაიმი | უცნობია |
| 03.01 | ფრანკო ვასკესი (არგ) | ბელგრანო | პალერმო | 4,5 მლნ. |
| 03.01 | შკოდრან მუსტაფი (გერმ) | ევერტონი | სამპდორია | უცნობია |
| 03.01 | დენი პიუ (ინგ) | სტოკი | ლიდსი | უცნობია |
| 03.01 | კიერან ტრიპერი (ინგ) | სიტი | ბარნლი | უცნობია |
| 03.01 | ენდა სტივენსი (ირლ) | შემროკი | ასტონ ვილა | უცნობია |
| 03.01 | ალბერტო ჯილარდინო (იტა) | ფიორენტინა | ჯენოა | 8 მლნ. |
| 03.01 | ჟან-ალან ფანშონი (საფრ) | სტრასბური | უდინეზე | თავ. აგენტი |
| 03.01 | მარკო ბორიელო (იტა) | რომა | იუვენტუსი | იჯარა |
| 03.01 | ტიერი ანრი (საფრ) | ნიუ იორკი | არსენალი | იჯარა |
| 03.01 | ნესტორ სუსაეტა (ესპ) | ვალეკანო | ლოზანა | თავ. აგენტი |
| 03.01 | ვიეირინია (პორტ) | პაოკ | ვოლფსბურგი | 4,5 მლნ. |
| 03.01 | მატეო რუბინი (იტა) | ტორინო | ბოლონია | იჯარა |
| 03.01 | კორო კონე (კოტ) | ტრნავა | დიჟონი | უცნობია |
| 03.01 | ელიოტ პერიში (ინგ) | ასტონ ვილა | კარდიფი | უცნობია |
| 03.01 | ორელიენ მონტარო (საფრ) | დინ. მინსკი | კანი | უცნობია |
| 03.01 | მასიმო კოდა (იტა) | ბოლონია | სირაკუზა | იჯარა |
| 03.01 | დომენიკო ძამპალიონე (იტა) | კიევო | ავერსა | იჯარა |
| 03.01 | მატეო ლეგიტიმო (იტა) | ლეჩე | სუდტიროლი | უცნობია |
| 03.01 | ფერჰან ჰასანი (მაკედ) | შკენდია | ვოლფსბურგი | 700 ათ. |
| 03.01 | ფრანჩესკო ფინოკიო (იტა) | კრემონეზე | პარმა | უცნობია |
| 03.01 | ოლკან ადინი (თურქ) | გაზიანთ. | ტრაბზონი | 3,3 მლნ. |
| 04.01 | ლეონარდო პონსიო (არგ) | სარაგოსა | რივერი | თავ. აგენტი |
| 04.01 | ვიტო მანონე (იტა) | არსენალი | ჰალი | იჯარა |
| 04.01 | ალექს კუვილიე (საფრ) | ნანსი | ლანსი | იჯარა |
| 04.01 | ანდრეა კარაჩოლო (იტა) | ჯენოა | ნოვარა | იჯარა |
| 04.01 | სებასტიან რიბასი (ურუ) | ჯენოა | სპორტინგი | იჯარა |
| 04.01 | ვალტერი (ბრა) | პორტუ | კრუზეირო | იჯარა |
| 04.01 | ლუკა კალდიროლა (იტა) | ინტერი | ბრეშა | იჯარა |
| 04.01 | მოჰამედ აბუ (გან) | სიტი | აინტრახტი | იჯარა |
| 04.01 | ადამ ჰლუშეკი (ჩეხ) | სლავია | ნიურნბ. | 1 მლნ. |
| 04.01 | სალვატორე ბურალი (იტა) | კალიარი | ლატინა | უცნობია |
| 04.01 | დანიელ კაპელეტი (იტა) | პალერმო | იუვე სტაბია | იჯარა |
| 04.01 | ემილიანო მასიმო (იტა) | რომა | აველინო | უცნობია |
| 05.01 | ხოსე რეიესი (ესპ) | ატლეტიკო | სევილია | 3,5 მლნ. |
| 05.01 | ჟელსონ ფერნანდესი (შვეი) | სენტ ეტიენი | უდინეზე | იჯარა |
| 05.01 | ჯოვანი სიო (საფრ) | სიონი | ვოლფსბურგი | 5,8 მლნ. |
| 05.01 | ფელიპე ლოპესი (ბრა) | ნასიონალი | ვოლფსბურგი | უცნობია |
| 05.01 | ფილიპო ბონიპეტი (იტა) | იუვენტუსი | კარპი | იჯარა |
| 05.01 | ნვანკვო ობიორა (ნიგერია) | პარმა | გუბიო | იჯარა |
| 05.01 | ჯექსონ მენდი (საფრ) | აიაჩო | ლევადიაკ. | თავ. აგენტი |
| 05.01 | მილან მილანოვიჩი (სერბ) | სიენა | პალერმო | უცნობია |
| 05.01 | იბრაჰიმ სისოკო (კოტ) | აკადემიკა | ვოლფსბურგი | უცნობია |
| 05.01 | ომარ გონსალესი (აშშ) | გალაქსი | ნიურნბ. | იჯარა |
| 06.01 | ჯონ ეგანი (ირლ) | სანდერლ. | კრისტ. პალ. | იჯარა |
| 06.01 | კრის ჩენტლერი (ინგ) | სიტი | კარლაილი | თავ. აგენტი |
| 06.01 | ბენ უილსონი (ინგ) | სანდერლ. | გეიტშედი | იჯარა |
| 06.01 | ადმირ მეჰმედი (შვეიც) | დინამო კ. | ციურიხი | 3,6 მლნ. |
| 06.01 | გასიო (ბრა) | კორინთ. | პსვ | თავ. აგენტი |
| 07.01 | ფილიპ ვოლშაიდი (გერმ) | ნიურნბ. | ლევერკუზ. | 5 მლნ. |
| 07.01 | ლეონარდო ბიტენკური (გერმ) | ენერგი | დორტმუნდი | 3 მლნ. |
| 07.01 | ანდრეას ბიელანდი (დან) | ნორდს. | ტვენტე | 3 მლნ. |
| 07.01 | მარლოსი (ბრა) | სან პაულუ | მეტალისტი | 5 მლნ |
| 07.01 | თეოფანის გეკასი (საბერ) | აინტრახტი | სამსუნი | უცნობია |

თურქეთი. სუპერლიგა. XIX ტური

**ბურსა–მერსინი 1:0**

გოლი: 1:0 ბატალია (90)

**ბუიუქშეჰირი–ტრაბზონი 0:2**

გოლები: 0:1 ბ. ილმაზი (80), 0:2 ბ. ილმაზი (90)

**სამსუნი–გალათასარაი 2:4**

გოლები: 1:0 ეჰიოსუნი (22), 2:0 ეჰიოსუნი (32), 2:1 კაია (51), 2:2 ინანი (70), 2:3 ბაროში (78), 2:4 ილდირიმი (84)

**ქარაბიუქი–გენჩლერბირლიგი 2:1**

გოლები: 1:0 შელტონი (7), 1:1 თუმი (40), 2:1 შარპი (40)

**ანთალია–ქაისერი 1:0**

გოლი: 1:0 ათესი (56)

**ესქიშეჰირი–სივასი 1:1**

გოლები: 1:0 კამარა (45), 1:1 პედრიელი (90)

| | |
|---|---|
| მანიშა-ორდუ | 0:0 |
| ანკარაგიუჯუ-ბეშიქთაში | 0:0 |
| ფენერბაჰჩე-გაზიანთეფი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 19 | 13 | 4 | 2 | 35:14 | 43 |
| 2. ბეშიქთაში | 19 | 10 | 6 | 3 | 27:17 | 36 |
| 3. ფენერბაჰჩე | 18 | 10 | 6 | 2 | 25:15 | 36 |
| 4. ესქიშეჰირი | 19 | 9 | 4 | 6 | 20:18 | 31 |
| 5. ტრაბზონი | 19 | 8 | 6 | 5 | 28:22 | 30 |
| 6. გენჩლერბირ. | 19 | 8 | 5 | 6 | 27:23 | 29 |
| 7. სივასი | 19 | 7 | 7 | 5 | 30:30 | 28 |
| 8. მერსინი | 19 | 7 | 6 | 6 | 21:19 | 27 |
| 9. ბურსა | 19 | 6 | 7 | 6 | 21:18 | 25 |
| 10. ქაისერი | 19 | 8 | 1 | 10 | 21:20 | 25 |
| 11. მანიშა | 19 | 6 | 7 | 6 | 17:18 | 25 |
| 12. ანთალია | 19 | 6 | 6 | 7 | 14:17 | 24 |
| 13. ბუიუქშეჰირი | 19 | 6 | 6 | 7 | 22:26 | 24 |
| 14. გაზიანთეფი | 18 | 4 | 7 | 7 | 15:18 | 19 |
| 15. ორდუ | 19 | 4 | 7 | 8 | 15:22 | 19 |
| 16. ქარაბიუქი | 19 | 4 | 3 | 12 | 20:31 | 15 |
| 17. სამსუნი | 19 | 2 | 7 | 10 | 15:27 | 13 |
| 18. ანკარაგიუჯუ | 19 | 2 | 5 | 12 | 17:35 | 11 |

**ბომბარდირები:** 19 – ბ. ილმაზი (ტრაბზონი); 8 – თუმი (გენჩლერბირლიგი); 7 – ინანი (გალათასარაი), პრომისი (მანიშა), ვებო (ბუიუქშეჰირი).

**გოტფრიდ ლენცი**

ოქროს ბურთი




დღეს, შვეიცარიაში „ფიფა-ოქროს ბურთის" გალა-დაჯილდოება გაიმართება. საჯაროდ გახდება ცნობილი იმ ფეხბურთელის ვინაობა, რომელიც ერთი წელიწადი პლანეტის საუკეთესოს სტატუსით იამაყებს. შეგახსენებთ, რომ ნომინანტი 3-ია - ჟურნალისტებმა, ეროვნული ნაკრებების მწვრთნელებმა და კაპიტნებმა გამოავლინეს სამი რჩეული: ბარსელონელები, **ლიონელ მესი** და **ჩავი ერნანდესი**, ასევე რეალელი **კრიშტიანო რონალდო**. ამ ტრიოდან ერთი დღეს „ოქროს ბურთს" ჩაიბარებს.

არავისთვის არის დამალული, რომ არგენტინელი ფებურთელი გამარჯვების აშკარა ფავორიტია. შეგახსენებთ, რომ შარშან სწორედ მესი გახდა „ოქროს ბურთის" მფლობელი. ბევრისთვის მოულოდნელად, ის მუნდიალზე „ოქროს გოლის" ავტორის, **ანდრეს ინიესტას** წინ დააყენეს. მაგრამ წლეულს, ალბათ, აღარ უნდა ველოდოთ ასეთ მოულოდნელობას. მით უფრო, რომ მესის მთავარმა კონკურენტმა კრიშტიანო რონალდომ გადაწყვიტა, არ ჩავიდეს ცერემონიალზე და მადრიდში დარჩეს (ისევე, როგორც **ჟოზე მოურინიომ**, 2010 წლის წლის მწვრთნელმა). დღესვე გამოვლინდება „ოქროს ბურთის" მფლობელი ქალთა შორისაც (სამი ნომინანტია: **მარტა, ები უემბეჩი** და **ჰომარე სავა**). გამოვლინდება წლის საუკეთესო მწვრთნელიც (სერ **ალექს ფერგიუსონი, ხოსეპ გვარდიოლა** და ჟოზე მოურინიო).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები

### ახლა ლივერპული

გუშინ ასოციაციის თასის 1/16-ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. მთავარი ინტრიგა „ლივერპულისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" შერკინება იქნება. გთავაზობთ წყვილებს: ბრაიტონი-ნიუკასლი; დაგენჰემი(მილუოლი)-საუთჰემპტონი; სანდერლენდი-მიდლსბრო; ჰალი-ქროული; დონსი(ქუინზ პარკი)-ჩელსი; ვესტ ბრომვიჩი-ნორვიჩი; ბლეკპული-შეფილდ უენ; არსენალი(ლიდსი)-ასტონ ვილა; სტივენეიჯი-ნოთს ქაუნთი; უოტფორდი-ტოტენჰემი, ლივერპული-მანჩესტერ იუნაიტედი; დერბი-სტოკი; ევერტონი-ფულჰემი; მაკსფილი(ბოლტონი)-სუონსი; შეფილდ იუნ-ვულვერჰემპტონი; ნოტინგემი-სუინდონი.

### დაუნინგი დააკავეს

„ლივერპულის" 27 წლის ნახევარმცველი **სტიუარტ დაუნინგი** გუშინ დილას დააკავეს. მიზეზი სიმთვრალის დროს ყოფილი მეგობარი გოგონას ფიზიკური შეურაცხყოფაა.

### ნილ უორნოკი გაუშვეს

„ქუინზ პარკის" ხელმძღვანელობამ **ნილ უორნოკი** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაუშვა. მიზეზი ბანალურია – წარუმატებელი თამაში. უორნოკის ხელმძღვანელობით გუნდი გასავარდნ ზონას სულ 1 ქულით უსწრებს.

**ლევან ბიბილაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ასოციაციის თასი. მე-3 ეტაპი

# სერ ალექსის არასრული რევანში

## სქოულზი მოედანზე, ბექჰემი ტრიბუნაზე





**ლივერპული-ოლდჰემი 5:1**

**ლივერპული:** რეინა, ფ. აურელიო (71. ფლენაგანი), კარაგერი, კოატესი, კელი, მაქსი, ჯერარდი, სპირინგი, შელვი, კუიტი (87. კეროლი), ბელამი (74. დაუნინგი)

**გოლები:** 0:1 სიმპსონი (28), 1:1 ბელამი (30), 2:1 ჯერარდი (45) პენ, 3:1 შელვი (68), 4:1 კეროლი (89), 5:1 დაუნინგი (90)

**ბარნსლი-სუონსი 2:4**

**გოლები:** 1:0 ვას ტე (29), 1:1 რანხელი (30), 1:2 გრემი (46), 1:3 დაიერი (54), 2:3 ვას ტე (65), 2:4 გრემი (89)

**ბრისტოლი-ასტონ ვილა 1:3**

**გოლები:** 0:1 ოლბრაიტონი (35), 0:2 აგბონლაჰორი (64), 0:3 კლარკი (78), 1:3 მაკგლეიში (90)

**ევერტონი-ტამვორტი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჰეიტინგა (5), 2:0 ბეინსი (79) პენ.

**ფულჰემი-ჩარლტონი 4:0**

**გოლები:** 1:0 დემპსი (8), 2:0 დემპსი (61), 3:0 დემპსი (81)პენ, 4:0 დაფი (87)

**ჯილინგემი-სტოკი 1:3**

**გოლები:** 1:0 კედუელი (16), 1:1 უოლტერსი (34), 1:2 ჯერომი (43), 1:3 ჰუთი (49)

**ნიუკასლი-ბლექბერნი 2:1**

**გოლები:** 0:1 გუდვილი (35), 1:1 ბენ არფა (70), 2:1 ხონასი (90)

**ნორვიჩი-ბარნლი 4:1**

**გოლები:** 1:0 ჰოლტი (6), 2:0 ჯექსონი (12), 2:1 როდრიგესი (15), 3:1 სარმანი (60), 4:1 მორისონი (73)

**მაკსფილდი-ბოლტონი 2:2**

**გოლები:** 0:1 კლასნიჩი (7), 1:1 დენიელი (16), 2:1 მენდი (68), 2:2 უიტერი (77)

**დონსი-ქუინზ პარკი 1:1**

**გოლები:** 1:0 ბოუდიტჩი (65), 1:1 ჰელგუსონი (89)

**სუინდონი-უიგანი 2:1**

**გოლები:** 0:1 მაკმანამანი (35), 1:1 კონელი (40), 2:1 ბენსონი (76)

**ტოტენჰემი-ჩელტენჰემი 3:0**

**ტოტენჰემი:** კუდიჩინი, დოუსონი (88 ტ. კეროლი), ბასონგი, პიენაარი, კრანჩარი, ჯ. დოს სანტოსი, ლენონი (82. ბოსტოკი), როუზი, ლივერმორი, დეფო (76. იაგო სილვა), პავლუჩენკო

**გოლები:** 1:0 დეფო (24), 2:0 პავლუჩენკო (43), 3:0 დოს სანტოსი (87)

**ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი 4:2**

**გოლები:** 1:0 ოდენვინგე (7), 2:0 კოქსი (33), 2:1 ერნშოუ (36), 2:2 მეისონი (50), 3:2 კოქსი (61), 4:2 კოქსი (90)

**პალ სიტი-იპსვიჩი 3:1**

**გოლები:** 1:0 მაკლინი (27), 2:0 კეირნი (32), 2:1 სკოტლანდი (57), 3:1 სტიუარტი (3:1)

**ბრაიტონი-რექსჰემი 1:1**

**გოლები:** 1:0 ქესკი (48), 1:1 კისლევიჩი (62)

**ქოვენთრი-საუთჰემპტონი 1:2**

**გოლები:** 1:0 მაკშეფრი (5), 1:1 ვორდ-პროუსი (64), 1:2 მარტინი (82)

**კროული-ბრისტოლ სიტი 1:0**

**გოლი:** 1:0 ტუბსი (73)

**დერბი-კრისტალ პალასი 1:0**

**გოლი:** 1:0 რობინსონი (9)

**დონკასტერი-ნოთს ქაუნთი 0:2**

**გოლები:** 0:1 ჰიუზი (37), 0:2 ჰიუზი (70)პენ.

**ბლიტვუდი-ბლექპული 1:5**

**გოლები:** 0:1 ლუალუა (24), 0:2 ფილიპსი (47), 0:3 ინსი (55), 1:3 ვარდი (70), 1:4 ფილიპსი (77), 1:5 ფილიპსი (81)

**მიდლსბრო-შრიუსბერი 1:0**

**გოლი:** 1:0 ემნესი (40)

**რედინგი-სტივენეიჯი 0:1**

**გოლი:** 0:1 ჩარლზი (21)

**შეფილდ იუნ-სალსბერი 3:1**

**გოლები:** 1:0 პორტერი (18), 2:0 ევანსი (60), 3:0 ვები (72)ს.კ-ში, 3:1 მაკლინი (86)

**უოტფორდი-ბრედფორდი 4:2**

**გოლები:** 1:0 დინი (3), 1:1 ჰანსონი (8), 2:1 სორდელი (40), 3:1 ფორსიტი (57), 4:1 ფორსიტი (59), 4:2 ველსი (88)

**ჩელსი-პორტსმუთი 4:0**

**ჩელსი:** ჩეხი, ე. კოული (86. ბერტრანი), დ ლუისი, ტერი, ბოსინგვა, რამირესი, ლემპარდი, მალუდა (78. რომეუ), მეირელეში, მატა, ტორესი (88. ლუკაკუ)

**გოლები:** 1:0 მატა (48), 2:0 რამირესი (85), რამირესი 3:0 (87), 4:0 ლემპარდი (90)

**პიტერბრო-სანდერლენდი 0:2**

**გოლები:** 0:1 ლარსონი (48), 0:2 მაკლინი (58)

**შეფილდ უენს-ვესტ ჰემი 1:0**

**გოლი:** 1:0 ო'გრეიდი (88)

**მანჩ. სიტი-მანჩ. იუნაიტედი 2:3**

**მანჩესტერ სიტი:** პანტილიმონი, რიჩარდსი, ლესკოტი, კომპანი, კოლაროვი, დე იონგი, მილნერი, ნასრი (82. ჰარგრივსი), ა. ჯონსონი (46. სავიჩი), დ. სილვა (46. საბალეტა), აგუერო

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ლინდეგორი, სმოლინგი, ჯონსი, ფერდინანდი, ევრა, ვალენსია, კერიკი, გიგზი, ნანი (60. სქოულზი), რუნი, უელბეკი (75. ანდერსონი)

**გოლები:** 0:1 რუნი (10), 0:2 უელბეკი (30), 0:3 რუნი (39), 1:3 კოლაროვი (48), 2:3 აგუერო (64)

**ბირმინგემი-ვულვერჰემპტონი 0:0**
**დაგენჰემი-მილუოლი 0:0**
**ნოტინგემ ფორესტი-ლესტერი 0:0**

"ლივერპულმა" "ოლდჰემთან" ასოციაციის თასის მე-3 ეტაპის მატჩი პარასკევს გამართა, 5:1 მოიგო და პირველი გუნდი შეიქნა, რომელმაც 1/16-ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. მოულოდნელად სტუმრებს უკეთესი დებიუტი ჰქონდათ. 28-ე წუთზე დიდებული შორეული დარტყმით ანგარიში **რობი სიმპსონმა** გახსნა – 0:1. ამან მასპინძლები ცოტა გააბრაზა. "წითლებმა" ანგარიში საპასუხო შეტევაშივე გაათანაბრეს. **ჯონჯო შელვის** დარტყმულს **კრეიგ ბელამიმ** მიმართულება შეუცვალა – 1:1. შესვენებამდე **მაქსი როდრიგესის** ნაქცევისთვის დანიშნული პენალტით **სტივ ჯერარდმა** "ლივერპული" წინ გაიყვანა. მატჩის ინტერესი 68-ე წუთზე დაეკარგა, როცა ბელამის პასი შელვიმ დააგვირგვინა – 3:1. მატჩის ბოლო წუთები მერსისაიდელთა შეტევებითვე წარიმართა. ბოლო წუთებზე თავი გამოიჩინეს **ენდი კეროლმა** და **სტიუარტ დაუნინგმა**.

მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე **კენი დალგლიშმა** განაცხადა: "გულწრფელად რომ გითხრათ, ძალიანაც მეამაყება ჩვენ მიერ მიღწეული შედეგი. ვფიქრობ, "ოლდჰემის" ფეხბურთელებმა გააკეთეს ყველაფერი, რათა კლუბის მფლობელებსა და მწვრთნელებს მათით ეამაყათ. ამ ბიჭებმა რამდენიმე კარგი მომენტი შეგვიქმნეს და მერე ანგარიშიც გახსნეს. იმან გვიშველა, რომ გათანაბრება მალევე შევძელით. უნდა ითქვას, რომ საბოლოო ანგარიში არ ასახავს ძალთა რეალურ ბალანსს, რადგან კლასში სხვაობა არც ისეთი დიდია, რაც ერთი შეხედვით ჩანს".

თამაშის მიმდინარეობისას სერიოზული ინციდენტი მოხდა: მასპინძელთა გულშემატკივარმა სტუმართა ფეხბურთელი **ტომ ადეიემი** რასისტული შეძახილით შეურაცხყო. თამაშის დასრულებისთანავე "ლივერპულის" ვებგვერდზე გაჩნდა განცხადება, რომ კლუბი საქმეს უაღრესად სერიოზულად მიუდგებოდა და პოლიციასთან ერთად ყველა ზომას მიმართავდა სამართალდამრღვევის დასაკავებლად. პოლიციამ შეისწავლა საკაბელო ტელევიზიისა და "ენფილდის" უსაფრთხოების სისტემის ჩანაწერები, ინციდენტის ადგილას გადაღებული ფოტოები, დაიკითხნენ კონკრეტული სექტორის სტიუარდები, ამას გარდა კლუბმა მათ მიაწოდა ინფორმაცია გაყიდული ბილეთების შესახებ და რაც ყველაზე მთავარია, პოლიციას ჩვენება გულშემატკივრებმაც მისცეს. ყოველივემ შედეგი 24 საათში გამოიღო. შაბათს გვიან ღამით მერსისაიდის საგრაფოს პოლიციის წარმომადგენლებმა პრესას აცნობეს, რომ მათ დააკავეს ადეიემის შეურაცხყოფაში ეჭვმიტანილი 20 წლის ახალგაზრდა, რომელიც იმავე საგრაფოში, ქალაქ სეფტონთან ახლოს, დასახლება ეინტრის მაცხოვრებელი აღმოჩნდა. მისი სახელი, ბუნებრივია, ჯერ არ სახელდება. პოლიციამ მას ბრალი დაკავებიდან რამდენიმე საათში წაუყენა.

თასის მესამე ეტაპის უმთავრესი დაპირისპირება "სიტი ოფ მანჩესტერზე" გაიმართა. ერთმანეთს ჩემპიონატის ლიდერი "სიტი" და მეორეადგილოსანი "იუნაიტედი" შეებნენ. რა იყო უმთავრესი მოლოდინი? ის, რომ "ეშმაკები" რევანშზე იზრუნებდნენ, თუ ის, რომ მოედანს ლეგენდარული **პოლ სქოულზი** უნდა დაბრუნებოდა? უნდა ვთქვათ, რომ შეხვედრა სხვანაირი შედეგით დასრულდებოდა, რომ არა არბიტრი **კრის ფოი**. გასაგებია ის, რაც ფეხბურთის წესებში წერია, რომ ტყუპი გაშლილი ფეხით მეტოქის წინააღმდეგ თამაში წესების ზღვარგადასულ დარღვევად უნდა შეფასდეს, მაგრამ დარწმუნებულები ვართ, რომ კუნძულზე ძნელად მოიძებნებოდა მსაჯი, ვინც მატჩის მე-12 წუთზე **ვენსან კომპანის** გასახდელის გზას გაუყენებდა... სწორედ კუნძულზე, რადგან ზოგადად ბრიტანულ ფეხბურთში სიხისტის ზღვარი სხვა ქვეყნებთან შედარებით არნახულად მაღალია და მსგავსი დარღვევისთვის ფეხბურთელებს იშვიათად აძევებენ. და მაინც, ფეხბურთი იყო არნახული. თამაში "სიტის" შეტევებით დაიწყო, მაგრამ გოლი "იუნაიტედმა" პირველივე ჩხვლეტაზე გაიტანა. **უეინ რუნიმ** ცენტრში ბურთი მოიპოვა და ფლანგზე **ანტონიო ვალენსიას** გადააწოდა, ეკვადორელმა კი **დევიდ ბექჰემის** (ბექზი ტრიბუნაზე იჯდა) სტილში ბურთი საჯარიმოში შეჭრილ რუნის თავზე დაასვა და მიუხედავად იმისა, რომ ნანი ხელს უშლიდა, გოლი მაინც გავიდა 0:1. კაცნაკლული "სიტი" დაიბნა. ტაიმის ბოლომდე **აგუეროს** შორეული გასროლის გარდა საშიში მეტოქეს ვერაფერი შესთავაზა. "იუნაიტედმა" კი გაილაღა. 30-ე წუთზე დიდებული ბურთი შეაგდო **უელბეკმა**, ვისაც **ნასრის** რიკოშეტმა გაუმართა ხელი. 39-ეზე კი რუნიმ უელბეკის ნაქცევისთვის დანიშნული პენალტი დაარტყა, მაგრამ გატანით დამატებულზე გაიტანა, რადგან **პანტილიმონი** 11-მეტრიანს ადგილზე დახვდა.

რა მოხდა მეორე ტაიმში, ამის ახსნა ძნელია. "იუნაიტედმა" ინიციატივაც დათმო და მოედნის ცენტრიც. რითაც "სიტიმ" ისარგებლა. ჯერ **კოლაროვმა** გაიტანა ფანტასტიკური საჯარიმო, შემდეგ კი აგუერომ გაიტანა ბურთი, რომელიც მინდორზე 8-თვიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა სქოულზმა დაკარგა. 10-კაციან "სიტის" გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ ბოლო მომენტში სიტუაცია **ფილ ჯონსმა** განმუხტა.

არსენალი



ტიერი ანრი

# ტიერი ანრიზე აქცენტის გარეშე

"არსენალში" ორი თვით დაბრუნებულ **ტიერი ანრის** დიდი გეგმები აქვს. მას სურს "მეთოფეთა" ისტორიაში ისეთივე დიადი სახელით შევიდეს, როგორც **რაიან გიგზი** - "მანჩესტერ იუნაიტედის". შეგახსენებთ, რომ "ნიუ იორკ რედ ბულსთან" მოლაპარაკებები ფეხბურთელის იჯარასთან დაკავშირებით წინა კვირას დასრულდა და გადაწყდა, რომ ანრი "არსენალში" მარტამდე დარჩება. ლონდონში ჩასულმა ფრანგმა ვარსკვლავმა გულშემატკივრების გასაგონად განაცხადა, ნუ გექნებათ იმედი, რომ "ძველ ანრის" ნახავთო. "მე უკვე აღარ ვარ უწინდებურად სწრაფი და აღარც 25 წლის ვარ, რომ მოედნის ცენტრში ბურთი დავიჭირო, მოვატყუო 5-6 კაცი და საჯარიმომდე ჩავიტანო. ამას ჩემგან ტყუილად ნუ ელოდებით. ახლა წინა პლანზე სხვა ღირსებები უნდა წამოვწიო. მახსოვს როგორ თამაშობდა დენის ბერგკამპი, რომელსაც ასაკში შესულს წამყვანი როლი ჰქონდა დაკისრებული. ასევეა რაიან გიგზი, თუკი კარგად დააკვირდებით. ის ძველებურ რეიდებს ვეღარ აკეთებს, მაგრამ მთავარი ღირსება შერჩა - მოედნის ხედვა. რაიანი ყოველთვის ისეთ პოზიციაში დგას, რომ პასს იოლად გაუკეთებ, თუკი ბურთს თავად ფლობს, გახსნილს პასს არასოდეს დაგიგვიანებს. სწორედ ასეთ სტილში ვაპირებ თამაშს, თუკი ამის საშუალება მომეცა. ვფიქრობ, პირველ ეტაპზე სკამზე მაინც უნდა მოვხვდე და თამაშში ფლანგის მოთამაშედ ჩავერთვები".

ტიერის ლონდონურ პერსპექტივაზე კომენტარი გააკეთა **არსენ ვენგერმაც**: "ანრის წარსულის დამსახურებებს ვერავინ დაუკარგავს. მას შეუძლია თავისი სახელი "არსენალის" ისტორიაში მხოლოდ განადიდოს. კლუბში ყველა ბედნიერია, რომ ის ისევ შემოგვიერთდა. თუმცა მასზე აქცენტის გაკეთებას ნამდვილად არ ვაპირებთ. ტიერის შეუძლია გუნდის დახმარება მოედანს მიღმაც, მაგრამ უპირველესად ის ფეხბურთელია, ამიტომ მისგან ყველაზე მეტს სწორედ ამ ფრონტზე ველით. გუნდში მშვენიერი ატმოსფეროა, ის კი ჩვენ რაღაც ამაზე მეტს მოგვიტანს. ანრი იცნობს კლუბს, იცნობს ლიგას და ეს მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს. ტიერი მსოფლიო დონის ფეხბურთელია. წარმოუდგენლად ძნელი იყო მსგავსი კალიბრის სხვა ფეხბურთელი მოგვენახა, მით უფრო იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას".

ამბები

## პარდიუმ ვერ დამალა

"ნიუკასლის" მთავარმა მწვრთნელმა **ალან პარდიუმ** ვერ დამალა, რომ მის კლუბს **დემბა ბასთან** სატრანსფერო თანხა 10 მილიონი ფუნტი კონტრაქტით აქვს განსაზღვრული. პარასკევს "ტოტენჰემის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** განაცხადა, რომ აღფრთოვანებულია ბათი და "დეზების" რიგებში მას სიამოვნებით იხილავდა, მით უფრო, თუკი პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირს ხელში ზემოთ აღნიშნულ თანხად ჩაიგდებდა. ჟურნალისტებმა კომენტარისთვის "კაჭკაჭების" დამრიგებელს მიმართეს და მისგან აი ეს მოისმინეს: "ის "ნიუკასლის" ფეხბურთელია და ჩვენს გუნდს იდეალურად შეეწყო. მასთან ურთიერთობის გაგრძელებაზე უარს არც სამომავლოდ ვიტყოდი," – ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან პირდაპირ ვერ უარყო რედნაპის ინფორმაცია. თუკი ბას მსურველები აღნიშნულ თანხას გამონახავენ, ასეთი კლუბი კი პრემიერლიგაში ბევრი მოინახება, მათ მხოლოდ სენეგალელის თანხმობა დასჭირდებათ. ამჟამად 26 წლის თავდამსხმელი 15 გოლით ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზეა და **რობინ ვან პერსის** სულ ორი ბურთით ჩამორჩება.

## რუნი უარყოფს

**უეინ რუნი** იძულებული გახდა უარეყო შაბათს გაზეთ "ინდეპენდენტის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მასა და სერ **ალექს ფერგიუსონს** შორის ურთიერთობა კიდევ ერთხელ დაიძაბა და რომ ის "ოლდ ტრეფორდიდან" აბარგებას აპირებდეს. "გაზეთები აბსოლუტურ სისულელეს წერენ. ხმამაღლა ვაცხადებ, ჩემი მომავალი მხოლოდ "მანჩესტერ იუნაიტედთან" არის დაკავშირებული და არც მთავარ მწვრთნელთან მაქვს რამე გაუგებრობა. ვინც ამას ამტკიცებს, მან არაფერიც არ იცის," – დაწერა ფეხბურთელმა თავის ტვიტერში. ანალოგიური შინაარსის განცხადება გააკეთა "მანიუს" ოფიციალურმა ვებგვერდმაც.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| მაგდებურგი-ბრაუნშვაიგი | 2:3 |
| ფერლი-პადერბორნი | 2:2 |
| ვანი-გინგამი | 2:1 |
| ინგოლშტადტი-აუგსბურგი | 1:1 |
| ისელმეერფოგელსი-ფეიენოორდი | 2:4 |
| ნიურნბერგი-ბორუსია (მ) | 2:3 |
| ფრაიბურგი-მეხელენი | 1:0 |
| დორტმუნდი-სტანდარდი | 3:0 |
| ალ აჰლი-ბაიერნი | 1:2 |
| ბეერსხოტი-ბეერსხოტი | 0:2 |
| ლევერკუზენი-ვაალვეიკი | 1:3 |
| დენ ჰააგი-ვარეგემი | 2:2 |
| ჰანოვერი-კიოლნი | 1:1 |
| კაიზერი-გენტი | 1:5 |
| ბრიუგე-ჰამბურგი | 1:2 |

### ინგლისი

**I ლიგა**

XXV ტური

| | |
|---|---|
| უიკომბი-ჰადერსფილდი | 0:6 |
| კარლაილი-ლეიტონი | 4:1 |
| ჩესტერფილდი-ექსეტერი | 0:2 |
| ჰარტლპული-როჩდეილი | 2:0 |
| ტრანმერი-ბრენტფორდი | 2:2 |
| უოლსოლი-ბორნმუთი | 2:2 |

**II ლიგა**

XXV ტური

| | |
|---|---|
| ბარტონი-აკრინგტონი | 0:2 |
| ალდერშოტი-ოქსფორდი | 0:3 |
| ქრიუ-პლიმუტი | 3:2 |
| მორეკამბი-ნორთჰემპტონი | 1:2 |
| საუთენდი-პორტ ვეილი | 3:0 |

**კონფერენსი**

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ალფრეტონი-გრიმსბი | 2:5 |
| ბეთი-ბრენტრი | 1:1 |
| გეიტსჰედი-სტოკპორტი | 2:0 |
| კიდერმინსტერი-ჰეიესი | 3:1 |
| ლინკოლნი-იორკი | 0:2 |
| ლუტონი-ნიუპორტი | 2:0 |
| მენსფილდი-ფორესტ გრინი | 1:0 |
| ტელფორდი-კეტერინგი | 3:1 |
| ბაროუ-დარლინგტონი | 3:0 |

### ინგლისის თასი

**1/32 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლივერპული-ოლდჰემი | 5:1 |
| ბირმინგემი-ვულვზი | 0:0 |
| დაგენჰემი-მილუოლი | 0:0 |
| ბარნსლი-სუონსი | 2:4 |
| ბრაიტონი-რექსემი | 1:1 |
| ქოვენტრი-საუთჰემპტონი | 1:2 |
| ქროული-ბრისტოლი | 1:0 |
| დერბი-კრ. პალასი | 1:0 |
| დონკასტერი-ნოტსი | 0:2 |
| ევერტონი-ტამუორტი | 2:0 |
| ფლიტვუდი-ბლეკპული | 1:5 |
| ფულჰემი-ჩარლტონი | 4:0 |
| ჯილინგემი-სტოკი | 1:3 |
| ჰალი-იფსვიჩი | 3:1 |
| მაკლსფილდი-ბოლტონი | 2:2 |
| მიდლსბრო-შრიუსბერი | 1:0 |
| მილტონი-ქუინზ პარკი | 1:1 |
| ნიუკასლი-ბლექბერნი | 2:1 |
| ნორვიჩი-ბერნლი | 4:1 |
| ნოტინგემი-ლესტერი | 0:0 |
| რედინგი-სტივენიჯი | 0:1 |
| შეფილდი-სალისბერი | 3:1 |
| სუინდონი-უიგანი | 2:1 |
| ტოტენჰემი-ჩელტენჰემი | 3:0 |
| უოტფორდი-ბრედფორდი | 4:2 |
| ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი | 4:2 |
| როვერსი-ასტონ ვილა | 1:3 |
| მანჩესტერ სიტი-მანჩესტერ იუნ | 2:3 |
| ჩელსი-პორტსმუტი | 4:0 |
| უენსდი-ვესტ ჰემი | 1:0 |
| პიტერბრო-სანდერლენდი | 0:2 |
| არსენალი-ლიდსი | დღეს |

### საფრანგეთის თასი

**1/32 ფინალი**

| | |
|---|---|
| რენი-კევილი | 0:0 პენ. 4:5 |
| ლე მანი-ვალანსი | 0:2 |
| ვერსალი-დიჟონი | 1:5 |
| ლიმოჟი-ბულონი | 1:0 |
| მარკი-ნიცა | 0:2 |
| ბურჟ პერონა-მონბკო | 2:1 დ.დ. |
| შამბლი-ოსერი | 0:1 დ.დ. |
| კომპიენი-მონტანარდი | 2:1 დ.დ. |
| ჰავრი-ლორიანი | 4:3 |
| ლუკონი-ავრანში | 2:1 |
| ნიორი-ბრესტი | 2:0 |
| საბლი-სედანი | 3:3 პენ. 4:2 |
| ვიტრი-ტური | 1:2 |
| ორლეანი-კლერმონი | 0:0 პენ. 5:3 |
| შერბური-შატორუ | 1:2 |
| ფრეჟუსი-აიაჩო | 0:3 |
| ვალანსი-ლავალი | 1:1 პენ. 7:6 |
| ბასტია-სოშო | 4:1 |
| კაენი-ტრუა | 2:4 |
| შანტილი-ლილი | 0:6 |
| რედ სტარი-მარსელი | 0:5 |
| რენი-ნანსი | 3:0 |
| სტ. ეტიენი-ბორდო | 1:1 პენ. 2:4 |
| ტიერი-ისტრი | 1:4 |
| დრანსი-სტრასბური | 3:3 პენ. 4:2 |
| გფკო აიაჩო-ტულუზა | 1:0 |
| ლიონ ლა დუშერი-ლიონი | 1:3 |
| მეცი-ევიანი | 2:2 პენ. 3:5 |
| მულუზი-კრეტეი | 1:3 |
| ლოკმენი-პსჟ | 1:2 |
| პრი ლე მეზიერი-მონპელიე | 0:4 |
| ანჟერსი-მონაკო | დღეს |

### ბელგია

**II დივიზიონი**

XIX ტური

| | |
|---|---|
| შარლერუა-რუზელარე | 4:0 |
| ბრიუსელი-ვაასლანდი | 1:2 |
| სტანდარდი (ვ)-ტუბიზე | 1:3 |
| ვოლუვე-ეუპენი | 0:0 |
| აალსტი-ტიენენი | 0:0 |
| სტ. ნიკლაასი-ვიზე | 1:0 |

### პორტუგალია

**II დივიზიონი**

XIV ტური

| | |
|---|---|
| ეშტორილი-ლეიქსოეში | 1:1 |
| ბელენენსეში-კოვილია | 0:0 |
| ფრეამუნდე-ავეში | 1:2 |
| ოლივეირენსე-პენაფიელი | 2:2 |
| ტროფენსე-პორტიმონენსე | 3:1 |
| ნავალი-აროუკა | 0:0 |
| მორეირენსე-სანტა კლარა | 2:0 |

### შოტლანდია

**III დივიზიონი**

XIX ტური

| | |
|---|---|
| ანანი-კლაიდი | 1:0 |
| ელჯინი-ისტ სტირლინგი | 3:1 |
| მონროუზი-სტრანრარი | 1:3 |

### შოტლანდიის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| დანდი-კილმარნოკი | 1:1 |
| ეირდრი-დანდი იუნ | 2:6 |
| კოუდენბითი-ჰიბერნიანი | 2:3 |
| ფალკირკი-ისტ ფაიფი | 2:0 |
| ფორფარი-აბერდინი | 0:4 |
| ჰართსი-ტელბოტი | 1:0 |
| ინვერნესი-დანფერმლაინი | 1:1 |
| მოზერველი-ქუინზ პარკი | 4:0 |
| პარტიკი-ქუინი | 0:1 |
| რეითი-მორტონი | 1:2 |
| როსი-სტენაუზმური | 7:0 |
| სტ. ჯონსტონი-ბრეჩინი | 2:1 |
| სტ. მირენი-ჰემილტონი | 0:0 |
| ლივინგსტონი-ეირი | 1:2 |
| არბროტი-რეინჯერსი | 0:4 |
| პიტერჰედი-სელტიკი | 0:3 |

### კვიპროსი

XV ტური

| | |
|---|---|
| აპოლონი-ანაგენისი | 1:0 |
| ეთნიკოსი-ერმისი | 2:1 |
| ნეა სალამისი-ანორთოსისი | 0:3 |
| ოლიმპიაკოსი-აეკ | 1:1 |
| ენოსისი-აელ | 0:4 |
| ალკი-აპოელ | 2:1 |
| ომონია-არისი | დღეს |

### საბერძნეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ასტერასი-პანაიტოლიკოსი | 1:0 |
| ერგოტელისი-პანიონიოსი | 1:0 |
| ლევადია-აეკ | 0:2 |
| არისი-იანინა | 1:0 |
| ატრომიტოსი-ოფი | 2:0 |
| ქსანთი-პაოკ | 0:0 |
| პანათინაიკოსი-კერკირა | 1:0 |
| დოქსა-ოლიმპიაკოსი | 0:0 |

**II დივიზიონი**

X ტური

აგროტიკოსი-ფოკიკოსი 1:1; ეთნიკოსი-ანაგენისი (ი) 0:0; ლარისა-დიაგორასი 1:0; პანთრაკიკოსი-ვიცასი 4:0; პიერიკოსი-კალონისი 1:1; პლატანიასი-ვერია 1:0; ტრასივულოსი-ირაკლისი (ჰ) 0:0; ანაგენისი (ე)-პანახაიკი დღეს; კალითეა-პანსერაიკოსი დღეს.

### უელსი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| პრესტატინი-ნითი | 1:1 |

### ისრაელი

XX ტური

| | |
|---|---|
| ირონი (ქ-შ)-ირონი (რ-ლ) | 2:0 |
| ბეითარი-მაკაბი (ნ) | 2:1 |
| ბნეი იეჰუდა-ჰაპოელი (ფ-თ) | 5:1 |
| ჰაპოელი (ა)-ჰაპოელი (ჰ) | 1:0 |
| მაკაბი (ფ-თ)-აშდოდი | 2:3 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (თ-ა) | 1:1 |
| მაკაბი (თ-ა)-ირონი (რ-ჰ) | 0:1 |
| მაკაბი (ჰ)-ბნეი სახნინი | დღეს |

### ჩრ. ირლანდია

XXV ტური

| | |
|---|---|
| დონეგალი-კრუზეიდერსი | 1:1 |
| ბალიმენა-ლინფილდი | 1:2 |
| კერიკი-კოლრეინი | 0:4 |
| გლენავონი-ლისბერნი | 2:3 |
| გლენტორანი-პორტადაუნი | 2:2 |

### მექსიკა

I ტური

| | |
|---|---|
| მორელია-ტიხუანა | 1:1 |
| კრუს ასული-ტიგრესი | 1:1 |
| მონტერეი-ხაგუარესი | 2:1 |
| კერეტარო-ამერიკა | 0:2 |
| გვადალახარა-ატლანტე | 0:1 |
| ს. ლაგუნა-პაჩუკა | 0:0 |
| სან ლუისი-პუმასი | 1:0 |
| პუებლა-ატლასი | 0:0 |
| ტოლუკა-ტეკოსი | 3:1 |

## ქართული სპორტი

ძიუდო. ეროვნული ნაკრები

# გაყოფილი ნაკრები

საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ნაკრები უკვე ავსტრიის ალპებშია, სამთო კურორტ მიტერსილში, სადაც 20 იანვრამდე სეზონის პირველ შეკრებას გაივლის, მთლიანად ფიზმომზადებისთვის დათმობილს. საქართველოს ნაკრების გარდა იქ ევროპის რამდენიმე გუნდიც აპირებს ჩასვლას და მოელიან, რომ საკმაოდ დიდი შეკრება გამოვა. ვინაიდან ჩვენი მთავარი ნაკრების ავსტრიელი თავკაცი **პეტერ ზაიზენბახერი** ისედაც ავსტრიაშია, გუნდი მიტერსილში ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა **ზურაბ კახაბრიშვილმა** წაიყვანა, რომელმაც დეკემბერში, ჩინურ ქინგდაოში გამართულ „დიდ პრიზზე" ერთხელ უკვე უთავკაცა ჩვენს 2-კაციან ჯგუფს. ავსტრიაში 12 სპორტსმენი გაემგზავრა: **ბეთქილ შუკვანი** (60), **შალვა ქარდავა, ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, ამბაკო ავალიანი, ზებედა რეხვიაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი, ბექა ღვინიაშვილი** (81), **ზურაბ ზვიადაური** (90), **ზვიად ხანჯალიაშვილი, ლაშა გუჯეჯიანი, ადამ ოქრუაშვილი** (+100). წინასწარვე იყო ცნობილი, რომ ამ შეკრებაზე არ წავიდოდა ის ოთხეული, რომელმაც 14-15 იანვარს ალმატიში მასტერსზე უნდა იჭიდაოს: **ამირან პაპინაშვილი** (60), **ვალერი ლიპარტელიანი** (90), **ირაკლი ცირეკიძე, ლომერ ჟორჟოლიანი** (ორივე - 100). მიზეზი შეკრებისა და ტურნირის არახელსაყრელი ვადები და ჩატარების ადგილია - მასტერსი იმ დროს ტარდება, ამ კვარტეტს შუა შეკრების მიტოვება მოუწევდა. თან შეჯიბრება რომ სადმე ევროპაში იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ ავსტრიიდან ყაზახეთში გადაფრენ-გადმოფრენა და მერე ისევ თბილისში დაბრუნება არ იქნებოდა მთლად გამართლებული. ამიტომ ზაიზენბახერმა ამ ოთხეულის თბილისში დატოვება და მის მიერ შემუშავებული გეგმით აქაური მწვრთნელების მეთვალყურეობით ვარჯიში განიზრახა. სწორედ მასტერსის გამო არ გვეყოლება ავსტრიაში მონაწილე 100 კილოგრამში, რადგან ოლიმპიადაზე მოხვედრის ორივე კანდიდატი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ცირეკიძეც და ევროპის ვიცე-ჩემპიონი ჟორჟოლიანიც ალმატიში უნდა გამოვიდნენ. თუმცა აქ ერთი საყურადღებო ნიუანსიცაა - ამ კვარტეტს საბაზო შეკრება არ გაუვლია, თუ პაპინაშვილს არ ჩავთვლით, რომელიც მწვრთნელს დეკემბერში იაპონიაში ჰყავდა წაყვანილი. ოღონდ ის ცოტა სხვა სტილის შეკრება იყო და თან ამასაც ტრავმის გამო ადრე მოუხდა თბილისში დაბრუნება, დანარჩენები კი მსგავს შეკრებაზე ერთი დღითაც არ ყოფილან. რას ვიზამთ - ავსტრიელს მზადების საკუთარი გეგმა აქვს, რომელიც ბევრ კითხვას გვიჩენს, თუმცა ხელმძღვანელობა ყველაფერში ეთანხმება. გაამართლებს თუ არა ასეთი მიდგომა, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ ხარვეზის შესავსებად ლიპარტელიანი საკუთარი სურვილით ბაკურიანში წავიდა სავარჯიშოდ, თუმცა უკვე დაბრუნდა და კვლავ დილომში, ძიუდოს აკადემიაში ემზადება დანარჩენებთან ერთად.

ავსტრიაში წასული შემადგენლობიდან საყურადღებოა ქარდავას დაბრუნება - წელის ტრავმის გამო მას მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ არც უჭიდავია, მაგრამ დეკემბერში ვარჯიში განაახლა. ასევე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ გამოჩნდა ევროპის ვიცე-ჩემპიონი შუკვანიც, რომელიც სალიცენზიო რეიტინგში ჯერჯერობით ინარჩუნებს ადგილს საუკეთესო 22-ში. ნიშანდობლივია 81-ში 16 წლის ღვინიაშვილის გამოჩენაც - ასეთ ასაკში ეროვნულ ნაკრებში მიწვევა მისთვის დიდი პატივია. შარშან „ტაისონამ" ჭაბუკებში ასპროცენტიანი შედეგი აჩვენა - მოიგო ევროპისა და მსოფლიოს პირველობები, ევროპის



ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი, თან სამივე ტურნირში უკლებლივ ყველა შეხვედრაში წმინდად იმარჯვა, მაგრამ ამასაც არ დასჯერდა და როცა ახალგაზრდული, მწვრთნელებიც ენდნენ, იქაც მსოფლიოს მესამე პრიზიორი გახდა, თუმცა ეროვნული ნაკრები შეუდარებლად დიდი სიმაღლეა და ამიტომაა სასიამოვნო, მისი იქაც რომ ეიმედებათ. ასევე სასიხარულოა ახლო წარსულში ტალანტად შერაცხული, მაგრამ შემდეგ ცოტა შეფერხებული კიდევ ერთი ახალგაზრდის, ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონისა და ახალგაზრდებში მსოფლიოს პრიზიორის, 20 წლის რეხვიაშვილის ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება. ახალგაზრდა თაობაზე ლაპარაკი შავდათუაშვილით დავასრულოთ, რომელიც შარშან თანატოლებში ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოზე კი ბრინჯაო მოიპოვა. ის მართლაც კარგი მონაცემების ბიჭია, რომლის გამოჩენაც ორმაგად სასიხარულოა, რადგან ამ წონაში ულიცენზიოდ დარჩენის საფრთხის წინაშე ვდგავართ. ასეა თუ ისე, შავდათუაშვილმა სალიცენზიო შეჯიბრებებში მხოლოდ ერთხელ იჭიდავა - შემოდგომაზე ამსტერდამის „დიდ პრიზზე", სადაც 24 ქულა მოინადავლა. ამ მონაგარით ის ჯერჯერობით 129-ე ადგილზეა მსოფლიოს რეიტინგში. ცხადია, მისგან ლიცენზიის მოპოვება იოლი არ იქნება, მაგრამ არც - შეუძლებელი. ვნახოთ, როგორ ჩაერთვება ნაკრებში და როგორ იჭიდავებს უახლოეს ტურნირებში.

ნაკრებში ყველაზე დიდი მოულოდნელობა ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურის დაბრუნებაა. მოგეხსენებათ, ის შარშან თბილისის მსოფლიოს თასზე საზეიმოდ გააცილეს დიდი სპორტიდან, თუმცა ცდუნებას ვერ გაუძლო და გულმა ისევ ტატამისკენ გაუწია. მან გუნდთან უკვე გაიარა ერთი შეკრება - დეკემბერში იაპონიაში, სადაც აკვირდებოდა, რამდენად იყო მზად მისი ნატანჯი და არაერთგზის ნაოპერაციები სხეული დატვირთვებისთვის. ზვიადაურმა პირველი გამოცდა წარმატებით ჩააბარა - ისევე იტვირთებოდა, როგორც გუნდის დანარჩენი წევრები, დღეში გადაბმულად ჭიდაობდა 12-მდე შეხვედრას და დაამტკიცა, რომ დაბრუნება შეიძლება. მაგრამ ერთია საშეკრებო ატმოსფერო და მეორე - საშეჯიბრო ანუ ნამდვილი ორთაბრძოლა. ზვიადაური დაბრუნებას ისევ თბილისის მსოფლიოს თასზე გეგმავს, რომელიც 28-29 იანვარს ჩატარდება. აი, სწორედ იქ გაირკვევა, გააგრძელებს თუ არა ის გამოსვლას მომდევნო შეჯიბრებებში, გაუძლებს თუ ვერა საშეჯიბრო დატვირთვას.

ალბათ მიაქცევდით ყურადღებას, რომ ავსტრიაში წასულ გუნდში ბოლო წლებისთვის უჩვეულო ხალხმრავლობაა მძიმე წონაში, სადაც ერთბაშად სამი კანდიდატია - ამდენი ხალხი მხოლოდ 73-შია. ამ ტრიოდან სალიცენზიო რეიტინგში მხოლოდ ხანჯალიაშვილია - მე-17 ადგილზე, თუმცა ოქრუაშვილიც ახლოსაა 22-კაციან ზონასთან. აი, მსოფლიოს ორგზის მესამე პრიზიორ გუჯეჯიანს კი ხანგრძლივი ტრავმებისა თუ არეულობების შემდეგ თავიდან უწევს ყველაფრის დაწყება. ჯერჯერობით ის მსოფლიოს რეიტინგში 67-ე ადგილზეა.

დასასრულს, ისევ მასტერსს დავუბრუნდეთ, სადაც გუნდს ოთხშაბათს ეროვნულში ჭაბუკებიდან გადმოყვანილი **გიორგი ვაზაგაშვილი** წაიყვანს, ხოლო ზაიზენბახერი ავსტრიიდან ჩაფრინდება იქ, მერე ისევ მიტელსილში დაბრუნდება, 21-ში კი თბილისში ჩამოჰყვება ნაკრებს და აქაური მსოფლიოს თასისთვის მოამზადებს.

**ირაკლი თავაძე**

+1




საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 6 იანვარს წყალტუბოს ეწვია და ახალაგებული სპორტის სასახლე გახსნა. თანამედროვე დიზაინის სამსართულიან შენობაში კალათბურთის, ფეხბურთის, ხელბურთის, ჭიდაობისა და კრივის დარბაზებია განთავსებული. წყალტუბოს სპორტის სასახლე, რომლის მშენებლობაც მილიონ ოთხასი ათასი ლარი დაჯდა მიხეილ სააკაშვილმა მოქმედ და ვეტერან სპორტსმენებთან ერთად დაათვალიერა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ დარბაზებში შესაძლებელია, მაღალი დონის შეხვედრებისა და შეჯიბრებების გამართვა.

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!**

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის ღვაწლი და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

სუმო. ჰაცუ ბაშო. 8-22 იანვარი. ტოკიო

# დღეს ტოკიოში ქართული დუელია

გუშინ ტოკიოში სუმოისტთა წლის პირველი სუპერტურნირი, ჰაცუ ბაშო დაიწყო. უმაღლეს დივიზიონში ორი ფალავანი გვყავს: **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** და **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**, დღეს ისინი ერთმანეთს დაეჭიდებიან, თუმცა მანამდე თითო ბრძოლა მოიგეს. აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირობამდე დაქვეითებულმა ტოჩინოშინმა ელიტაში 150-ე გამარჯვება იზეიმა. 24 წლის გორგაძემ **დაიდოს** შიტატენაგეს ილეთი მისთვის მოუხერხებელი მარჯვენა ხელით გაუკეთა (ქართველი ცაციაა). 199-კილოიანმა გაგამარუმ კი წააგო, მას მონღოლმა **ტოკიტენკუმ** აჯობა. ტოჩინოშინი და გაგამარუ პირველად ერთმანეთს შარშანდელ იანვრის ბაშოზე შეხვდნენ, მაშინ ლევანმა შიტატენაგეს ილეთით იმარჯვა.

კარიერაში მეორედ გავარდა ელიტიდან ქართული სუმოს პიონერი **კოკაი (ლევან ცაგურია)**. 30 წლის „შავი ზღვა" ძურიოს დივიზიონის მე-4 რიკიშია. ჩვენებურმა იქაც მარცხით დაიწყო - **ცურუგიდაკესთან** წააგო.

ბაშოზე ერთადერთი სენსაცია დაფიქსირდა - ოძეკი **კოტოშოგიკუმ ტაკეკაძესთან** წააგო, რომლის სიმაღლეც მხოლოდ 172 სანტიმეტრია. დანარჩენმა ფავორიტებმა, და მათ შორის დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ**, სუპერტურნირი მოგებით დაიწყეს.

**I დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ვაკაკოიუ (ჰიკიოტოში), ბარუტო-მიაბიამა (ოშიდაში), ტაკეკაძე-კოტოშოგიკუ (კატასუკაში), კოტოოშუ-ამინიშიკი (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-ოკინოუმი (შიტატენაგე), კისენოსატო-გოეიდო (ცუკიდაში), კაკურიუ-კიტატაიკი (ოშიდაში), ტოიონოშიმა-ტაკაიასუ (სოტოგაკე), ჰომაშო-ტოჩინოვაკა (ცუკიოტოში), იოშიკაძე-მიოგირიუ (ჰიკიოტოში), **ტოჩინოშინი**-დაიდო (შიტატენაგე), ტოკიტენკუ-**გაგამარუ** (უჩიმუსო). ძურიო: ცურუგიდაკე-**კოკაი** (ოშიდაში).

**შენიშვნა**: წყვილში პირველი გამარჯვებული სუმოისტია, ფრჩხილებში - გამარჯვების მომტანი ილეთი.

**II დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-ტაკეკაძე, კოტოშოგიკუ-ვაკაკოიუ, კოტოოშუ-მიაბიამა, ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა, კისენოსატო-ამინიშიკი, ბარუტო-ოკინოუმი, კაკურიუ-გოეიდო, კიტატაიკი-ტაკაიასუ, ტოჩინოვაკა-მიოგირიუ, ტოიოჰიბიკი-ჰომაშო, **ტოჩინოშინი-გაგამარუ**. ძურიო: კოკაი-მასუნოიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)

# ოლიმპიური საქართველო 1952-2012

## ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება“.

ხუან ანტონიო სამარანჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ოლიმპიური საქართველო

## 1996-2000

2000 წლის ოლიმპიურ თამაშებს დამოუკიდებელი საქართველოს სპორტული სამყარო გაცილებით მომძლავრებული შეხვდა. 1996-2000 წლების ოლიმპიურ ციკლში ქართული სპორტის სისტემა უკეთ ამუშავდა, დადებითი ტენდენციები თაობათა ცვლის კრიზისის დაძლევის გზაზეც გამოიკვეთა. გამოჩნდნენ ნიჭიერი და პერსპექტიული ათლეტები, სპორტის ისეთ ოლიმპიურ სახეობებშიც კი, სადაც მანამდე ტრადიცია არ გაგვაჩნდა.

ოლიმპიადებში მონაწილეობის ყველაზე მეტი გამოცდილება სიდნეიში ჩვენი სპორტსმენებიდან ჰქონდა ტყვიის მსროლელ **ნინო სალუქვაძეს**, რომლისთვისაც ეს თამაშები მეოთხე ოლიმპიური ასპარეზობა იყო. მეორედ ჩაებნენ ოლიმპიურ პაექრობაში **ელდარ კურტანიძე** (თავისუფალი ჭიდაობა), **გიორგი ვაზაგაშვილი, გიორგი რევაზიშვილი** (ორივე - ძიუდო), **ნინო უჩაძე** (ტყვიის სროლა), **ილია გიორგაძე** (ტანვარჯიში), **კობა გულიაშვილი** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **მუხრან გოგია** (ძალოსნობა).

სიდნეიში საქართველოს ყველა ოლიმპიელის შედეგს ამავე გვერდზე გაეცნობით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არაერთმა ჩვენმა თანამემამულემ სხვა ქვეყნის სახელით იასპარეზა სიდნეიში. ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ მამით ჩოხელი და დედით ბუთხუზი **დავით მუსულბესი** (რუსეთი) - თავისუფალ ჭიდაობაში; **კახი კახიაშვილი** (საბერძნეთი) - ძალოსნობაში. ვერცხლის მედლები მოიპოვეს წყალბურთელმა **რევაზ ჩომახიძემ** (რუსეთი), ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე **დავით სალდაძემ** (უკრაინა).

როგორც ხედავთ, შედეგები საქართველოს სახელით მოასპარეზეთა მიღწევებთან შედარებით გაცილებით უკეთესია. სწორედ სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ ხშირად ამბობდნენ, რომ დადგა ქართული ოლიმპიური სპორტის „ბრინჯაოს ხანა“. ეს შეფასება არ იყო საფუძველს მოკლებული თუ გავიხსენებთ, რომ მანამდე 1996-შიც იგივე ხარისხის ორი ჯილდო მოვიპოვეთ. შეგახსენებთ, რომ ატლანტაში, 1996 წელს, დამოუკიდებელი საქართველო პირველად გამოვიდა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში ეროვნული დროშით.

სიდნეიში სპორტის 13 სახეობაში (ატლანტაში 15 სახეობაში) გვყავდა ოლიმპიელი. 1996 და 2000 წლების თამაშებში მონაწილეთა რაოდენობა ერთნაირი იყო - 36-36 სპორტსმენი. პირველად 2000 წელს გამოვიდნენ ოლიმპიურ სარბიელზე ჩვენი სპორტსმენები ბატუტზე ხტომასა - **რუსუდან ხოფერია** და ცურვაში - **ზურაბ ბერიძე**. ყველაზე მეტი მონაწილით საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში სიდნეიში წარმოდგენილი იყო ბერძნულ-რომაული ჭიდაობა - 7, თავისუფალი ჭიდაობა და ძიუდო - 6-6.

## წლის საუკეთესოდ ოლიმპიური პრიზიორი დასახელდა

2000 წლის სპორტული შედეგების მიხედვით საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმმა საუკეთესო სპორტსმენად ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი ძალოსნობაში **გიორგი ასანიძე** დაასახელა. იმავე წელს ასანიძე მსოფლიოს რეკორსმენი და პირველად ევროპის ჩემპიონიც გახდა.

### თქვენთვის, ერუდიტებო!

**ვიქტორინა**

**ეძღვნება XXVIII ოლიმპიურ თამაშებს**

**1. სად ჩატარდა 2000 წლის შემდეგ მომდევნო ოლიმპიური თამაშები?**

ა - ბარსელონაში
ბ - ათენში
გ - პეკინში

**2. რამდენი ოქროს მედალი მოიპოვეს საქართველოს ათლეტებმა ზაფხულის 28-ე ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - არცერთი
ბ - 1
გ - 2

**3. რომელ ქვეყანას ხვდა წილად საერთო გამარჯვება 28-ე ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - ჩინეთს
ბ - აშშ-ს
გ - ავსტრალიას

**4. საქართველოს ოლიმპიელებმა სპორტის რომელ სახეობაში მოიპოვეს ერთზე მეტი მედალი 28-ე ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - ძიუდოში
ბ - თავისუფალ ჭიდაობაში
გ - ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

**5. საქართველოდან რამდენი სპორტსმენი მონაწილეობდა 28-ე ოლიმპიურ თამაშებში?**

ა - 26
ბ - 31
გ - 33

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ.

### ვინ რა თქვა...

„შენ ცოცხლობ დღესაც, საუკუნეებში ჩაკარგული ოლიმპიადების დაღუპვის შემდეგ.

შენა ხარ მოზეიმე მახარობელი ადამიანთა გაზაფხულისა, როდესაც აღმოცენდება აზრისა და ძალის ჰარმონიით გამოწვეული აღტაცება.

შენ ამანათივით გადმოგვცემ წინაპართა ამ მემკვიდრეობას.

დრო მიჰქრის. ცხოვრება ზეიმობს. შენ ცოცხლობ, დროს დაუმორჩილებელო სპორტო!“

**პიერ დე კუბერტენი**

### საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებზე



## გიორგი ასანიძე

დაიბადა 30. 08. 1975, საჩხერე. ძალოსნობა (77 და 85 კგ). 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი (საუკეთესო შედეგი სამმა ძალოსანმა აჩვენა. მათ შორის მედლები პირადი წონის მიხედვით განაწილდა, სამეულში კი ყველაზე მძიმე ქართველი სპორტსმენი აღმოჩნდა). მსოფლიოს ჩემპიონი (2001) და მეორე პრიზიორი (2002), ევროპის სამგზის ჩემპიონი (2000, 01, 02) და მეორე პრიზიორი (1998). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1994, 95). აქტივში დამყარებული აქვს ორი მსოფლიო რეკორდი: 168 კგ (77 კგ კატეგორიაში, 1998) და 186 კგ (85 კგ კატეგორიაში, 2000). საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1998, 2000, 01). ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი.

## ელდარ კურტანიძე



დაიბადა 16. 04. 1972, ქვემო ფშაფში, გულრიფში. თავისუფალი ჭიდაობა (96 კგ). მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (2002, 03), მეორე (1993) და მესამე (1997) პრიზიორი. ატლანტის (1996) და სიდნეის (2000) ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, ათენის (2004) ოლიმპიადის მონაწილე (VIII ადგილი), ევროპის ხუთგზის ჩემპიონი (1996, 97, 98, 2001, 05), სამგზის მეორე (1993, 95, 2002) და მესამე (1999) პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1992). ლაიფციგის საერთაშორისო ტურნირის გრან-პრის მფლობელი, კრასნოიარსკის, კიევის, მინსკის, ტაშკენტის, მაჰაჩყალის A კლასის საერთაშორისო ტურნირებში არაერთგზის გამარჯვებული. საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი 1996, 2002, 2003). ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი.



## ვლადიმერ ჭანტურია

დაიბადა 01. 07. 1978, ფოთი. კრივი (91, +91 კგ). 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, ევროპის თასის გათამაშების მეორე პრიზიორი (1998), ბულგარეთის, აზერბაიჯანისა და დაღესტნის A კლასის ტურნირებში გამარჯვებული.

# წლები და შედეგები

## ოლიმპიადა: XXVII, სიდნეი, 2000 წ.

**III ადგილი:** გიორგი ვაზაგაშვილი - **ძიუდო (66); **გიორგი ასანიძე- **ძალოსნობა (85); **ელდარ კურტანიძე - **თავისუფალი ჭიდაობა (97);**აკაკი ჩაჩუა - **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (63);** მუხრან ვახტანგაძე - **ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (85);** ვლადიმერ ჭანტურია - **კრივი (91).**

**V ადგილი:** გენადი ჩხაიძე - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (97).

**VI ადგილი:** დავით პოღოსიანი - **თავისუფალი ჭიდაობა (58);** ილია გიორგაძე - **სპორტული ტანვარჯიში.**

**I - VI ადგილებს მიღმა დარჩნენ: ივერი ჯიქურაული** (ძიუდო) - VII; **რუსუდან ხოფერია** (ბატუტზე ხტომა) - VII; **ტარიელ მელელაშვილი** (ბ/რ ჭიდაობა)) - VIII, **ალექსანდრე მოდებაძე** (თავ. ჭიდაობა - X; **ნინო სალუქვაძე** (ტყვიის სროლა) - XI, XXV; **ნესტორ ხერგიანი** (ძიუდო) - სანუგეშო წრე; **კობა გულიაშვილი** (ბ\რ ჭიდაობა) - XIV; **გურამ მჭედლიძე** (თავ. ჭიდაობა) - XIV; **ალექსანდრე ცერცვაძე** (ბ\რ ჭიდაობა) - XV; **ოთარ თუშიშვილი** (თავ. ჭიდაობა) - XV; **ემზარ ბედინეიშვილი** (თავ. ჭიდაობა) - XVII; **ვალერი სარავა** (ძალოსნობა) - XVII; **მირიან გიორგაძე** (თავ. ჭიდაობა) - XX; **ინგა თავდიშვილი** (მხ. ტანვარჯიში) - XXI; **ნანა ნებიერიძე** (წყალში ხტომა) - XXVI; **ნინო უჩაძე** (ტყვიის სროლა) - XXVIII, XXXIII, **თეიმურაზ ხურცილავა** (კრივი) - 1\8; მშვილდოსან ქალთა ნაკრები - 1\8; **ხათუნა ქვრივიშვილი** (მშვილდოსნობა) - 1/32, **ხათუნა ფუტკარაძე** (მშვილდოსნობა) - 1\32; **ასმათ დიასამიძე** (მშვილდოსნობა) - 1\32; **გიორგი რევაზიშვილი** (ძიუდო) - I წრე; **გიორგი გუგავა** (ძიუდო) - I წრე; **ალექსი დავითაშვილი** (ძიუდო) - I წრე; **თამარ შანიძე** (მძლეოსნობა) - კვალიფიკაცია; **რუსლან რუსიძე** (მძლეოსნობა ) - კვალიფიკაცია; **ზურაბ ბერიძე** (ცურვა) - კვალიფიკაცია; **მუხრან გოგია** (ძალოსნობა) - ტრავმა.

**მონაწილე** - 36. ოქრო - 0, ვერცხლი - 0, ბრინჯაო - 6. სულ 6 მედალი.

## გიორგი ვაზაგაშვილი



დაიბადა 19. 04. 1974, ფლავი, გორი. ძიუდო (66 და 71 კგ). ევროპის ორგზის ჩემპიონი (1996, 97), მეორე (1995) და ორგზის მესამე (1999, 2000) პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატების მეორე (1995) და ორგზის მესამე (1993, 97) პრიზიორი, 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, ატლანტისა (1996, VII ადგილი) და ათენის (2004, დამარცხდა პირველ წრეში) ოლიმპიური თამაშების მონაწილე. დსთ-ის ჩემპიონი (1992), მსოფლიოსა (1994) და ევროპის (1993) ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენი (1995). 2004 წლიდან გამოდის საბერძნეთის სახელით. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი.



## აკაკი ჩაჩუა

დაიბადა 16. 09. 1969, სამტრედია. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (60, 63 კგ). 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი და 2004 წლის ათენის ოლიმპიადის მონაწილე (IX ადგილი), ევროპის ჩემპიონატების მეორე (1999) და მესამე (1997) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი გუნდურ პირველობაში (2004), სსრკ თასის მესამე პრიზიორი (1989). ნორვეგიისა და ფინეთის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. ღირსების ორდენის კავალერი.

## მუხრან ვახტანგაძე

დაიბადა 22. 01. 1973, ბათუმი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (85 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (2001), 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი და 2004 წლის ათენის ოლიმპიადის მონაწილე (ჯგუფიდან ვერ გავიდა). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2003), მსოფლიოს თასის მფლობელი პირად (2003) და გუნდურ (2004) ჩათვლაში. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.



**„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი“ /ზაურ ბოლქვაძე/**



პროექტის ავტორია პელოპონესის უნივერსიტეტის ოლიმპიური აკადემიის ასპირანტი თორნიკე გაჩეჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ზაზამ ხარები თავის დაკრულზე ააცეკვა



ჩვენი გაზეთი შაბათს, შობას არ გამოვიდა, რასაც ჩვეულებრივად კვირა დღეც მიემატა და დაგვიგროვდა **ზაზა ფაჩულიას** მონაწილეობით გამართული სამი მატჩი: „ატლანტა ჰოქსმა“ ჯერ „მაიამის“ უმასპინძლა, შემდეგ შარლოტში გაემგზავრა, გუშინ გამთენიისას (თბილისის დროით) კი „ჩიკაგო ბულსს“ დაუხვდა. ამ შეხვედრებს შორის ჯორჯიელებს შესვენება არ ჰქონიათ, რასაც სპეციალური სტატია მიეძღვნა „ატლანტა ჰოქსის“ ოფიციალურ საიტზე. სხვა კალათბურთელების პარალელურად აზრს ზაზასაც ეკითხებიან, რომელიც სექტემბრის ამბებს იხსენებს:

*- 2011 წლის სექტემბერში ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებთან ერთად 6 დღეში ხუთი მატჩის ჩატარება მომიხდა. ასეთი სიტუაცია პირველ ჯგუფურ ეტაპზე იყო, მეორე ტურში გასვლის შემდეგ მდგომარეობა შედარებით შემსუბუქდა - დღეგამოშვებით ვთამაშობდით. როცა NBA-ს კალენდარს გადავხედე, ევრობასკეტი გამახსენდა, თუმცა სხვაობა ისაა, რომ ევროპასთან შედარებით ამერიკაში ასეთ რეჟიმში 66 შეხვედრის ჩატარება გვიწევს.*

ზაზა იქვე დასძენს, რომ გადატვირთული გრაფიკი პრობლემად სულაც არ მიაჩნია, მთავარია, სწორი მიდგომა და ძალების სათანადოდ გამოზოგვა.

*- ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე მატჩის ჩატარება რთულია, მაგრამ თუ თამაშის ტვირთი ცამეტივე კალათბურთელზე გადანაწილდება, პრობლემაც აღმოიფხვრება. ამისთვის თითოეული მოთამაშე მზად უნდა იყოს როგორც ფიზიკურად, ასევე მენტალურად. სწორედ ესაა მთავარი.*

ქვემოთ სამივე თამაშს მოკლედ განვიხილავთ და თავადაც დარწმუნდებით, რომ ჯორჯიელები განვლილ შეხვედრებს მართლაც მომზადებულები შეხვდნენ. მათ მხოლოდ პირველი მატჩი წააგეს, ისიც ოვერტაიმში.

■ ■ ■

რამდენიმე დღის წინ „ატლანტამ“ საბრძოლო შემადგენლობით მოთამაშე „მაიამი ჰიტი“ ფლორიდაში შეარცხვინა. ამჯერად ატლანტაში, **დუეინ უეიდი** და **ლებრონ ჯეიმსი** „მაიამის“ ვერ დაეხმარნენ, ტრავმირებულები იყვნენ. ლოგიკურად, „ჰოქსს“ „ჰიტი“ მეორედაც უნდა დაემარცხებინა, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ლოგიკა ყოველთვის არ არის მართალი. ამიტომაცაა სპორტი საინტერესო. „ფილიპს არენაზე“ შეკრებილმა გულშემატკივარმა საოცარი თამაში იხილა - გუნდებმა ერთმანეთს ბოლომდე შეაკლეს თავი და გამარჯვებულის გამოსავლენად სამი ოვერტაიმი დასჭირდათ. თუ მესამე დამატებით დრომდე ატლანტელები ღირსეულად ებრძოდნენ მაიამელებს, ბოლოს ძალა აღარ ეყოთ და მესამე ოვერტაიმში ქულა ვერ ჩააგდეს. ასე მოიგო „მაიამიმ“ 116:109. საყურადღებოა, რომ ჯორჯიელთა სასტარტო ხუთეულის ოთხმა კალათბურთელმა მოედანზე 40-ზე მეტი წუთი გაატარა.

მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** არასათანადოდ გამოიყენა ზაზა ფაჩულია (12 წუთი) და **ვლადიმირ რადმანოვიჩი** (9 წუთი).

## ფაჩულია: ევრობასკეტი მახსენდება...

**ატლანტა-მაიამი 109:116 დ.დ.**

**ზაზა ფაჩულია:** 12 წუთი, 0 ქულა (2-დან 0 ორქულიანი), 2 მოხსნა, 1 ფოლი, 1 შეცდომა.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 4:50 | 12-7 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 4:22 | 12-7 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 2:31 | 16-13 | ფოლი: 1 |
| 0:56 | 20-19 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **II პერიოდი** | | |
| 10:06 | 27-23 | შეცდომა: 1 |
| 9:30 | 27-23 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 8:44 | 29-23 | სმითმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | | |
| 0:12 | 68-68 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| **IV პერიოდი** | | |
| 9:41 | 73-75 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 8:04 | 77-79 | ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

■ ■ ■

„ატლანტას“ „შარლოტთან“ ძირითად დროში გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდა, სირენამდე 1:07 წუთით ადრე **მერვინ უილიამსის** სამქულიანით 90:85 დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხა და ძირითადი დროის დასრულებას 6 წუთი უკლდა, როცა ფრანგმა **ბორის დიაომ** ანგარიში გაათანაბრა - 91:91.

დამატებით დროში ჯერ **ჯეფ ტიგმა** ჩააგდო სამქულიანი, შემდეგ **ჯო ჯონსონმა** და „ატლანტამ“ 102:96 მოიგო.

მწვრთნელმა ფაჩულიას „შარლოტთანაც“ 10 წუთი მისცა, მეორე ევროპელი რადმანოვიჩი კი 22 წუთი ათამაშა და 11 ქულა მოიმკო.

**შარლოტი-ატლანტა 96:102 დ.დ.**

**ზაზა ფაჩულია:** 10 წუთი, 2 ქულა (5-დან 1 ორქულიანი), 5 მოხსნა, 3 პასი, 1 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 4:07 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა | 11-11 |
| 2:21 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 | 11-15 |
| 2:13 | ორქულიანი: არაზუსტი | 11-15 |
| 2:11 | ორქულიანი: არაზუსტი | 11-15 |
| 2:11 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 | 11-15 |
| 2:00 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 | 11-15 |
| 1:47 | ორქულიანი: 2ძ | 13-15 |
| **II პერიოდი** | | |
| 11:44 | ფოლი: 1 | 20-18 |
| 10:33 | პასი: 1 (პარგო 2ძ) | 25-22 |
| 8:49 | ორქულიანი: არაზუსტი | 27-26 |
| 8:41 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 | 27-26 |
| 8:26 | პასი: 2 (რადმანოვიჩი 2ძ) | 29-26 |
| 7:30 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა | 29-26 |
| **IV პერიოდი** | | |
| 9:41 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა | 76-66 |
| 9:00 | პასი: 3 (გრინი 2ძ) | 78-68 |
| 8:11 | ორქულიანი: არაზუსტი | 78-71 |
| 8:11 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 | 78-71 |
| 7:58 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა | 78-72 |
| 0:01 | ზაზამ ტიგი შეცვალა | 91-91 |

■ ■ ■

..."ჩიკაგოსთან" კი ლარი დრიუმ ზაზაც სათანადოდ გამოიყენა და ვლადიმირიც. ქართველმა 20 წუთში 6 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა, ხოლო რადმანოვიჩმა 17 ქულა ჩააგდო (5-დან 5 სამქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო). ცხადია, სასტარტოებს დასვენების საშუალება მიეცათ და არც მათ ნაყოფიერებას დაკლებია რამე. **ჯოშ სმიტმა** 25 ქულა მიითვალა, ხოლო ჯო ჯონსონმა - 17.

გაგახსენებთ, რომ ერთი კვირით ადრე ჩიკაგოში „ატლანტა“ 17 ქულის სხვაობით იგებდა, მაგრამ **დერეკ როუზის** წინამძღოლობით, „ბულსმა“ თამაში შემოატრიალა. „ატლანტა“ ამჯერადაც სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა - დიდი შესვენების წინ 63:45-ს იგებდა. მართალია, ჩიკაგოელებმა მეოთხე პერიოდში თამაში გამოასწორეს, მაგრამ გამარჯვება მაინც „ატლანტას“ დარჩა - 109:94.



გაზეთ „ჩიკაგოში“ მატჩის ვრცელ განხილვაში ყურადრება გამახვილებულია სამ ატლანტელზე, ზაზა ფაჩულიაზე, ვლადიმირ რადმანოვიჩსა და ელ ჰორფორდზე. თემას „ჩიკაგოს“ მთავარი მწვრთნელი **ტომ ტიბოდო** აგრძელებს:

*- ატლანტელი წინახაზელები ჩიკაგოელებზე მაღლა იდგნენ. ჩვენ ბურთით ვცეკვავდით. ასე კი ქულების მოსაგროვებლად კალათთან არავინ მიგიშვებს. შეტევაში საშინლად ვითამაშეთ.*

**ატლანტა-ჩიკაგო 109:94**

**ზაზა ფაჩულია:** 20 წუთი, 6 ქულა (5-დან 3 ორქულიანი), 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 5:43 | 10-18 | ფაჩულიამ ჰორფორდი შეცვალა |
| 5:20 | 10-20 | ორქულიანი: 2ძ |
| 4:09 | 12-22 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 3:45 | 12-22 | ფოლი: 1 |
| 1:34 | 16-30 | ორქულიანი: 2ძ |
| 1:14 | 16-30 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 0:00 | 18-33 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| **II პერიოდი** | | |
| 11:00 | 22-35 | ორქულიანი: 6ძ |
| 10:44 | 22-35 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 9:33 | 27-37 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 |
| 7:39 | 31-39 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | | |
| 5:31 | 52-79 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 4:09 | 56-79 | ჩაჭრა: 1 (გიბსონს ჩაუჭრა) |
| 2:23 | 60-83 | ფოლი: 2 |
| 2:08 | 60-83 | მოხსნა: შეტ-0, დაც-5 |
| 1:46 | 60-83 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **IV პერიოდი** | | |
| 7:48 | 68-95 | სტეკჰაუსმა ზაზა შეცვალა |

■ ■ ■

ზედიზედ ორი გამარჯვების მიუხედავად. „ჰოქსი“ აღმოსავლეთის კონფერენციაში საპატიო ადგილას მაინც ვერ არის. მას 6 მოგება, 3 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა. თუმცაღა ორი მოგებით ჩამორჩება კონფერენციის ლიდერ „მაიამის“. ზაზას გუნდი მომდევნო თამაშს 9 იანვარს ნიუ ჯერსიში ადგილობრივ „ნეთსთან“ ჩაატარებს.

ტრანსფერი

# სამულენასმა ჩაჩიბაია დაიბრუნა

**რიმვიდას სამულენასი** „სოხუმის“ მწვრთნელია და შეიძლება გაგიკვირდეთ, აქამდე **ტატო ჩაჩიბაიას** უმაღლეს ლიგაში სოხუმურ კლუბში როდის უთამაშია, მის დაბრუნებაზე რომ წერთო. საქმე ისაა, რომ სამულენასი ტატოს ადრეც ავარჯიშებდა - ლიტვაში, საბონისის აკადემიაში. ასე რომ, ლიტველი სპეციალისტი ჩაჩიბაიას აქამდეც კარგად იცნობდა და საქართველოს ჩემპიონატში სატრანსფერო ბაზარი რომ გაიხსნა, პირველ რიგში ტატო გადაიბირა.

„სოხუმის“ ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ:

- გუნდი აქტიურად ემზადება ოლიმპიური ჩემპიონების მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის მემორიალისა (16-20 იანვარი) და საქართველოს თასისთვის (23-30 იანვარი). ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი გახლდათ ტატო ჩაჩიბაიას დამატება, რომელიც ბოლო წლებში ლიტვასა და საქართველოს კლუბებში გამოდიოდა. ტატო (201 სმ) მიმდინარე ჩემპიონატის პირველ წრეში ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდში წარმატებით თამაშობდა.

ჩაჩიბაია რამდენიმე დღეა „სოხუმის“ რიგებში ვარჯიშობს. გუნდის მთავარი მწვრთნელი რიმვიდას სამულენასი, სამწვრთნელო შტაბის წევრები და კლუბის ხელმძღვანელობა იმედოვნებენ, რომ ტატო „სოხუმს“ ახალ იმპულსს შეჰმატებს და გუნდს სათანადოდ გააძლიერებს. საყურადღებოა, რომ ტატომ ლიტვური ენა კაუნასში ცხოვრების დროს შეისწავლა და მწვრთნელთან საერთო ენის გამონახვა არ გაუჭირდება.



ჩაჩიბაია დაიბადა და აღიზარდა ზუგდიდში. კალათბურთის თამაში მწვრთნელის **სლავა ებრალიძის** ხელმძღვანელობით დაიწყო. 2002 წელს **ვაჟა კვარაცხელიას** მოწვევით თბილისში გადავიდა და სოხუმის „კოლხას“ ბავშვთა გუნდში ასპარეზობდა. 2004 წელს „კოლხას“ (მწვრთნელი **ლიკა ქაჯაია**) შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონი გახდა 16-წლამდე ასაკობრივ გუნდებს შორის. 2003 წელს იყო ჭაბუკ კალათბურთელთა კემპში ესპანეთში და მიიღო ყველაზე პერსპექტიული მოთამაშის პრიზი.

2004 წლის მეორე ნახევრიდან ჩაჩიბაია ლიტვაში გაემგზავრა და 4 წელი საბონისის სახელობის სკოლის ჭაბუკთა გუნდში თამაშობდა. მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში „ლიტვის ჭაბუკთა ჩემპიონატის ვარსკვლავები“. საბონისის სკოლის გუნდში ტატოს გარკვეული დროით ავარჯიშებდა მწვრთნელი რიმვიდას სამულენასი, რომელიც 2011 წლის ნოემბრიდან „სოხუმის“ მთავარი მწვრთნელია.

2009 წლიდან ტატო კვლავ საქართველოს სუპერლიგაში თამაშობს: ჯერ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, მოგვიანებით კი თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდში. 2011 წლის სექტემბრიდან საქართველოს იგი ტექნიკურ უნივერსიტეტში გამოდიოდა.

ტატო ჩაჩიბაიას უთამაშია საქართველოს 16, 18 და 20-წლამდელთა ნაკრებებში.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

## ჭადრაკი

### ლიდერებში ინარჩუნებს ადგილს

ფრიმონტში (აშშ) დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი „ჩრდილოეთ კალიფორნია 2012", რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 60 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის - თბილისელი დიდოსტატი **გიორგი მარგველაშვილი.** გასულ უქმეებზე ორ ტურში მან მონაგარს ქულა-ნახევარი შესძინა: მე-7 ტურში გრეგ შეიჰედი (აშშ) დაამარცხა, ხოლო მერვეში შავებით გეორგ მაიერს (გერმანია) დაუზავდა. გუშინ, ასევე, ყაიმით დამთავრდა მარკ არნოლდისა (აშშ) და სემ შენკლენდის (აშშ), იური შულმანისა (აშშ) და კაიდენ ტროფის (აშშ), დანიელ რენჟისა (აშშ) და აქსელ ბამანის (პარაგვაი), გრეგ შეიხედისა და სემ კოლინზის (ირლანდია) შეხვედრები. ჯოშ ფრიდელმა (აშშ) ენრიკო სევილანო (აშშ) დაამარცხა, მაკენზი მოლნერმა (აშშ) ფაიკ ალესკეროვს (აზერბაიჯანი), ალეხანდრო რამირესმა (აშშ) კი ადამ იაიაკუმარს (აშშ) აჯობა.

რვა ტურის შემდეგ: შენკლენდი - 6,5, ფრიდელი, არნოლდი - 6-6, შულმანი, რამირესი, მარგველაშვილი, მოლნერი, ტროფი - 5,5-5,5 ქულა. 10 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს. პირველი ადგილისთვის გათვალისწინებულია 13000 ამერიკული დოლარი, მეორე ადგილისთვის - 1500 და მესამე ადგილისთვის - 1000 დოლარი.

ბოლო ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: შენკლენდი - ფრიდელი, მარგველაშვილი - არნოლდი, შულმანი - მოლნერი, რამირესი - ტროფი. პრიზიორთა ვინაობაც ამ ორთაბრძოლების შედეგებით გაირკვევა.

### გურამიშვილმა ყველას აჯობა

იტალიურ რეჯო ემილიაში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 6-6 ქალ-ვაჟი წრიული სისტემით (ორ წრედ) ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ქალებში შესანიშნავად ითამაშა თბილისელმა დიდოსტატმა **სოფიკო გურამიშვილმა.** იგი ბოლო ტურში ბელარუს ანა შარევიჩს დაუზავდა და 10 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა შარევიჩი, რომელიც მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. ბოლო ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: მარიანა კიერიჩი (იტალია) - ივა ვიდენოვა (ბულგარეთი) 0:1, მარიაგრაცია დე როსა (იტალია) - მარინა ბრუნელო (იტალია) 0:1. 6,5 ქულით მესამე ადგილი ბრუნელომ დაიკავა. შემდეგ მოდიან: ვიდენოვა - 3,5, დე როსა - 3, კიერიჩი - 2 ქულა.




სოფიკო გურამიშვილი

ვაჟთა ტურნირში 2700-იანთა კლუბის წევრები თამაშობდნენ, თანაც შეფასებათა ახალი სისტემით - მოგებისთვის 3, ყაიმისთვის - 1, წაგებისთვის - 0 ქულა.

ბოლო ტურის ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: ანიშ გირი (ჰოლანდია, 2714) - ფაბიანო კარუანა (იტალია, 2727) 0,5:0,5, ნიკიტა ვიტიუგოვი (რუსეთი, 2729) - ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი, 2762) 1:0, ვასილ ივანჩუკი (უკრაინა, 2775) - ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2758) 1:0. ადგილები კი ასე განაწილდა: გირი - 16, მოროზევიჩი, ნაკამურა, კარუანა - 15-15, ივანჩუკი - 12, ვიტიუგოვი - 8 ქულა.

**ვაჟა დანელია**

## რაგბი

### ლეგიონერები




ბურთით მამუკა გორგოძე

# გიორგაძის უიღბლო დებიუტი ტულუზში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-15 ტური ფატალური აღმოჩნდა საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭ **აქვსენტი გიორგაძისთვის**. მისმა „ტულუზმა", რომელიც გათამაშების ლიდერი და უმთავრესი ფავორიტია, მეტოქე **გურამ კავთიძისა** და **ტარიელ რატიანიძის** „ლიონი" დიდი ანგარიშით 51:10 დაამარცხა, მაგრამ „გლობუსა", რომელსაც გუნდის ძირითად შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა, მატჩის მე-15 წუთზე მძიმედ დაშავდა.

*„მისი ტრავმა ჩვენი გუნდისთვის დიდი დარტყმაა. გიორგაძესთან დაკავშირებით სერიოზული გეგმები გვქონდა. ამ პოზიციაზე სეზონის დაწყებიდანვე მუდამ პრობლემა გვექმნებოდა, როგორც ჩანს, ის ჯერ არ დამთავრებულა. ახლა ისინი უნდა ვათამაშოთ, ვინც დაგვრჩა. გიორგაძეს სერიოზული სამედიცინო კვლევა ჩაუტარდება და იმედი გვაქვს, რომ კუნთი განწყვეტილი არ აქვს"*, - თქვა „ტულუზის" მთავარმა მწვრთნელმა **გი ნოვემ.**

ტულუზელთაგან კვლავ საუკეთესო იყო მგეზავი **ლიონელ ბუქსი**, რომელმაც გუნდს 21 ქულა მოუტანა (ექვსი გარდასახავა და სამი საჯარიმო). კავთიძე და რატიანიძე განაცხადში არ იყვნენ.

**მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიემ" სტუმრად დაამარცხა **ვასილ კაკოვინის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი" - 23:9. შედეგად მონპელიელები, მიუხედავად იმისა, რომ ისევ მერვე ადგილზე არიან, საპლეიოფო ექვსეულს ამჟამად მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან.

„ბრივის" საქმე კი საკმაოდ გართულდა. ჩვენებურთა ამ გუნდმა საკუთარ მოედანზე ზედიზედ მეხუთედ წააგო და გასავარდნ ზონას დაუახლოვდა, ბრიველები მე-11 ადგილზე არიან და აუტსაიდერ „ლიონს" ოთხი ქულით უსწრებენ.

თამაში საკმაოდ საინტერესო, უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა. მატჩის არბიტრმა მოედნიდან ოთხი მორაგბე გაასინბინა, აქედან სამი სტუმართა გუნდიდან. პირველი, ვისაც მოედნის ათი წუთით დატოვებამ მოუწია, „მონპელიეს" ქართველი შერკინების ბურჯი **გიორგი ჟღენტი** იყო. ის მე-9 წუთზე გაასინბინეს და 47- წუთზე შეცვალეს.

ძირითად შემადგენლობაში ითამაშა მამუკა გორგოძემაც, რომელმაც მოედანი 67-ე წუთზე დატოვა, კაკოვინი და ხინჩაგიშვილი მატჩში 41-ე წუთიდან ჩაერთნენ, ნარიაშვილი მოედანზე 74-ე წუთზე გამოჩნდა, ორ წუთში მას მატრიაშვილის მოჰყვა, შველიძე განაცხადში არ იყო.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი" სტუმრად დამარცხდა პარიზულ „სტად ფრანსესთან" - 21:38. თუმცა მიუხედავად ამისა, სატურნირო ცხრილში 40 ქულით მესამე ადგილს მაინც ინარჩუნებს. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს.

**ბექა შეყლაშვილის** „აჟენი" შინ დამარცხდა აუტსაიდერ ბასკურ „ბიარიცთან" - 6:15. მას შემდეგ, რაც ამ გუნდს ტრავმამოშუშებული ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი** დაუბრუნდა, ბასკებმა ზედიზედ ორი თამაში მოიგეს. ისევე როგორც წინა ტურის მატჩში, „იაში" ამჯერადაც საუკეთესო იყო, მის ანგარიშზე 12 ქულაა (ოთხი საჯარიმო).

„აჟენმა" ამ მარცხის შემდეგ საპლეიოფო ექვსეული დატოვა და ახლა 36 ქულით მე-7 ადგილზეა. შეყლაშვილი განაცხადში არ იყო.

ლიდერების, **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონისა" და **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის" შეხვედრა გვიან ღამით დასრულდა.

**I დივიზიონი**

**XV ტური**

**აჟენი-ბიარიცი 6:15, ბაიონი-ბორდო 20:27, სტად ფრანსე-კასტრი 38:21, ტულუზი-ლიონი 51:10, ბრივი-მონპელიე 9:23, პერპინიანი-მეტრო რასინგი 14:14, კლერმონი-ტულონი (გვიან დასრულდა).**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ტულუზი - 56 ქულა, 2. კლერმონი - 46, 3. კასტრი - 40, 4. ტულონი - 39, 5. სტად ფრანსე - 39, 6. მეტრო რასინგი - 36, 7. აჟენი - 36, 8. მონპელიე - 35, 9. ბორდო - 30, 10. პერპინიანი - 27, 11. ბრივი - 24, 12. ბაიონი - 23, 13. ბიარიცი - 23, 14. ლიონი - 20.**

**XVI ტური**

**ლიონი-აჟენი, ტულონი-ბაიონი, კასტრი-ბიარიცი, ბორდო-კლერმონი, მონპელიე-სტად ფრანსე, ბრივი-პერპინიანი, მეტრო რასინგი-ტულუზი.**

საშობაო არდადეგების შემდეგ მე-15 ტურის მატჩებით განახლდა მეორე დივიზიონის გათამაშება. აქ ლიდერი **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლია", რომელმაც შინ დაამარცხა „ოიონაქსი" 24:9 და სატურნირო ცხრილში პოზიცია კიდევ უფრო განიმტკიცა.

ისევ აუტსაიდერია **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **დავით დადუნაშვილის** „პერიგო", რომელმაც სტუმრად წააგო „დაქსთან" - 8:19. მარგველაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს, დადუნაშვილი თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო, ზიბზიბაძე ტრავმირებულია და არ უთამაშია.

აუტსაიდერთა შორისაა **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა** და **კარლენ ასიშვილის** „ორიაკიც", რომელმაც სტუმრად წააგო „ლა როშელთან" - 16:26. დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნაცარაშვილი მოედანზე 74-ე წუთიდან გამოჩნდა, ასეიშვილი განაცხადში არ იყო.

**მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა" შინ მოუგო „ალბის" - 22:19. მაგრაქველიძე მატჩში 46-ე წუთიდან ჩაერთო, მირცხულავას არ უთამაშია.

**დავით ლოსაბერიძისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „პომ" საკუთარ მოედანზე დაამარცხა „ოში" - 16:3. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

**II დივიზიონი**

**XV ტური**

**ექსი-პერიგო 19:8, ბეზიე-კარკასონი 13:18, დაქსი-ბურგუენი 25:12, ნარბონი-მონ დე მარსანი 9:13, პო-ოში 16:3, ლა როშელი-ორიაკი 26:16, ტარბი-ალბი 22:19, გრენობლი-ოიონაქსი 24:9.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. გრენობლი - 52 ქულა, 2. დაქსი - 46, 3. მონ დე მარსანი - 43. 4. პო - 42, 5. ლა როშელი - 42, 6. კარკასონი - 41, 7. ექსი - 39, 8. ოიონაქსი - 37, 9. ალბი - 36, 10. ბურგუენი - 35, 11. ტარბი - 34, 12. ოში - 31, 13. ორიაკი - 26, 14. ნარბონი - 20, 15. ბეზიე - 18, 16. პერიგო - 14.**

**XVI ტური**

**ბეზიე-დაქსი, ალბი-ნარბონი, ოში-პერიგო, ლა როშელი-ოიონაქსი, პო-ექსი, გრენობლი-ორიაკი, ბურგუენი-კარკასონი, ტარბი-მონ დე მარსანი.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

### ამბები

# სიპრიანი მზადაა ფლუდი შეცვალოს

ინგლისის ნაკრების დროებითმა მთავარმა მწვრთნელმა **სტიუარტ ლანკასტერმა** ოთხშაბათს ეროვნული ნაკრების 30-კაციანი შემადგენლობა უნდა დაასახელოს. „პომების" ქომაგების სამწუხაროდ, პირველ მატჩში შოტლანდიის ნაკრებთან, სტუმრად „მერიფილდზე" შესაძლოა მგეზავმა **ტობი ფლუდმა** ვერ ითამაშოს. ამ ამბავმა კიდევ უფრო მეტად გაულვივა ნაკრებში დაბრუნების იმედი, ყოფილი მწვრთნელის, **მარტინ ჯონსონის** მიერ მოკვეთილ მგეზავ **დენი სიპრიანის,** რომელიც ამჟამად ზე რაგბიში მოასპარეზე „მელბურნ რებლზის" ღირსებას იცავს.

24 წლის სიპრიანის ლანკასტერთან აქამდეც უმუშავია, მას კარგად იცნობს და იმედი აქვს, რომ ოთხშაბათს ეროვნული ნაკრების მორაგბეთა სიაში მის გვარსაც ამოიკითხავს.

„სტიუარტ ლანკატერთან ადრეც მიმუშავია, ის კარგი სპეციალისტია და დიდად ვაფასებ. აღფრთოვანებული ვარ იმით, რომ, როგორც მან თქვა, ნაკრებში მოხვედრის შანსი იმ მორაგბეებსაც ექნებათ, რომლებსაც აქამდე სხვადასხვა მიზეზების გამო არ იწვევდნენო.

*თუ ლანკასტერი ნაკრებში გამომიძახებს ეს ჩემი შანსი იქნება, რომელსაც მყარად ჩავებღაუჭები და ვეცდები ხელიდან არ გავუშვა. ზე რაგბის გათამაშების წლევანდელი სეზონისთვის გამალებით ვემზადები, ვფიქრობ, კარგ ფორმაში ვარ, თუმცა მთელი ჩემი არსებით სამშობლოში ვარ, ძალიან მინდა ეროვნულ ნაკრებში გამოვიდე. რაგბის თამაში ამიტომაც დავიწყე და ამდენს სწორედ ამ ოცნების ასრულებისთვის ვშრომობ.*

*ოპტიმისტი ვარ და იმედი მაქვს, რომ ერთ შანსს კიდევ მომცემენ. ცხადია, მყარი გარანტია არ არსებობს, მაგრამ გარწმუნებთ, თავს არ დავზოგავ, რათა 2012 წელს ინგლისის ნაკრების ძირითადი მგეზავი გავხდე"*, - თქვა დენი სიპრიანიმ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი უტოპია არ არის

პლანეტის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნახევარსფეროთა სარაგბო ქვეყნების კლუბების დაპირისპირება შორეული მომავლის პერსპექტივა აღარ არის. ქომაგებს დიდი ხანია აინტერესებთ, ვინაა მსოფლიოს რაგბის ბატონ-პატრონი.

თავად განსაჯეთ, რა საინტერსო იქნება მატჩები ასეთი წყვილების მონაწილეობით: ტულუზი-კრუსეიდერზი, ბლუ ბულზი-ლესტერი, ლენსტერი-რედსი და ასე შემდეგ. ცხადია, ეს მატჩები ქომაგთა შორის დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევს. ყველას აინტერესებს, ვინ უფრო მაგარია ზე რაგბის გათამაშების თუ „ჰაინეკენის თასის" გათამაშების გამარჯვებული?

ყველაზე დიდი წინააღმდეგობა მსოფლიოს საუკეთესო კლუბების დაპირისპირების ორგანიზებაში ორივე ნახევარსფეროში არსებული ტურნირების სტრუქტურაა. ამ იდეის განხორციელების ორგანიზატორი **მარკ მაკფერტის** მიაჩნია, რომ კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

*„ეროვნული ჩემპიონატები, ცხადია, კარგია. რეგიონალური, ანუ კონტინენტური შეჯიბრებებიც შესანიშნავია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი კლუბებს შორის სულ სხვა იქნება.*

*განა საინტერესო არ არის ვინ არის მსოფლიოში სარაგბო მოდის კანონმდებელი, „კრუსიდერზი", ბლუ ბულზი", „ტულუზი", „ლენსტერი" თუ „სარასენზი"?*

*ადრე თუ გვიან, ამის გარკვევა მოგვიწევს, ვინაიდან მოთხოვნა პასუხზე ძალიან დიდია. საკლუბო რაგბი თავისი დამახიასიათებელი თავისებურებებით არაფრით ჩამოუვარდება სანაკრებოს.*

*ყველაზე დიდი პრობლემა არსებული საკლუბო შეჯიბრებების სტრუქტურებს შორის განსხვავებაა. ეს გუნდებსაც უქმნის პრობლემებს და მედიასაც. კერძოდ კი, რთულდება ტელეტრანსლიაცია. ერთი სიტყვით, ამ საკითხის გადასაჭრელად სერიოზული გარჯა გვმართებს.*

*მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის 2015 წლამდე ვერ გაიმართება. ამ ტურნირის ჩატარება მხოლოდ მსოფლიოს თასის გათამაშების შემდეგ გახდება შესაძლებელი. მანამდე კი ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ეს მოხერხდეს"*, - თქვა მარკ მაკფერტიმ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მეფეების ახალი მეფე


კიტ სმარტი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მიმდინარე სეზონში პირველი გუნდი "საკრამენტო კინგზი" აღმოჩნდა, რომელმაც მთავარი მწვრთნელი შეიცვალა. არადამაკმაყოფილებელი სტარტის გამო პოსტიდან დაითხოვეს **პოლ უესტფოლი**. მისი ხელმძღვანელობით კლუბმა რვა მატჩში მხოლოდ ორ გამარჯვებას მიაღწია. გარდა ამისა, მწვრთნელს მუდმივად კონფლიქტი ჰქონდა ახალგაზრდა ცენტრთან **დემარკუს კაზინსთან**.

უესტფოლი მესამე სეზონს ატარებდა "საკრამენტოში". ამ გუნდის მწვრთნელის რანგში მან 171 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ 51 მოიგო.

"კინგზის" ახალ მწვრთნელად უკვე გამოაცხადეს 47 წლის **კიტ სმარტი**, რომელიც უესტფოლის ასისტენტი იყო. NBA-ში მისი გამოცდილება "კლივლენდისა" და "გოლდენ სტეიტის" დამრიგებლის რანგში მხოლოდ 122 მატჩს ითვლის (45 მოგება და 77 მარცხი). სმარტმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა "მეფეების" ხელმძღვანელობასთან, ამასთან, ხელშეკრულების მეორე წელი გარანტირებული არ არის, შესაბამისად, "საკრამენტოს" მომავალ ზაფხულს შეეძლება ახალი სპეციალისტის მიწვევა.

■ ■ ■

ისევ ტრავმირებული ჰყავს "ნიუ ორლეანს" წამყვანი მცველი **ერიკ გორდონი**. კალათბურთელმა "ფილადელფიასთან" მატჩში მუხლი დაიზიანა და როგორც ექიმები ვარაუდობენ, გორდონის მოედანზე დასაბრუნებლად ორი-სამი კვირა იქნება საჭირო.

შეგახსენებთ, რომ "ფილადელფიასთან" მატჩამდე ერიკმა ოთხი შეხვედრა გამოტოვა ანალოგიური დაზიანების გამო. მიმდინარე სეზონში გორდონის საშუალო შედეგიანობა 21 ქულას უდრის.

■ ■ ■

ასევე სერიოზული დანაკლისი აქვს "შარლოტ ბობკეტს". "ნიუ იორკთან" მოგებულ შეხვედრაში ტრავმა მიიღო გამოცდილმა ფორვარდმა **კორი მაგეტიმ**, რომელიც, სავარაუდოდ, 2-4 კვირა ვერ შეძლებს თამაშს. წლევანდელ რეგულარულში მაგეტის მონაგარი 12,2 ქულასა და 6.2 მოხსნას შეადგენს.

"შარლოტის" რიგებში ერთი კარგი ამბავიცაა - ფორვარდმა **ტაირუს ტომასმა**, რომელსაც წელს ჯერ არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია, ფეხის ტრავმა მოირჩინა და მზად არის მოედანზე დასაბრუნებლად.

**5 იანვარი**

**ატლანტა-მაიამი 109:116 (ვო)**

19:22, 30:32, 21:14, 23:25, 6:6, 10:10, 0:7

ა: ჯ. ჯონსონი (20), სმიტი (17+13 მოხსნა), მაკგრეიდი (14+7 მოხსნა), გრინი (14), ა. ჯონსონი (13), ჰორფორდი (10+11 მოხსნა).

მ: ბოში (33+14 მოხსნა), ჩელმერსი (27+7 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), ჰასლემი (14+11 მოხსნა), ჰარისი (9+14 მოხსნა).

**სან ანტონიო-დალასი 93:71**

31:17, 24:12, 11:13, 27:29

ს-ა: ბონერი (17), ჯეფერსონი (16+7 მოხსნა), ნილი (12), პარკერი (11+8 პასი), დანკანი (10).

დ: ტერი (12), უესტი (10).

**საკრამენტო-მილუოკი 103:100**

25:30, 12:28, 31:24, 35:18

ს: ტორნტონი (27), ევანსი (26+10 მოხსნა), კაზინსი (19+15 მოხსნა), სელმონსი (13), ჰიქსონი (7+11 მოხსნა).

მ: ჯენინგსი (31+7 პასი+5 ჩაჭრა), გუდენი (18+9 მოხსნა), ჯექსონი (13).

**პორტლენდი-ლეიკერსი 107:96**

27:31, 25:25, 32:18, 23:22

პ: უოლასი (31), ოლდრიჯი (28+10 მოხსნა), კროუფორდი (17), მეტიუზი (16), ფელტონი (8+10 პასი).

ლ: ბრაიანტი (30+8 მოხსნა), ბინუმი (21+12 მოხსნა+3 დაფარება), გასოლი (19+7 მოხსნა).

**6 იანვარი**

**შარლოტი-ატლანტა 96:102 (ო)**

18:20, 20:23, 23:27, 30:21, 5:11

შ: ოგუსტინი (21+12 პასი), უოკერი (19), მულინზი (17), უაიტი (14+9 მოხსნა), დიაო (10+9 მოხსნა).

ა: სმიტი (23+13 მოხსნა), ჰორფორდი (15+7 მოხსნა), უილიამსი (15+9 მოხსნა), ჯონსონი (14+6 პასი), რადმანოვიჩი (11+7 მოხსნა).

**ვაშინგტონი-ნიუ იორკი 96:99**

32:18, 15:28, 22:26, 27:27

ვ: იანგი (24), უოლი (22+9 პასი), ბლეტჩი (15), მაკგი (13+10 მოხსნა), სინგლტონი (12+7 მოხსნა).

ნ-ი: ენტონი (37+7 მოხსნა), სტაუდმაიერი (23+12 მოხსნა), ჩენდლერი (12+15 მოხსნა), ბიბი (11), შუმპერტი (10+7 პასი).

**ბოსტონი-ინდიანა 74:87**

14:14, 11:19, 30:30, 19:24

ბ: ალენი (23), გარნეტი (12), რონდო (11+9 პასი+3 ჩაჭრა), პირსი (10+7 მოხსნა).

ი: გრეინჯერი (15), კოლისონი (14), ჰილი (13), ჯორჯი (12), ჰენსბრო (12), ჰიბერტი (11+12 მოხსნა), უესტი (2+10 მოხსნა).

**მინესოტა-კლივლენდი 87:98**

24:28, 21:24, 19:24, 23:22

მ: ლავი (29+14 მოხსნა), უილიამსი (12), მილიჩიჩი (11), რუბიო (10), ბიზლი (9+12 მოხსნა).

კ: ჯეიმისონი (22), ირვინგი (14), ვარეჟაო (13+12 მოხსნა), გი (11), სეშენსი (11+7 მოხსნა+6 პასი), გიბსონი (11).

**ნიუ ორლეანი-დენვერი 88:96**

32:24, 15:17, 16:21, 25:34

ნ-ო: ვასკესი (16), ლენდრი (15), ჯეკი (15+6 პასი), ბელინელი (13).

დ: გალინარი (23+6 პასი), ჰარინგტონი (14 ), აფლალო (13), მილერი (13).

**ლეიკერსი-გ. სტეიტი 97:90**

20:22, 15:17, 32:19, 30:32

ლ: ბრაიანტი (39+7 პასი), გასოლი (17+11 მოხსნა+3 დაფარება), ბარნსი (16), ბინუმი (9+16 მოხსნა).

გ-ს: ელისი (18+10 პასი+5 ჩაჭრა), ლი (15+11 მოხსნა), ტომპსონი (14), ბრაუნი (13), რაიტი (10).

**ტორონტო-ნიუ ჯერსი 85:97**

21:22, 19:26, 24:27, 21:22

ტ: კალდერონი (19+8 პასი), ბარნიანი (17), დევისი (11+8 მოხსნა), ბატლერი (11), ა. ჯონსონი (8+10 მოხსნა), ჯ. ჯონსონი (8).

ნ-ჯ: მოროუ (24), დ. უილიამსი (24+9 პასი), სტივენსონი (15), ფარმარი (10), ჰემფრიზი (6+16 მოხსნა).

**ფილადელფია-დეტროიტი 96:73**

20:19, 23:15, 21:22, 32:17

ფ: მიქსი (21), უილიამსი (16), ჰოვსი (16+14 მოხსნა), იანგი (15+7 მოხსნა).

დ: მონრო (22+7 მოხსნა), ნაითი (10+9 მოხსნა), მაქსიელი (10), ბინუმი (10).

**ორლანდო-ჩიკაგო 83:97**

27:26, 16:27, 19:20, 21:24

ო: ჰოვარდი (28+15 მოხსნა), რიჩარდსონი (17), თურქოგლუ (12), დევისი (8+10 მოხსნა).

ჩ: როუზი (21+10 პასი+8 მოხსნა), დენგი (21), ბუზერი (20+13 მოხსნა), კორვერი (18).

**ოკლაჰომა-ჰიუსტონი 109:94**

30:20, 28:21, 28:24, 23:29

ო: დურანტი (26+7 მოხსნა), ჰარდენი (23), უესტბრუკი (15), იბაკა (11+9 მოხსნა).

ჰ: უილიამსი (13), მარტინი (13), დრაგიჩი (10+11 პასი), სკოლა (10).

**იუტა-მემფისი 94:85**

22:26, 23:21, 22:17, 27:21

ი: ჯეფერსონი (20+9 მოხსნა), მილსეპი (14+8 მოხსნა), ჰოვარდი (13), უოტსონი (11), ჰარისი (11).

მ: გასოლი (21+11 მოხსნა), ალენი (21), გეი (17+7 მოხსნა), კონლი (11+6 პასი).

**ფინიქსი-პორტლენდი 102:77**

30:19, 19:15, 25:21, 28:22

ფ: დადლი (18+3 ჩაჭრა), ნეში (17+9 პასი), ბრაუნი (14), მორისი (13+9 მოხსნა), გორტატი (12+8 მოხსნა), უორიკი (12), ლოპესი (5+12 მოხსნა).

პ: ოლდრიჯი (14+7 მოხსნა), ბატუმი (12), კროუფორდი (10), კემბი (3+11 მოხსნა).

**7 იანვარი**

**ატლანტა-ჩიკაგო 109:94**

33:18, 30:27, 22:17, 24:32

ა: სმიტი (25+4 ჩაჭრა+6 დაფარება), ჯონსონი (17), რადმანოვიჩი (17), ჰორფორდი (14+7 მოხსნა), ტიგი (12+8 პასი+5 ჩაჭრა), გრინი (10).

ჩ: ლუკასი (16), კორვერი (13), ბუზერი (12), ბატლერი (12), დენგი (8), აშიქი (8+13 მოხსნა), როუზი (8+6 პასი).

**დეტროიტი-ნიუ იორკი 80:103**

24:25, 18:39, 15:22, 23:17

დ: ნაითი (19), მონრო (15), გორდონი (12), მაქსიელი (11).

ნ-ი: სტაუდმაიერი (22+8 მოხსნა), ბიბი (16), ენტონი (13+7 პასი), შუმპერტი (11), ჰარელსონი (11+7 მოხსნა), ჩენდლერი (10+9 მოხსნა).

**ჰიუსტონი-ოკლაჰომა 95:98**

21:23, 25:25, 26:24, 23:26

ჰ: სკოლა (28+7 მოხსნა), დრაგიჩი (20+8 პასი), მარტინი (16), პატერსონი (10).

ო: დურანტი (27), უესტბრუკი (25+6 პასი), მოჰამედი (17), ჰარდენი (16).

**სან ანტონიო-დენვერი 121:117**

37:25, 25:30, 32:30, 27:32

ს-ა: გრინი (24+7 მოხსნა), პარკერი (19+6 პასი), ჯეფერსონი (19), დანკანი (10), ბლეირი (10+10 მოხსნა), ნილი (10).

დ: გალინარი (31), ლოუსონი (20+10 პასი), ჰარინგტონი (19), აფლალო (12), ფერნანდესი (11), ბრიუერი (11).

**გ. სტეიტი-იუტა 87:88**

19:27, 27:18, 20:18, 21:25

გ-ს: ელისი (32+6 პასი), რაში (14), ლი (13+15 მოხსნა), რობინსონი (11).

ი: ჰეივორდი (18), ჯეფერსონი (15+8 მოხსნა), ფეივორსი (12+10 მოხსნა).

**ინდიანა-შარლოტი 99:77**

22:30, 21:19, 28:14, 28:14

ი: ჰიბერტი (20+8 მოხსნა+3 დაფარება), ჰენსბრო (15), კოლისონი (14+8 მოხსნა), გრეინჯერი (13), ჰილი (13), უესტი (10).

შ: ოგუსტინი (20+7 მოხსნა), ჰენდერსონი (14+10 მოხსნა), მულინზი (10+11 მოხსნა), ტომასი (10+7 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-მაიამი 90:101**

18:31, 17:26, 29:21, 26:23

ნ-ჯ: ჰემფრიზი (25+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბრუქსი (12), მოროუ (11), დ. უილიამსი (10+10 პასი), შელ. უილიამსი (8+13 მოხსნა).

მ: ჯეიმსი (32+9 პასი+7 მოხსნა), ბოში (16), ჰასლემი (12+12 მოხსნა).

**ფილადელფია-ტორონტო 97:62**

19:16, 22:18, 32:15, 24:13

ფ: იგუოდალა (14+10 მოხსნა), ჰოლიდეი (14+6 პასი), უილიამსი (13), იანგი (12), ბრენდი (10), ვუჩევიჩი (9+10 მოხსნა).

ტ: ბარნიანი (21+11 მოხსნა), ჯონსონი (12+14 მოხსნა).

**დალასი-ნიუ ორლეანი 96:81**

26:20, 26:21, 23:24, 21:16

დ: კარტერი (13), მაინმი (13+7 მოხსნა), უესტი (12), ტერი (12), ბობუა (11), ნოვიცკი (10).

ნ-ო: ამინუ (15+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჯეკი (13+7 მოხსნა), ლენდრი (12), კამანი (10).

**კლიპერსი-მილუოკი 92:86**

18:15, 20:25, 34:25, 20:21

კ: გრიფინი (22+14 მოხსნა), ბატლერი (20), ბილაპსი (19), უილიამსი (10), პოლი (9+7 პასი+4 ჩაჭრა).

მ: ჯენინგსი (21+7 პასი), ჯექსონი (18), გუდენი (18+13 მოხსნა).



კაილი ლოური

# ქალი მსაჯი შემოელახა

სერიოზულ სკანდალში გაეხვია "ჰიუსტონ როკეტსის" მცველი **კაილი ლოური**. კალათბურთელს ქალი მსაჯის ცემისთვის ბრალდება წაუყენეს. ინციდენტი სექტემბერში, ლას ვეგასში ჩატარებული საქველმოქმედო მატჩის დროს მოხდა. შეხვედრის ბოლოს ლოურიმ **ინფინი რობინსონს** მკერდში ესროლა ბურთი, შემდეგ კი არბიტრი უშვერი სიტყვებით გალანძღა და ცემით დაემუქრა. სკანდალი იმით დასრულდა, რომ ჰიუსტონელი მსაჯებისთვის განკუთვნილ ზონაში შევარდა და კიდევ ერთხელ ძლიერად ესროლა ბურთი რობინსონს.

მოწმის ჩვენება დაადასტურა რობინსონის კოლეგამ. მანვე ისიც აღნიშნა, რომ მოგვიანებით ლოურიმ ბოდიში მოუხადა მსაჯს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, "ჰიუსტონის" მცველს ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

კრივი



# ციხეში პირველი ივნისიდან

როგორც ცნობილია, თანამედროვე კრივის ვარსკვლავს **ფლოიდ მეივეზერს** ყოფილი გერლფრენდის **ჯოზი ჰარისის** ცემისთვის მისჯილი სამთვიანი ვადის მოხდა 6 იანვარს უნდა დაეწყო, მაგრამ მოსამართლე **მელისა სარაგოსამ** გაითვალისწინა მეივეზერის საკონტრაქტო ვალდებულებები და ნება დართო ამერიკელ მოკრივეს, სასჯელის მოხდა პირველ ივნისს დაიწყოს. მანამდე კი, კერძოდ, 5 მაისს ფლოიდი ლას ვეგასში მორიგ ბრძოლას გამართავს.

მეივეზერის პოტენციურ მეტოქეებად ასახელებენ **საულ ალვარესს**, რომელიც ფლოიდის მსგავსად ჯერაც დაუმარცხებელია პროფესიულ რინგზე (39-დან 39 მოგება, 29 ნოკაუტით) და **რობერტ გერეროს** (29-1-1, KO18). ამის შესახებ გამოაცხადა Golden Boy Promotions-ის პრომოუტერმა **რიჩარდ შეფერმა**. მანვე განაცხადა, რომ კომპანია Top Rank-ის პრომოუტერი **ბობ არუმი** არ არის დაინტერესებული იმით, რომ **მენი პაკიაო** ფლოიდ მეივეზერს შეხვდეს.

ბობ არუმი უახლოეს დღეებში ფილიპინებში ჩავა და პაკიაოს შეხვდება. მათ უნდა განიხილონ ფილიპინელი ვარსკვლავის მორიგი მეტოქის კანდიდატურა. არუმს ოთხკაციანი სია აქვს, რომელშიც შედიან **ხუან მანუელ მარკესი, მიგელ კოტო, ტიმოტი ბრედლი** და **ლამონტ პიტერსონი**.

# ევრობასკეტი ოთხ წელიწადში ერთხელ?

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია მომავალში დიდი სანაკრებო ტურნირების კალენდარში რევოლუციურ ცვლილებებს აპირებს. ეს ყველაფერი კეთდება მოთამაშეთა და მწვრთნელთა თხოვნით, რომლებსაც მძიმე საკლუბო სეზონების შემდეგ, ნაკრების საკეთილდღეოდ ბევრი მუშაობა უწევთ და თითქმის არ გააჩნიათ დრო საზაფხულო არდადეგებისთვის.

რამდენიმე დღის წინ FIBA-ს გენერალურმა მდივანმა **პატრიკ ბაუმანმა** მოსალოდნელი რეფორმის ზოგიერთი დეტალი გაამხილა. ასე მაგალითად, ევროპის ჩემპიონატი ორის ნაცვლად ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართება. შესაბამისად, ჩამოყალიბდება ოთხწლიანი ციკლი: ოლიმპიადა, მსოფლიოს ჩემპიონატი და ევრობასკეტი (ან რომელიმე სხვა კონტინენტური პირველობა). ევრობასკეტის შესარჩევი ტურნირი თავისუფალ ზაფხულს გაიმართება.

თუმცა პროექტი საბოლოო არ არის და მრავალმხრივი შეთანხმება სჭირდება. ზოგიერთი სკეპტიკოსი უკვე აღნიშნავს: FIBA-ევროპა, სავარაუდოდ, არ წავა ევრობასკეტის ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარებაზე, რადგან ამგვარი გრაფიკი მას სერიოზულ ფინანსურ ზარალს მოუტანს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

## საფრანგეთი 2013 წელს

ფრანგული პრესის ინფორმაციით, საფრანგეთის გრანპრის დაბრუნება მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში 2013 წლის პირველი სექტემბრისთვის არის დაგეგმილი, ხოლო **პოლ რიკარის** სახელობის ავტოდრომზე ტრიბუნების ტევადობა 50 ათასამდე გაიზრდება.

ყველა საჭირო დოკუმენტი უკვე გაეგზავნა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ **ფრანსუა ფიიონს**, რომელმაც თავისი ხელმოწერით დასტური უნდა მისცეს საფრანგეთის გრანპრის ჩატარებას. შემდეგ ამ საკითხს კურირებას გაუწევენ საფრანგეთის სპორტის მინისტრი **დავიდ დუიე** და ავტოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტი **ნიკოლა დეშო**.

მოტოსპორტი

## დოვიმ ხელი მოიტეხა

"იამაჰას" პილოტმა **ანდრეა დოვიციოზომ** ახალი სეზონისთვის მზადებისას სერიოზული ტრავმა მიიღო. შარშანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორს ექიმებმა მარჯვენა ხელის მოტეხილობა დაუდგინეს. იტალიელმა დაზიანება ტრასაზე დაცემისას მიიღო.

დღეს დოვიციოზოს ოპერაციას გაუკეთებენ, მისი დაბრუნების ზუსტი თარიღი კი მოგვიანებით გახდება ცნობილი. აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე ანალოგიური ტრავმით მწყობრიდან გამოვიდა **ნიკი ჰეიდენი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# დოუნის პირველი ჰეთ-თრიკი და იგინლას 500

ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა გუშინწინ ჰოკეის ეროვნული ლიგის რეგულარულ ჩემპიონატში. "ფინიქსმა" საკუთარ მოედანზე დაამარცხა "ნიუ იორკ აილენდერსი" - 5:1, მაგრამ მთავარი არა ამ მატჩის შედეგი, არამედ "ფინიქსის" კაპიტნის **შეინ დოუნის** ჰეთ-თრიკი იყო. ეს ფორვარდი 16 წელია გამოდის NHL-ში და სულ 1160 მატჩი ჩაატარა, მაგრამ მხოლოდ გუშინ შეძლო პირველად ერთ მატჩში სამი შაიბის გატანა! პირველი ორი პერიოდის შემდეგ დოუნის ანგარიშზე დუბლი იყო, ამიტომაც დასკვნით 20-წუთეულში მწვრთნელს ხშირად გამოჰყავდა ვეტერანი ფორვარდი მოედანზე. ამ სვლამ გაამართლა და დოუნმა მესამე შაიბა მაშინ გაიტანა, როცა საფინალო სირენამდე ერთი (!) წამი რჩებოდა.

მნიშვნელოვანი დღე ჰქონდა "კალგარის" ვეტერან ფორვარდ **ჯერომ იგინლასაც**. მისმა გუნდმა 3:1 დაამარცხა "მინესოტა" და ეს მატჩი ისტორიული გამოდგა სახელოვანი თავდამსხმელისთვის - მან რეგულარულ ჩეპიონატებში მე-500 შაიბა გაიტანა. ამისთვის "ფლეიმზის" კაპიტანს 1148 მატჩის ჩატარება დასჭირდა.

### 5 იანვარი

**ფილადელფია-ჩიკაგო 5:4**

1:1, 3:1, 1:2

**გოლები:** 0:1 ჰეიესი-2 (მეიერსი-6), 1:1 ვორაჩეკი-6 (ქობურნი-10, ბურდონი-1), 1:2 შოუ-1 (ტეუვზი-18, კეიტი-21), 2:2 ჰარტნელი-18 (კ. ჟირუ-29, რიდი-11), 3:2 ჟოლნიერჩიკი-3 (კუტურიე-6, მეზაროში-8), 4:2 ვან რიმსდიკი-10 (სიმონდსი-8, შენი-1), 4:3 სიბრუკი-3 (ბოლანდი-8, მარიან ჰოსა-25), 4:4 პ. კეინი-10 (შარპი-20, ტეუვზი-19), 5:4 ვან რიმსდიკი-11 (ჰარტნელი-19, კ. ჟირუ-30).

**რეინჯერსი-ფლორიდა 3:2**

1:1, 0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 გოკი-3 (სამუელსონი-6, ბრედლი-4), 1:1 სტრალმანი-1 (ფედოტენკო-7), 2:1 კელეჰანი-14 (ბ. რიჩარდსი-16, ჟირარდი-11), 2:2 სანტორელი-5 (ბ. კემპბელი-29, სამუელსონი-7), 3:2 გაბორიკი-23 (სტეპანი-18, დელ ზოტო-18).

**ტორონტო-ვინიპეგი 4:0**

1:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 კესელი-23 (ლუპული-27, ტიმ კონოლი-15), 2:0 ტიმ კონოლი-7 (კრები-6, ფანოფი-21), 3:0 გრაბოვსკი-12 (კულემინი-12, გუნარსონი-10), 4:0 მაკარტური-12 (გრაბოვსკი-11, ფრენსონი-8).

**ბოსტონი-კალგარი 9:0**

3:0, 4:0, 2:0

**გოლები:** 1:0 სეგუინი-16 (პ. ბერჟერონი-22, პულიო-4), 2:0 ლუჩიჩი-14 (ჰორტონი-14, კრეისი-18), 3:0 კრეისი-9 (პევერლი-20, ხარა-17), 4:0 პ. ბერჟერონი-10 (სეგუინი-19, პულიო-5), 5:0 კ. კელი-13 (ფერენსი-14, პევერლი-21), 6:0 ჰორტონი-11 (ლუჩიჩი-16, ხარა-18), 7:0 ჰორტონი-12 (საიდენბერგი-12, კრეისი-19), 8:0 პ. ბერჟერონი-11 (სეგუინი-20, პულიო-6), 9:0 პეი-7.

**ოტავა-ტამპა ბეი 4:1**

1:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 სპეცა-15 (გრინინგი-11, გონჩარი-20), 2:0 ტარისი-1 (ალფრედსონი-17, კონდრა-9), 2:1 სტემკოსი-28 (ლეკავალიე-13, გილროი-10), 3:1 ზ. სმიტი-12 (ალფრედსონი-18, ფოლინო-12), 4:1 ალფრედსონი-13 (ტარისი-5).

**ნეშვილი-დალასი 1:4**

1:2, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 რიბეირო-7 (ლ. ერიქსონი-20, მოროუ-11), 1:1 გ. ბურკი-1 (ტუტუ-13, სპალინგი-8), 1:2 რიბეირო-8 (გროსმანი-4, ლ. ერიქსონი-21), 1:3 ჯეიმი ბენი-11, 1:4 ბარიში-4 (უენდელი-6, ჯეიმი ბენი-28).

**სტ. ლუისი-ედმონტონი 4:3**

1:0, 0:3, 3:0

**გოლები:** 1:0 კ. სტიუარტი-9 (ლანგენბრუნერი-12), 1:1 ტ. ჰოლი-13 (პემსკი-11, რ. ჯონსი-8), 1:2 იგერი-4 (სატონი-4), 1:3 ებერლე-17 (სემ განიე-14), 2:3 პიეტრანჯელო-6 (კოლაიაკოვო-11, ბეკსი-16), 3:3 ბეკსი-12 (პიეტრანჯელო-9, კოლაიაკოვო-12), 4:3 დ'აგოსტინი-9 (ოში-13, კოლაიაკოვო-13).

**ლოს ანჯელესი-ფინიქსი 1:0 (ო)**

0:0, 0:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 დაუტი-3 (სტოლი-8, ჯ. ჯონსონი-10).

**სან ხოსე-კოლამბუსი 2:1**

1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 პროსპალი-8 (ლეტესტუ-6, ვერმეტი-9), 1:1 ქლოუ-8 (ჰანძუში-12, დემერსი-8), 2:1 ჯ. ტორნტონი-8 (მარლო-16, დემერსი-9).

### 6 იანვარი

**ნიუ ჯერსი-ფლორიდა 5:2**

1:1, 1:1, 3:0

**გოლები:** 1:0 ენრიკე-11 (პარიზე-19), 1:1 სამუელსონი-2 (გოკი-1, კოპეცკი-11), 2:1 ელიაში-14 (ტალინდერი-5, Mark Fayne 6), 2:2 ბერჩი-1 (რეპიკი-2, ბ. კემპბელი-30), 3:2 კოვალჩუკი-13 (ელიაში-22, ტაორმინა-3), 4:2 კოვალჩუკი-14 (სალვადორი-5, ენრიკე-19), 5:2 პარიზე-14 (ელიაში-23, ზუბრუსი-10).

**პიტსბურგი-რეინჯერსი 1:3**

1:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ლავჯოი-1 (კ. ადამსი-5, ვიტალე-7), 1:1 ბ. რიჩარდსი-15 (დუბინსკი-16, მაკდონაჰი-13), 1:2 დუბინსკი-5 (კელეჰანი-17, ჟირარდი-12), 1:3 სტეპანი-9.

**კაროლინა-ბაფალო 4:2**

0:0, 1:1, 3:1

**გოლები:** 1:0 ფოლკი-3 (ი. იოკინენი-19, ე. სტაალი-17), 1:1 ვანეკი-19 (პომინვილი-28, ჰეხტი-3), 2:1 ე. სტაალი-10 (ტ. რუუტუ-9, გლისონი-11), 2:2 პომინვილი-14, 3:2 ლაროუზი-11, 4:2 ბ. სატერი-10 (ე. სტაალი-18).

**ჩიკაგო-კოლორადო 0:4**

0:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 დ. ჯონსი-8 (ე. ჯონსონი-14, გალიარდი-5), 0:2 გალიარდი-7 (პ. შჩასტნი-11, ე. ჯონსონი-15), 0:3 ვან დერ გულიკი-1 (ლანდესკოგი-13), 0:4 კობესოუ-5 (მაკლამენი-4, ვინიკი-9).

**ანაჰაიმი-აილენდერსი 4:2**

0:0, 1:1, 3:1

**გოლები:** 1:0 რაიანი-14 (ჯ. ბლეიკი-1, ს. კოივუ-13), 1:1 მ. მარტინი-5 (იტონი-2, გრაბნერი-7), 1:2 ოკსოპო-8 (ტავარესი-22, მოულსონი-15), 2:2 რაიანი-15 (პერი-16, ლიდმანი-9), 3:2 გეტცლაფი-7 (პერი-17, სბისა-9), 4:2 სელიანე-12 (ჰაგმანი-7, ფაულერი-14).

### 7 იანვარი

**ფილადელფია-ოტავა 3:2 (ო)**

1:0, 0:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ბრიერი-11 (ვორაჩეკი-19, მეზაროში-9), 1:1 მ. მიხალეკი-20 (გონჩარი-21, ე. კარლსონი-33), 1:2 ბატლერი-4 (ე. კარლსონი-34, კუბა-8), 2:2 ბრიერი-12 (ტიმონენი-24, შენი-2), 3:2 ბრიერი-13 (ვორაჩეკი-20).

**ბოსტონი-ვანკუვერი 3:4**

1:1, 1:2, 1:1

**გოლები:** 0:1 კესლერი-11 (სალო-10, დ. სედინი-29), 1:1 მარშანი-16 (სეგუინი-21, პ. ბერჟერონი-23), 2:1 პევერლი-7 (პულიო-7), 2:2 ბაროუზი-16 (ჰოჯსონი-14, ბიეკსა-20), 2:3 ჰ. სედინი-11 (ედლერი-23, ბიეკსა-21), 2:4 ჰოჯსონი-10 (ჰამჰუისი-17), 3:4 კრეისი-10 (კორვო-15).

**დალასი-ედმონტონი 4:1**

0:1, 1:0, 3:0

**გოლები:** 0:1 ტ. ჰოლი-14 (სემ განიე-15, შმიდი-4), 1:1 ჯეიმი ბენი-12 (დელეი-12, ლ. ერიქსონი-22), 2:1 ჯეიმი ბენი-13 (ბარიში-7, უენდელი-7), 3:1 რიბეირო-9 (ლ. ერიქსონი-23), 4:1 რიბეირო-10 (მოროუ-12, ლ. ერიქსონი-24).

**ლოს ანჯელესი-კოლამბუსი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლი:** 0:1 კლიტსომი-4 (ბრასარი-7, დ. სავარი-3).

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 1:3**

1:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 მალკინი-16 (პ. მარტინი-10, კუნიტცი-14), 1:1 ენრიკე-12 (პარიზე-20), 1:2 კოვალჩუკი-15 (პარიზე-21, ენრიკე-20), 1:3 ზუბრუსი-12 (ელიაში-24, კოვალჩუკი-19).

**მონრეალი-ტამპა ბეი 3:1**

0:1, 2:0: 1:0

**გოლები:** 0:1 ლეკავალიე-15 (დ. მური-11, ბრიუერი-11), 1:1 ბლუნდენი-1 (გილი-6, დარში-4), 2:1 პასიორეტი-12 (სუბანი-14), 3:1 ე. კოული-17 (დეშარნე-20, პასიორეტი-16).

**ტორონტო-დეტროიტი 4:3**

3:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 1:0 კესელი-24 (ბულიტი), 2:0 ფანოფი-7, 3:0 შტეკელი-7 (ლუპული-28, კესელი-24), 3:1 ბერტუცი-6 (დაციუკი-29, ფრანცენი-18), 3:2 კრონვალი-9 (ფრანცენი-19, დაციუკი-30), 3:3 ჰუდლერი-12 (ბ. სტიუარტი-5, ზეტერბერგი-22), 4:3 ლუპული-19.

**ბაფალო-ვინიპეგი 1:2 (ო)**

0:0, 1:1,:0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 მიერსი-3 (პომინვილი-29, გრანიანი-10), 1:1 ველერი-8 (ენსტრიომი-11, ლიტლი-10), 1:2 ოდუია-2 (ე. კეინი-13).

**სტ. ლუისი-კოლორადო 4:0**

2:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ბერგლუნდი-10 (ოში-14, დ'აგოსტინი-8), 2:0 შატენკირკი-6 (პიეტრანჯელო-10, სობოტკა-10), 3:0 არნოტი-9 (სობოტკა-11, შატენკირკი-16), 4:0 ბეკსი-13 (ოში-15, პიეტრანჯელო-11).

**ნეშვილი-კაროლინა 5:2**

2:0, 1:0, 2:2

**გოლები:** 1:0 შ. უებერი-9 (ერატი-16, ს. კოსტიცინი-11), 2:0 კ. სმიტი-9 (ლეგუანდი-15, კ. უილსონი-15), 3:0 ჰორნკვისტი-10 (ფიშერი-10, ელისი-1), 4:0 ჰორნკვისტი-11 (ერატი-17, ფიშერი-11), 4:1 ჰარისონი-4 (ე. სტაალი-19, ე. სტიუარტი-3), 5:1 ელისი-1 (იოსი-4, ფიშერი-12), 5:2 ჰარისონი-5 (მაკბეინი-14, ბ. სატერი-8).

**ფინიქსი-აილენდერსი 5:1**

1:1, 3:0, 1:0

**გოლები:** 1:0 დოუნი-10 (ბოდკერი-8, ლენგკოუ-12), 1:1 ნილსენი-7 (ტავარესი-23, პარენტო-26), 2:1 დოუნი-11 (იენდლი-20), 3:1 პიატი-5 (კორპიკოსკი-9, პულიო-1), 4:1 ეკმან-ლარსონი-7 (ვრბატა-14, კლესლა-7), 5:1 დოუნი-12 (რეი უიტნი-22, ეკმან-ლარსონი-10).

**კალგარი-მინესოტა 3:1**

0:0, 0:0, 3:1

**გოლები:** 1:0 ბოუმა-1 (სტემპნიაკი-9, ბეკლუნდი-3), 2:0 იგინლა-16 (გლენკროსი-12, ო. იოკინენი-21), 3:0 გლენკროსი-17 (ბოუმისტერი-14, ბროდი-8), 3:1 ჰიტლი-13 (მ. კოივუ-24, სეტოგუჩი-6).

**სან ხოსე-ვაშინგტონი 5:2**

0:0, 2:1, 3:1

**გოლები:** 1:0 დემერსი-2 (მაკგინი-7, ტ. მიტჩელი-5), 1:1 ვიდემანი-8 (ბროუერი-9, სიომინი-11), 2:1 ბერნსი-7 (დ. ბოილი-16, მარლო-17), 2:2 ჯ. უორდი-5 (ვიდემანი-21, ჩიმერა-7), 3:2 მარლო-15 (ჯ. ტორნტონი-25, დ. ბოილი-17), 4:2 ვლასიჩი-3 (ქლოუ-17, მარლო-18), 5:2 ტ. მიტჩელი-4 (დ. ბოილი-18, ჰანძუში-13).


შეინ დოუნი

# ცვლილებები არ იქნება?

ჰოკეის ეროვნული ლიგის მოთამაშეთა პროფკავშირმა არ მოიწონა ცვლილებები ლიგის სტრუქტურაში, რომელიც დეკემბრის დასაწყისში NHL-ის მმართველმა საბჭომ მიიღო. შეგახსენებთ, რომ იგეგმება ლიგის 30 გუნდის ოთხ კონფერენციად დაყოფა (დღეისთვის ლიგაში ორი კონფერენციაა). ამ ცვლილების მიზეზია გუნდების თანაბარ სიტუაციაში მოქცევა, რათა მათ მთელი სეზონის განმავლობაში დროის დაახლოებით თანაბარი რაოდენობა გაატარონ გადაფრენებში. დასავლეთი კონფერენციების გუნდებს ხშირად უწევთ ორ და ხანდახან სამ დროის სარტყელში მოგზაურობა.

*"მრავალრიცხოვანი კონსულტაციებისა და განხილვის შემდეგ იმ დასკვნამდე მივედით, რომ ლიგის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები მოთამაშეებს არათანაბარ სიტუაციაში აყენებს. ეს შეეხება როგორც გადაფრენების რაოდენობას, ასევე პლეი ოფში მოხვედრის შანსებს, რადგან ორი ახალი კონფერენცია რვა გუნდისგან იქნება შემდგარი, სხვა ორი - შვიდი გუნდისგან. ჩვენ ვთავაზობდით ლიგის ხელმძღვანელობას კალენდრის ისეთი ვარიანტის შექმნას, რომლის დროსაც ყველა მოთამაშე მთელი სეზონის განმავლობაში თანაბარი რაოდენობის დროს გაატარებდა თვითმფრინავში, მაგრამ მათ ამ საკითხში დიალოგ ზე წასვლა არ მოისურვეს"*, - ამბობს NHL-ის პროფკავშირების აღმასრულებელი დირექტორი **დონ ფერი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი



# მსოფლიოს პირველი ჩემპიონი

კანადაში დასრულდა 2012 წლის სპორტულ კალენდარში მსოფლიოს რიგით პირველი ჩემპიონატი. ტრადიციულად, ამ დროს ვლინდება 20-წლამდელ ჰოკეისტებს შორის საუკეთესო ნაკრები. ფინალში შვედეთის გუნდმა 1:0 დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონი - რუსეთის ნაკრები. ერთადერთი გოლი ოვერტაიმში **მიკა ზიბანეჯადმა** გაიტანა.

სკანდინავიელები ვალდებულნი იყვნენ ძირითად დროში გაეფორმებინათ იოლი გამარჯვება, მაგრამ რუსების გოლკიპერმა **ანდრეი მაკაროვმა** 60 წუთში 50 (!) დარტყმა მოიგერია, იმ დროს, როცა რუსეთის ნაკრებმა მხოლოდ 16 ზუსტი დარტყმა შეასრულა.

ოვერტაიმში შვედებმა გააგრძელეს დომინირება. დარტყმების შეფარდება იყო რვა ერთთან მათ სასარგებლოდ. დამატებითი დროის მე-11 წუთზე ზიბანეჯადი მარჯვენა ფლანგიდან მიუახლოვდა მეტოქის კარს და ახლო მანძილიდან ზუსტად დაარტყმა.

მესამე ადგილისთვის მატჩში კანადის ნაკრებმა ფინეთს მოუგო - 4:0. გოლების ავტორები გახდნენ: **კვინტონ ჰაუდენი** (დუბლი), **ტანერ პირსონი** და **მარკ შაიფელე**. სხვათა შორის, კანადამ 2001 წლის შემდეგ პირველად ვერ შეძლო მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ფინალში გასვლა. რაც შეეხება შვედეთის ნაკრებს, ის 1981 წლის შემდეგ არ ყოფილა მსოფლიოს ჩემპიონი.

გაისად ჩემპიონატი რუსეთის ქალაქ უფაში გაიმართება.

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ვაშინგტონი-მინესოტა | 72:93 |
| **გერმანია** | |
| ულმი-გისენი | 97:74 |
| ალბა-გიოტინგენი | 83:50 |
| სკაილაინერსი-ლუდვიგსბურ. | 76:72 |
| ბონი-არტლანდი | 95:92 |
| ჰაგენი-ბრემერჰავენი | 88:96 |
| ტიუბინგენი-ვიურცბურგი | 60:82 |
| ოლდენბურგი-ტრირი | 105:72 |
| **საბერძნეთი** | |
| პერისტერი-კოლოსოსი | 46:66 |
| რეტიმნო-არისი | 88:83 |
| პანათინაიკოსი-პანიონიოსი | 89:69 |
| **იტალია** | |
| კანტუ-ბიელა | 66:61 |
| ბენეტონი-ვენეცია | 67:68 |
| სასარი-მონტეპასკი | 75:91 |
| კაზერტა-მონტეგრანარო | 66:75 |
| ვანოლი-ვარეზე | 69:61 |
| მონფერატო-რომა | 92:93 |
| სკავოლინი-ბოლონია | 86:77 |
| **ესპანეთი** | |
| მურსია-რეალი | 60:91 |
| ბარსელონა-ალიკანტე | 65:49 |
| ბილბაო-ლაგუნ არო | 87:93 (ო) |
| სევილია-სარაგოსა | 77:64 |
| ობრადოირო-ვალიადოლიდი | 63:72 |
| გრან კანარია-ვალენსია | 63:71 |
| ესტუდიანტესი-მანრესა | 78:70 |
| ხუვენტუდი-კახა ლაბორალი | 57:74 |
| **თურქეთი** | |
| მერსინი-ჰაჩეთეფე | 69:75 |
| ალიაგა-ბანვითი | 70:65 |
| ბადირმა-ანტალია | 85:92 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ამური-ცსკა | 8:0 |
| მეტალურგი (ნ)-ლევ პოპრადი | 3:1 |
| სიბირი-დინამო (მნ) | 5:2 |
| აკ ბარსი-ნეფტეხიმიკი | 4:1 |
| **ავსტრია** | |
| ლინცერი-ალბა | 4:0 |
| ზნოიმო-ოლიმპია | 2:3 (ბ) |
| ზაგრები-აკრონი | 2:0 |
| ვენა-გრაცი | 1:5 |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 6:2 |
| **გერმანია** | |
| მანჰაიმი-კრეფელდი | 1:3 |
| დიუსელდორფი-იზერლონი | 2:3 (ბ) |
| მიუნხენი-ვოლფსბურგი | 2:4 |
| ინგოლშტადტი-ნიურნბერგი | 4:3 (ბ) |
| აუგსბურგი-შტრაუბინგი | 5:2 |
| ჰამბურგი-კიოლნი | 3:2 (ო) |
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორგი-ლორენსკოგი | 1:5 |
| ვოლერენგა-მანგლერუდი | 5:3 |
| **სლოვაკეთი** | |
| პოპრადი-სლოვანი | 4:2 |
| ჟილინა-ზვოლენი | 3:2 |
| კოშიცე-ნიტრა | 7:1 |
| მარტინი-სკალიცა | 4:2 |
| ბისტრიცა-ტრენჩინი | 0:3 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-ბრნო | 6:2 |
| ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 4:2 |
| ჟლინი-ვიტკოვიცე | 2:0 |
| სპარტა-ბოლესლავი | 2:0 |
| კლადნო-პლზენი | 2:7 |
| ლიტვინოვი-ლიბერეცი | 0:2 |
| ტრშინეცი-პარდუბიცე | 1:3 |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ბილი | 5:1 |
| დავოსი-კლოტენი | 4:3 (ო) |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბრისბენი** | |
| დოლგოპოლოვი-სიმონი | 6:3, 6:4 |
| მიურეი-ტომიჩი | 6:3, 6:2 |
| მიურეი-დოლგოპოლოვი | 6:1, 6:3 |
| **ATP. დოჰა** | |
| ცონგა-მონფილსი | 7:5, 6:3 |
| **ATP. ჩენაი** | |
| რაონიჩი-ალმაგრო | 6:4, 6:4 |
| ტიპსარევიჩი-სოედა | 6:1, 6:4 |
| ტიპსარევიჩი-რაონიჩი | 7:6, 6:7, 6:7 |
| **WTA. ბრისბენი** | |
| კანეპი-ჰანტუხოვა | 6:2, 6:1 |
| **WTA. ოკლენდი** | |
| ჟენგი-პენეტა | 2:6, 6:3, 2:0 უარი |
| **WTA. ჰობარტი** | |
| პერვაკი-კირსტეა | 2:6, 6:7 |
| ზაკოპალოვა-ჰალეპი | 6:4, 2:6, 5:7 |
| ნიკულესკუ-ჩაკვეტაძე | 0:6, 4:6 |
| ბალტაჩა-ბეგუ | 2:6, 5:7 |
| არნი-როდიონოვა | 4:6, 5:7 |
| **WTA. სიდნეი** | |
| საფაროვა-ივანოვიჩი | 7:6, 6:2 |
| დოკიჩი-ჰოლანდი | 6:0, 6:0 |
| **ჰოფმანის თასი** | |
| ბერდიხი-გასკე | 7:6, 6:4 |
| კვიტოვა-ბარტოლი | 7:5, 6:1 |

ჩოგბურთი


პეტრა კვიტოვა

# ჩეხების დომინირებით

ავსტრალიის ქალაქ პერტში დასრულდა ჰოფმანის თასი - შერეული წყვილების ტურნირი, რომელიც უკვე 24 წელია ყოველი სეზონის სტარტზე იმართება. წელს მთავარი პრიზი გაითამაშეს ავსტრალიის, საფრანგეთის, ჩინეთის, ესპანეთის, ჩეხეთის, აშშ-ს, დანიისა და ბულგარეთის ნაკრებებმა. ბოლო ორი პირველად თამაშობდა ჰოფმანის თასზე.

ჯგუფური ეტაპის შემდეგ ფინალში გავიდნენ ის გუნდები, რომლებიც ამას ყველაზე მეტად იმსახურებდნენ - ჩეხეთისა და საფრანგეთის ნაკრებებმა ჯგუფში ყველა მატჩი მოიგეს. ამასთან, გადამწყვეტ შეხვედრაში ფავორიტად ჩეხეთის ნაკრები უნდა მიგვეჩნია, რადგან **პეტრა კვიტოვამ** და **ტომაშ ბერდიხმა** ერთეულთა თანრიგში ყველა მატჩი მოიგეს და სეზონის სტარტზე კარგი მზადყოფნა აჩვენეს.

პირველები კორტზე კვიტოვა და **მარიონ ბარტოლი** გავიდნენ. ამ უკანასკნელს აქამდე ორიდან ორი მატჩი ჰქონდა მოგებული ჩეხისთვის - ბოლოს მან ეს ნახევარი წლის წინ, ისტბურნის ტურნირის ფინალში გააკეთა. მაგრამ ზედიზედ მესამედ პეტრას დამარცხება მარიონმა ვერ შეძლო, თუმცა ამის მცირე შანსი არსებობდა. მაგალითად, პირველ სეტში პირველი ბრეიკი სწორედ ფრანგმა ჩოგბურთელმა გააკეთა (მეშვიდე გეიმში), მაგრამ სეტის ბოლოს კვიტოვამ უმაღლეს დონეზე ითამაშა და პარტია 7:5 დაასრულა თავის სასარგებლოდ. მეორე სეტი მისთვის უფრო მარტივად წარიმართა. ბარტოლიმ ნორმალური თამაში მხოლოდ პარტიის შუაში აჩვენა, მაგრამ ეს არასაკმარისი აღმოჩნდა მსოფლიოს მეორე ჩოგანისთვის თუნდაც ერთი სეტის ასართმევად.

ფინალის მეორე მატჩიც დაახლოებით ანალოგიური სცენარით წარიმართა. ბერდიხმა თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა, მაგრამ ვერაფრით შეასრულა ბრეიკი **რიშარ გასკეს** მოწოდებაზე. თავის გეიმებზე ბერდიხი ძალიან იოლად იმარჯვებდა. საბოლოოდ, გასკემ ტაი-ბრეიკამდე მიაღწია, როცა მეათე გეიმში ორი სეტბოლი მოიგერია, მაგრამ „საჩოგბურთო ლატარიაში" ტომაში შეუჩერებელი იყო - 7:0. შემდეგ პარტიაში კი ჩეხმა მეტოქის მოწოდება მესამე გეიმში აიღო და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

ჩეხეთი ისტორიაში მესამედ გახდა ჰოფმანის თასის მფლობელი, საფრანგეთს კი ეს პრიზი არასოდეს მოუგია იმის მიუხედავად, რომ წელს აქ მეთვრამეტედ ითამაშა.

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-საფრანგეთი | 2:0 |
| კვიტოვა-ბარტოლი | 7:5, 6:1 |
| ბერდიხი-გასკე | 7:6(0), 6:4 |

**ყველა ჩემპიონი**

აშშ - 6-ჯერ (1997, 2003, 2004, 2006, 2008, 2011), ჩეხეთი - 3 (1989, 1994, 2012), სლოვაკეთი - 3 (1998, 2005, 2009), ესპანეთი - 3 (1990, 2002, 2010), გერმანია - 2 (1993, 1995), შვეიცარია - 2 (1992, 2001), ავსტრალია - 1 (1999), რუსეთი - 1 (2007), ხორვატია - 1 (1996), ს. აფრიკა - 1 (2000), იუგოსლავია - 1 (1991).

# ლიდერის უარი არგენტინას

არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** გადაწყვიტა მონაწილეობა არ მიიღოს დევისის თასის მერვედფინალში, რომელშიც არგენტინის ნაკრები 10-12 თებერვალს სტუმრად შეხვდება გერმანიის ნაკრებს. მსოფლიოს მე-11 ჩოგანმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ კორტის საფარის ხშირი ცვლა ტრავმის მიღების რისკს ზრდის.

დელ პოტროს მწვრთნელმა **ფრანკო დავინმა** აღნიშნა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ჩოგბურთელისთვის რთული აღმოჩნდა: *„დელ პოტრო არ ითამაშებს დევისის თასზე გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ. მას ძალიან გაუჭირდა ამ არჩევანის გაკეთება, თუმცა ყურადღება მივაქციეთ მრავალ ფაქტორს. გერმანულმა მხარემ მატჩისთვის „ნელი" კორტი აირჩია, რადგან იცოდა, რომ ასეთ საფარზე დელ პოტრო ძლიერი არ არის. ამასთან, ხუან-მარტინის გამოსვლის გრაფიკი ძალიან მჭიდროა. შვიდი კვირის განმავლობაში ჩვენ როტერდამიდან მაიამიმდე მოგ ზაურობა გვიწევს"*.

ავტოსპორტი. დაკარი 2012

# კამაზი რალიდან გააგდეს

სამხრეთ ამერიკაში მიმდინარე „დაკარის" რალი-რეიდზე სკანდალი მოხდა რუსეთის გუნდის - „კამაზ-მასტერის" მონაწილეობით. ამ საჯინიბოს ლიდერი და პირველი ნომერი **ედუარდ ნიკოლაევი** რბოლიდან მოხსნეს იმ ინციდენტის შემდეგ, რომელსაც მეოთხე ეტაპის დროს ჰქონდა ადგილი. სპეცმონაკვეთის 267-ე კილომეტრზე ნიკოლაევის სატვირთო მანქანა არგენტინელი **მარკოს დი პალმას** „ტოიოტას" შეეჯახა. დი პალმამ აღიარა თავისი შეცდომა იმაში, რომ ტრასის შუაში იყო გაჩერებული და გამაფრთხილებელი ნიშნები არ ჰქონდა გამოფენილი. „ტოიოტას" ჯიპი გადაბრუნდა, კამაზის ეკიპაჟმა კი 10 წუთი დახარჯა არგენტინელისთვის დახმარების გასაწევად. საბოლოოდ, რუსებს დაკარგული დრო აუნაზღაურეს, მაგრამ შემდეგ სიმართლე გაირკვა.

ინციდენტის დეტალურად განხილვის შემდეგ გაირკვა, რომ რუსების დახმარება არასაკმარისი იყო და ამ 10 წუთში კამაზის ეკიპაჟმა თავის მანქანაზე საბურავი გამოცვალა, ეს კი რეგლამენტით აკრძალულია. ისე გამოვიდა, რომ რუსეთის გუნდმა არა კოლეგის დახმარებისთვის, არამედ საბურავის გამოცვლისთვის დახარჯული დროის კომპენსირება მოითხოვა.

ასე რომ, ნიკოლაევის გაძევებით კონკურენტებმა კამაზის მრავალწლიანი ჰეგემონიის დამხობის სერიოზული შანსი მიიღეს.

ამჟამად არგენტინასა და ჩილეში ძლიერი წვიმებია, რის გამოც მეხუთე ეტაპი შეამოკლეს, ხოლო მეექვსე (რომელში ავტომარათონის მონაწილეები არგენტინიდან ჩილეში უნდა გადასულიყვნენ) საერთოდ გააუქმეს. ამგვაროდ, მეშვიდე ეტაპი სრულფასოვანი იყო, რომლის შემდეგაც ოთხივე კლასში ასეთი მდგომარეობაა:

**მსუბუქი**

1. **პეტერანსელი** (Mini) - 15.32,53; 2. **ჰოლოვჩიკი** (Mini) - +11,22; 3. **გორდონი** (Hummer) - +13,09; 4. **რომა** (Mini) - +18,05; 5. **დე ვილიერი** (Toyota) - +34,07; 6. **ალ-ატიია** (Hummer) - +42,54...

**მოტოციკლი**

1. **დეპრე** (KTM) - 18.12,38; 2. **კომა** (KTM) - +7,48; 3. **როდრიგესი** (Yamaha) - +49,39; 4. **გონსალვეში** (Husqvarna) - +55,33; 5. **კასტრო** (Yamaha) - +1.05,38; 6. **ცილადომსი** (KTM) - +1.07,40...

**სატვირთო**

1. **დე როოი** (Iveco) - 18.05,15; 2. **ლოპრაისი** (Tatra) - +17,10; 3. **სტეისი** (Iveco) - +33,14; 4. **არდავიჩუსი** (KAMAZ) - +45,15; 5. **კარგინოვი** (KAMAZ) - +1.02,29; 6. **მარდეევი** (KAMAZ) - +1.13,35...

**კვადროციკლები**

1. **ა. პატრონელი** (Yamaha) - +22.28,18; 2. **მაფეი** (Yamaha) - +58,53; 3. **მ. პატრონელი** (Yamaha) - +1.21,35; 4. **ბონეტო** (Honda) - +2.23,18; 5. **კაზალე** (Yamaha) - +2.59,51; 6. **რამირესი** (Can-Am) - +4.17.16...



ბობსლეი



# გადარჩენილი კანადელები

კინაღამ ტრაგედიით დასრულდა გერმანიის ქალაქ ალტენბერგში ბობსლეისტთა სავარჯიშო დაშვებები. სერიოზულ ავარიაში მოხვდა კანადელთა ოთხკაციანი ეკიპაჟი პილოტ **კრის სპრინგსის** მეთაურობით. კანადელთა ბობი დიდი სიჩქარით შეეჯახა ხის სახურავს და შემდეგ ტრასაზე დაეცა.

ბობსლეისა და ტობოგანის საერთაშორისო ფედერაცია ამ ინციდენტის გამოძიებას აპირებს. სპრინგსის ოთხეული ტრასის ბოლოს, მე-15 და მე-16 მოსახვევებს შორის ამოტრიალდა. შედეგად, დაზარალდა ეკიპაჟის სამი წევრი: თავად პილოტი, აგრეთვე მისი თანაშემწეები - **ბილ ტომასი** და **გრემ რინჰოლმი**. მეოთხე წევრი **ტიმ რედნალი** უვნებელი გადაურჩა ამ ავარიას.

სამი კანადელი სპორტსმენის ევაკუაციისთვის ვერტმფრენის გამოძახება გახდა საჭირო. სპრინგსს დრეზდენის კლინიკაში ოპერაცია ჩაუტარდა - მას ზურგიდან ხის ნატეხი ამოუღეს. იტყობინებიან, რომ პილოტისა და მისი ეკიპაჟის ორი წევრის მდგომარეობა სტაბილურია.

სპრინგსი წარმოშობით ავსტრალიელია, მაგრამ 2010 წლის ოლიმპიადაზე კანადის სახელით გამოდიოდა. ის გამოცდილ ბობსლეისტად არის მიჩნეული, თუმცა გერმანიის ბობსლეისა და ციგაობის კავშირის დირექტორი **ტომას შვააბი** მიიჩნევს, რომ ავარიის მიზეზი სწორედ გამოცდილი პილოტის შეცდომა გახდა.

*„მე-15 ვირაჟის შემდეგ, როგორც ჩანს, სიჩქარე დაკარგეს"*, - განუცხადა „ბილდს" შვააბმა.

ტრამპლინიდან ხტომა

# ოთხი ტრამპლინი შლირიმ მოიგო

დასრულდა ტრამპლინიდან ხტომაში პრესტიჟული ტურნირების სერია - „ოთხი ტრამპლინის ტურნე". წელს საიუბილეო, რიგით მე-60 გათამაშება ჩატარდა.

ბოლო, მეოთხე ეტაპს ავსტრიის კურორტმა ბიშოფსჰოფენმა უმასპინძლა. ისევე, როგორც წინა სამ რაუნდში, ეს სტარტიც რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში გაიმართა. პირველი ცდის რამდენჯერმე გადადების შემდეგ, როგორც იქნა ეტაპის 62-მა მონაწილემ შეასრულა პირველი ნახტომი. თუმცა ამინდი ისევ გაფუჭდა და გამოდარების ამაო ლოდინის შემდეგ ორგანიზატორებმა მეორე ცდა გააუქმეს.

პირველი ცდის შედეგების მიხედვით კი გამარჯვებული გამოვიდა ავსტრიელი **ტომას მორგენშტერნი**, რომელსაც ორი წლის წინ მოგებული აქვს „ოთხი ტრამპლინის ტურნე", მაგრამ ის ამჯერად მესამე ადგილს დასჯერდა საერთო ჩათვლაში.

რიგით მე-60 ლაურეატი გახდა მეორე ავსტრიელი **გრეგორ შლირენცაუერი**. „შლირის" ბიშოფსჰოფენში იდეალური ნახტომი არ გამოუვიდა, ფრენის დროს რამდენიმე შეცდომა დაუშვა, მაგრამ საერთო გამარჯვების მოპოვებაში ამას ხელი არ შეუშლია. შლირენცაუერს გაუმართლა იმ მხრივ, რომ გენერალურ კლასიფიკაციაში მისმა მთავარმა კონკურენტმა **ანდრეს კოფლერმა** უფრო უხეში შეცდომა დაუშვა და ბოლო ეტაპზე საუკეთესო ექვსეულშიც ვერ მოხვდა, რამაც გრეგორს გამარჯვებისკენ გზა გაუხსნა. მან პირველად მოიგო „ოთხი ტრამპლინის ტურნე", რაც მის კარიერაში ჯერჯერობით ყველაზე დიდი გამარჯვებაა.

**საერთო ჩათვლა**

1. **გრეგორ შლირენცაუერი** (ავსტრია) - 933,8; 2. **ტომას მორგენშტერნი** (ავსტრია) - 908,0; 3. **ანდრეას კოფლერი** (ავსტრია) - 896,9; 4. **ანდერს ბარდალი** (ნორ) - 895,0; 5. **რომან კოუდელკა** (ჩეხ) - 881,2; 6. **დაიკი იტო** (იაპ) - 852,1...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


გრეგორ შლირენცაუერი